

კონკრეტული
გენერაცია

დაბრუნვა

სიმნიღები

თეოდორ და ელენა

თბილისი 2013

რედაქტორი:
დიზაინი, დაკაბადონება:
კახა აბაშიძე
კახა აბაშიძე

ავტორი მადლობას უხდის წიგნის გამოცემისთვის პოლიგრაფიული საწარმო „პრინტ-ექსპრესის“ ხელმძღვანელს, ბატონ კახაბერ მანჯავიძეს.

დაიბეჭდა პოლიგრაფიულ საწარმო
„პრინტ-ექსპრესში“.

ISBN 978-9941-0-5446-4
© გოჩა სხილაძე, 2013

პოეტის გულში ზღვა სინათლეა (წინასიტყვაობა)

გოჩა სხილაძე არ არის დამწყები პოეტი, საერთოდაც, დამწყები პოეტი შეუძლებელია, არსებობდეს, რადგან, როგორც სამუილ მარშაკი შენიშნავდა: „ოუ არ დაიწყო, ის პოეტი არაა ჯერაც და თუ დაიწყო, აღარაა უკვე დამწყები”. სწორედ ამიტომ წინამდებარე კრებულს სხვისი წინასიტყვაობა იქნებ სულაც არც სჭირდებოდეს, უკეთუ თავად ავტორმა საკმაოდ მკაფიოდ, სხარტად და დამაჯერებლად წარმოგვიდგინა საკუთარი თავი.

გოჩა სხილაძეს ბევრი წაუკითხავს, უნახავს, უფიქრია და განუცდია, რაც აშკარად ჩანს მის ფაქიზ ლექსებსა და ესეისტურ მინიატურებში. მას აქვს პოეზიის საკუთარი გაგება, ჩამოყალიბებული ესთეტიკური კრედო. პოეზია მისთვის ენაში გაჩენილი ყვავილია, სარკმელია, საიდანაც ყოფიერების არსება შემოგვყურებს.

უცნაურია, ვიცი, აქ ხარ, მე ვაკაკუნებ,
ყოველ კარს იქით შენ დგახარ და ქარში ყანა ხარ,
ხელმოცარულთა მეფის გვირვების რისთვის მარგუნებ,
შენმა თვალებმა ცის სინათლე რად დამანახა?

გოჩა სხილაძემ იცის, რომ პოეზია ყოველთვის არ ნიშნავს განსაკუთრებულ აზრებს, მაგრამ სამაგიეროდ ყოველთვის მიელტვის ნებისმიერი აზრის ოსტატურად გამოხატვას. მხატვრული სახეები დასტურია პოეტის დამოკიდებულებისა ამა თუ იმ მოვლენისადმი, მისი მეოხებით კი – მთელი სამყა-

როსადმი. ფილოსოფიური, ანალიტიკური აზროვნების უნარი კარგად ჩანს ესეებში, სადაც ავტორმა საკუთარ თავს თვითონ დაუნიშნა მეტად მკაცრი და მძიმე გამოცდა, რადგან არც თუ აღვილია ლექსი ყოველთვის შეესაბამებოდეს მისსავე უმაღლეს კრიტერიუმებს. (ხანდახან მეჩვენება კიდეც, თეორიის ზედმიწევნით ცოდნა ხელს ხომ არ უშლის-თქო ჩანაფიქრის პრაქტიკულ ხორცშესხმას, რადგან არაიშვიათად პრაქტიკა თეორიის უარყოფა, მისი ბორკილების მსხვრევა და თავისუფლებისკენ მიმავალი სრულიად უცნობი გზების ძიებაა!).

გოჩა სხილაძე მართებულად არიდებს თავს ლექსით ფილოსოფოსობას თუ მენტორულ დიდაქტიკოსობას, რადგან პოეტურ ტექსტებში მისთვის მთავარია განცდა, ემოცია, ხილვა, საგანთა და მოვლენათა არსში მისნური მზერით შეღწევა.

შემოვა ჩემში ჭრიჭინობელის
უცხო დუმილის ყრუ ხმაურობა
და ახლო არის დაუჭკნობელი
ვარდების მხარის უცნაურობა.

ინტუიცია მკარნახობს, რომ წინამდებარე ლექსები სულაც არაა ავტორის პირველი ნაწარმოებები. მათ უთუოდ უძღლოდა წინ ხანგრძლივი ძიებები და ექსპერიმენტები, რადგან სიტყვის ასეთი პოეტური ფლობა მხოლოდ დიდი გარჯით მიიღწევა.

გულში კვლავ არის სიმპლიის და ნათლიის კუნძული,
ვარსკვლავების და შენი მკერდის ამომბურცველი,
ახლა ვარდების ბაღში ვდგავარ თვალდახუჭული,
ახლა ვარდიდან ჩამოვარდნას ლამობს ფურცელი.

რამდენადაც ვხვდები, ოსტატობა, „ტექნიკა” გოჩა სხილაძისთვის საკუთარი „მე”-ს, შინაგანი ვნებათაღელვის, რწმენის, ეჭვების, აღმაფრენისა თუ სინანულის გამოსახატავი საშუალებაა. ასეც ვიტყოდი: ლექსი მისთვის სულის ტელესკოპია, საიდანაც მთელი მრავალსახოვანი სამყარო მოჩანს თავისი ამაღლებული მშვენიერებითა და უმანკოებით, ზოგჯერ კიდევ – ტრაგიზმითა და სიმახინჯით.

ვარ სიმჩავარდნილ ხვალის სიძლერა,
სინაის მთვარის ვარ ვერცხლის სინი,
ვარ უსინათლო ლომების ბრვერა,
რომელსაც ჩემში გრძნობენ ისინი!

რაც უფრო ფართოდ გაშლი ხელებს, მით უფრო ადვილია შენი ჯვარცმაო, გვაფრთხილებს ნიცშე. გოჩა სხილაძეს არ ეშინა ხელების გაშლის, პირიქით, იგი მზადაა, გულში ჩაიკრას ყველა, ვისაც მიზეზთა გამო ასცდა წუთისოფლის სიამტკბილობა, თუმცა, როგორც მკითხველი შენიშნავს, არც თვითონაა განებივრებული განგების უურადღებით („მე ვარ ამ კერის უცნობი გერი, მე წინ სიბნელის ზღვა ამეტუზა“). და მაინც – თანაგანცდა, თანადგომა, თანაზიარობა მისი მიწიური ყოფის შეუვალი მახასიათებელია, ერთგვარი საფირმო ნიშანია.

ჩემ სიმარტოვით დავინახავ სხვა სიმარტოვეს,
თითქოს ხე ვარ და ტოტებს მათლიან.
ტკივილში ღმერთი იზრდება და სახლს იფართოვებს
და ახლა გულში ზღვა სინათლეა...

გოჩა სხილაძის ლექსის თავი და თავი გულახ-დილობა, გულითადობა და სიწრფელეა, რადგან თუ სტრიქონების მოტივი ყალბია, მათ ვერანაირი გარე-სამკაული ვერ უშეველის. მართალია, ჩამოთვლილ ლირსებებთან ერთად მათ არც ეწ. გარესამკაულები აკლიათ, თუ კი ასეთებად ჩავთვლით მოხდენილ რითმებს, შედარებებსა თუ ეპითეტებს. მეტაფორა მოტორია ლექსისაო, თქვა ერთხელ ანდრეი ვოზნესენსკიმ და ეს გამონათქვამი ბევრ აქ გამო-ქვეყნებულ ტექსტსაც შეიძლება, მიესადაგოს. მაგალითისთვის ორ სტროფს მოვიხმობ:

ბნელ სულის ჭიდან მოჩანს მთვარის დიდი მეჭუჭი,
ბეჭით ქარებმა ჩამიტვრიეს სიზმრის ვიტრინა,
მამა, კოშმარი ჩემს ნაცს დახვდა, როგორც მეჩეჩი,
შეაღო ბავშვმა გულის კარი და გაიტვრინა.

ბავშვის სიზმრებში კვლავ იელვებს მერიდიანი,
სადაც ორფეოსს მოეხვევა ცრემლის მენადა.
მოგესალმები თეთრ ალმებით ქუდიედიანი,
შენი ვარსკვლავის გრძელი სხივი გულს დამენათა.

ცნება „ლირიკული გმირი” გოჩა სხილაძისთვის თავად მეტაფორაა, მოხერხებული ნიღაბია, რომლის მიღმიღან შეუძლია ბევრი რამე გვითხრას, ჩაგვაგონოს, დაგვანახოს. თვალშისაცემია ისიც, რომ მისი ბევრი ლექსი, უთანამედოოვესიც კი, მითისა და სახის ნაზავია, ერთგვარი სინთეზია ცხადისა და უხილავის, მისაწვდომისა და მიუწვდომლის. იგი გაურბის მოდური სიტყვების წარამარა ხმარებას, სრულიად შეგნებულად ემიჯნება ეწ. „მომგებიანი” თემებით სპეკულირებას, არ უფრთხის რეტროგრა-

დად შერაცხვას და ცდილობს მხოლოდ უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მოინიშნოს გულის ფიცარზე. პოეტის არჩევანი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული რითმიანი ლექსის მხარეზეა, მის სულსა და გონებას კი მეტწილად კაცობრიობის მარადიული სატკივრები აწვალებს და აფორიაქებს.

მიუხედავად ერთგვარი ტრადიციულობისა, რაც მე პირადად სულაც არ მეჩოთირება, გოჩა სხილაძე „არატრადიციულ“ სფეროშიც თავს საკმაოდ დაჯერებულად გრძნობს. უფრო მეტიც, აქ იგი წამით თითქოს ივიწყებს კიდეც თავის აღნიშნულ მრწამსს და პირდაპირ ექსტრავაგანტური სახელებისა თუ სახების მორევში გვისვრის, მხედველობაში მაქვს ლექსი „დღისა და ღამის გათანაბრება“, სადაც მკითხველის თვალშინ გაიელვებს სოროსის ნაჩუქარი კომპიუტერი, გაკრთებიან ტკბილხმოვანი სელინ დორი, „სილიკონის ბუჭუბიანი ბეჭნიერება“ – პამელა ანდერსონი, უბადლო ფრენკ სინატრა, აისვეტება გამაოგნებელი კელნის ტაძარი, ეიფელის კოშკი და მეტროპოლიტენის მუზეუმი. ჩვენ აქ ვიხილავთ ქრისტეს და ბუდას, გოეთეს გოთიკასა და გალაკტიონის „დალანდს“, გოლფის მოთამაშე ძლიდრებსა და აბსტრაქციონისტ-პოსტმოდერნისტებს. პოეტი თვითონაც გრძნობს, რომ ეს ქაოსია და სწორედ ამ ქაოსიდან აფრენაა მისი მიზანი.

გოჩა სხილაძისთვის, რომელსაც თავის დროზე უმაღლესი სასულიერო განათლება აქვს მიღებული, ახლობელი და, რაც მთავარია, ბუნებრივია სახარებისეული მოტივები, სჯანი. „სიყვარული, როგორც მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში, მიუთითებს ღმერთის და მის მიერ შექმნილი სამოთხის არსებობაზე. ეს მოვლენა მანათობელი მაცნეა, მახარობელია,

ღმერთიდან ჩვენებ რომ მოისწრაფის გულამოვარდ-ნილი. ის ტოვებს ნიშნებს, ბილიკებს, გვიწვევს, გვა-ჯადოებს, „შემდეგ კი გვტოვებს უდაბნოში”, - წერს პოეტი და მე მეჩვენება, რომ ამ ციტატის გან-საკუთრებით ბოლო წინადადება უპირველესად მის პოეზიას ეხება. (უდაბნოში დარჩენას ამ შემთხვევაში აღვიქვამ, როგორც დარჩენას საკუთარ თავთან).

გოჩა სხილაძის ლექსები სიჩუმეში, სიმარტოვე-ში, სულიერი სიმშვიდისა თუ მღელვარების უამს წასაკითხი ტექსტებია – სამონოლოგო, საჩურჩულო, სააღსარებო! ისინი თითქოს ამოვარდნილია თანამედ-როვე პოეტური „ტრენდიდან”, გნებავთ, „მეინსტრიმ-იდან”, როგორც მავანნი იტყვიან. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფორმალურად ჯერ კიდევ არ დამ-კვიდრებულან ქართულ პოეტურ სივრცეში, არამედ უფრო იმიტომ, რომ მის ლანდშაფტზე შესაძლოა, ეგზოტიკური კორომივით განცალკევებულნი აღმოჩ-ნდნენ.

აქვე ბარემ იმასაც დავსძენ, რომ გოჩა სხი-ლაძის ლექსებში აქა-იქ შეიძლება უნებურად შემო-გეფეთოთ დიად წინამორბედთა ნაცნობი ინტონაციები, მათი განუმეორებელი ხმების ექოები. ამას სასაყვე-დუროდ სულაც არ ვამბობ, პირიქით, ხაზი მინდა გავუსვა პოეტის შინაგან, ბუნებრივ და სასურველ კავშირს იმ ძირისძირებთან, საიდანაც ბუნებრივად ამოიზრდება ხოლმე პოეტური ხის ახალი და ჭეშ-მარიტი ნერგი.

და ბოლოს: მე არ ვიცნობ გოჩა სხილაძეს პირადად, რასაც ხელი არ შეუშლია ჩემთვის სავსე-ბით დამსახურებულად მეთქვა მის პოეზიაზე ორიო-დე გულითადი სიტყვა, აკი პოეტის ბიოგრაფია (უმთავრესად სულიერი) სწორედ მის ლექსებშია,

რომლებიც, მჯერა, გააბათილებენ ყველა შემოქმედისთვის ნაცნობი სასოწარკვეთის ჟამს შემთხვევით ამოძახებულ სტრიქონს: „მე წარუმატებელი მათხოვარი ვარ!“

რაულ ჩილაჩავა

მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს, უკრაინის, ლატვიისა და საერთაშორისო ლიტერატურული პრემიების ლაურეატი, უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

ადრეული ქამთაბი

ძეგობრის ხსოვნას

ზამთრის წინ ვარდი რომ იკოკრება
და ანათებენ ყვითლად გოგრები,
გულში სხივების ცდილობ მოკრებას,
თვალნათელ ბავშვებს ემეგობრები.

სერზე გადიფრენს საფლავის ყვავი,
ენაჭარტალა და მესოფლია.
შენ კი გახარებს სიმინდის ხვავი,
სავსე მტევნებიც შენი ოფლია.

დილით აღარ ჩანს დავითოული,
ბნელ ველზე დგახარ სანთელჩამქრალი,
შენ წინ ყელამდე არის თოული,
ფეხქვეშ ვარდება დიდი ნაპრალი.

შენთვის არასდროს მოვა მაისი,
ვარდებს არავინ აგიბრიალებს,
შენ გიცდის მხარე არარაისი,
იქ სისხლი წვეთავს, დანა პრიალებს.

ქარი ვარდებზე ცდილობს დაშვებას,
ვტირი, ბავშვები რომ არ გამშვენებს,
ჰე, მეგობარო ჩემი ბავშვობის,
შენი ფანჯარაც ამოაშენეს...

სთხოვი დოფებს ქე

„ლოდი რომელი შეურაცყვეს მაშენებელთა
ესე იქცა თავკიდეთა, უფლის მიერ იყო ეს
და არს საკვირველ წინაშე თვალთა ჩვენთა.”

გარეთ ქარებს აქვთ გულის ფანცქალი,
მზე რომ უკვდება მიმქრალ მდელოებს,
ხმა უკუნიდან ბოლოქანქალის
ველზე ოქროებს გააბრელოებს.

დაცვივა შიშის მტვერ-ბუზანკალი
ამ მზესუმზირებს, უსახელოებს.
რა ახლოს ელავს შავი ნამგალი,
ვაი, მუნჯებს და უმეტყველოებს.

ვარდებთან ახლოს გვიყურყუტია,
ნიავმა გრიგალს აქ გზა უტია,
დიდება დიდებს, გამონაკლისებს...

ბნელი ღრუბელი, ჩიტის ჟღურტული,
ბავშვი სინათლით თავჩაღურთული
ვიცი, ხანდახან მოგვისაკლისებს.



სინათლე ლაპიდინთშე

როცა გუბდება გულში სანთლის წარმავალობა
და მისი ქრობით აალდება ქარის ნამღერი,
სინათლესავით შორი მოჩანს შენი წყალობა,
ჩემს წამწამებზე ახლო არის შენი ნამქერი.

ხვალინდელი დღე უნაპირო ღამით თენდება,
ყოველი წამი გულის ფეთქვამ გამოიძია,
ყოველ წამისგან აქ სიცოცხლის სახლი შენდება,
სადაც არიან, არც არიან და არც იციან...

იგი ბავშვია დაკარგული, ოქროსომიანი,
მუდამ იმედებს დაჰყვება და ცა ემალება,
მას მუდამ ელის სიყვარულის მერიდიანი,
მუდამ აკვირვებს გაზაფხულის ფერიცვალება.

როცა იწყება ყვავილებით ჩემი ნათლობა,
დამავიწყდება, ლაბირინთის რომ ვართ მკვიდრები.
ამ სინათლისთვის მინდა, გითხრა დიდი მადლობა,
რომ ვართ უზომოდ ღარიბები და თან მდიდრები.

ძილი

ეკას

აქეთ თვალგანელილი სევდიანი ბრმებია,
აქეთ შენი სიცოცხლე სიკვდილს დაუბრებია,
მიმოდიან ტალღები-ჩუმი საუბრებია,
ინთებიან ვარსკვლავნი, ინთებიან, ქრებიან.
ვარდებისკენ ქარები ისევ გადიხრებიან,
ვხედავ ბავშვის კულულებს და მის ავსიზმრებიან
ძილში ალვა იჭრება, მყინვარები დნებიან,
გრიგალი და სინათლე ერთად დაიძვრებიან,
თითქოს არც კი ყოფილან, არც ვის დასიზმრებ-
იან...



ՀՅԵՒՏՅԻՒԹ ԽՈԴՅՈԾԵ

Վահա ածա՛մոցին

Ճյուղն ըստ օյլու գյուղու,
Ռոշորու և սիմմազու եղին, պյուղն.
Սուշանակ-սուշանակ օգուզա –
Ճամփունա ճամփունակն.

Մամա պատու պատու,
Մամա պատու պատու,
Մամա պատու պատու,
Մամա պատու պատու.

Ճյուղն ըստ օյլու գյուղու,
Ճյուղն ըստ օյլու գյուղու,
Ճյուղն ըստ օյլու գյուղու,
Ճյուղն ըստ օյլու գյուղու.



აშეთთ სიბნელუში

გეძებდი ყველგან, მტრედის ფრთებში, გაშლილ
ვარდებში,
ვათვალიერე ვარსკვლავები, ვშალე ქაღალდი.
თვალი მოგკარი სხვის თვალებში, ძველ ბარათებში,
ვერ მოგიზელთე და მტრედივით ცაში ამაღლდი.

აღარ სრულდება შენი ბნელში დამალობანა
და მაღლა ცაში ვარსკვლავებად იქცნენ მდევრები,
მე უკვე დედამ სისხლიანი სახე მომბანა,
მამამ აავსო შემოდგომით დიდი ქვევრები.

ბნელის კიდეზე კიაფობენ ციცინათლები,
ღლეების კიდეს აწყდებიან ჭრელი პეპლები,
იბერებიან კვირტები და ყვავილს მატლები
ელოდებიან ვით დედოფალს მისი მხლებლები.

უცნაურია, ვიცი, აქ ზარ, მე ვაკაკუნებ,
ყოველ კარს იქთ შენ ღვახარ და ქარში ყანა ზარ,
ხელმოცარულთა მეფის გვირგვინს რისთვის
მარგუნებ,
შენმა თვალებმა ცის სინათლე რად დამანახა?

გოჩა სხილაძე

იქნებ შენ სახელს ამოთქვავენ მომაკვდავები?
შენი ელჩები-ბრმა ჩვილები ამბობენ: „აღუს”
მე სურვილების უამრავი ჯაჭვით დავები
და დაბნეული, ლამპარჩამქრალს ვემსგავსე მსა-
ხურს.

ისევ მომელის ჩემი მთები, ჩემი თაბორი,
მინდა მწვერვალზე ამიყვანონ ჩემმა ფეხებმა.
მოულოდნელი „სიბნელეში” ბავშვის ამბორი —
ასეთი არის უცნაური შენი შეხება.



ქუჩულძე გოგხა

ვარ ვარსკვლავიდან გადმონავარდნი
გამდნარი თოვლი, გაშლილი ვარდი,
ვარ მწუხარება მთვარის ნაბარდნი
და გარდაცვლილთა უცვლელი დარდი.

ვარ ბავშვის მზერა, მზე ცხრათვალება
დაუცხრომელი, რომელ არს მნათი,
ბრმა მეზობელი შავი სათვალით
და ის უისრო მამის საათი.

მისი თითების უცხო სითეთრე,
გაშლილი თმების შრიალა ლელი,
მამლის ყივილით შეშლილი პეტრე,
მტრების მტკაველა მახვილით მთლელი.

ვარ სიმჩავარდნილ ზვალის სიმღერა,
სინაის მთვარის ვარ ვერცხლის სინი,
ვარ უსინათლო ლომების ბლვერა,
რომელსაც ჩემში გრძნობენ ისინი!

ტადაჯენილი უწერდო

აქ მზე ამოდის და ჩადის ფულზე,
დოლარისფერი ჩანს სააქაო,
დომინოსავით დაწვები გულზე,
საგულდაგულოდ გათლილო ქვაო.

აღარ ანათებს აქ წითლად ბლები,
ხეზე არ სხედან ჭრელი ჩიტები,
აქ მხოლოდ ისმის ტირილი ბრმების
და სიგრილეა ჭვარტლის, ბინდების.

ცის შავმა წერომ – მზემ ბედისწერის,
გულს ჩაგალურსმა სხივთა ფიწალი,
გადატეხილი დარჩა კენწერო,
ხეზე აღარ ჩანს წლების კინწალი..

ალბათ ხანდახან თუ ახელ თვალებს
და გულისფერი გახსოვს ვარსკვლავი,
სერზე შედგება კაცი და მთვარე,
წელამდე თოვლი არის საკვლევი.

საით წახვედი მითხარი, მამა,
გზა არსაითკენ, რეკავს საათი,
ღმერთმა ტკივილი თუ დაგიამა,
თუ გესმის სოფლის ცრუ მასლაათი..

ნაა

ნია, ნიავი თმებს გადაგყვება,
თუ გეშინია, სულშიც იქროლებს,
ნია, აქ ქარი ქარიშხალს ჰყვება,
ემშვიდობება აქ და იქ როლებს.

ნათდება ავი დროების ბროლით
სიზმრებში მქროლის განმარტოება,
სადღაც სიძლერა კრთება თებროლის
და ხე ბრიალებს ყვითელრტოება.

მალე სიკვდილის ყვითელი ტორი
ქორის მზეს ქარში დაეტოლება,
დაბრკოლებაა სხივების თორი,
შორით ანათონ თანატოლებმა.

ნია, თანატოსს ველი ყოველთვის
ძილში, რომელიც მისთვის ძმა არი,
მკვლელი ჯვარია იანვრის ბნელთვის,
შენთვის ნაღველით ისმება ძმარი.

გრილი წერტილი აქ დაისმება
და ჩაწყვეტილი სიძლერის ექო,
სიზმარს ტირილით შეეხორცება,
შენ ხომ არ გინდა, რომ ბნელს შევეხო.

ქროდეს, ვერ მოგწედეს, ქარი ავდარი,
არ მიგწუროდეს მზეი აროდეს,
გამტყდარი სანთლით კრთოდეს საყდარი
მისთვის, ვინც ბნელში მიიჩქაროდეს....

გულში სულ იყო მძიმე ზამთარი,
მერე ნათელი გამოერია...
შენა ხარ ჩემი მზის კელაპტარი,
შენა ხარ ჩემი სიზმრის ფერია.
მე შენს სინათლეს მინდა ვუყურო:
დიდთვალებას და ეგრე დიდთმიანს,
შენით იშლება ვარდის კუკურო,
სანამ სოფელი არ დამითმია,
როცა დილაზე გაკოცებ ნია,
თითქოს გაცვია ვარდის ეფოდი.
მაშუქებს შენი თვალების ია,
მე ვწუხდი, რომ არ მესიზმრებოდი...



ჭითა

ქეთი, ქარია შორი აქედან,
ქედს რომ გადუფრენს თეთრი ქედანით,
დანისლულ დღეთა ფორიაქიდან
გულს ძირს დახრიან ახალბედანი.

სანამ მზემ, ქეთი, დღე გაანათა
გულანათალი ჩანს ორქიდეა,
არის კრიალი ვერცხლის დანათა,
ჩემი სიცოცხლე ბნელის კიდეა.

შენი მშვენების დანაშაულის
სასწაულია ვარდთა დაცვენა,
მერე შენს თვალებს მზე გადაუვლის,
მზე, ჩვენ რომ დამით აღმოგვაცენა.

უფალს შეასმენს, როს ღალადებას
საღამოს ქარის გრილი საყდარი,
მთვარით ვარდების გაღადღადებას
აღარ შეხედავ შენ, გულგამტყდარი.

ჯვარის გზა არის არუნარეკლო,
გულში არეკლე ლია, რახელი,
რა მაღალია, ხედავ, სამრეკლო?!
რა მაღალია უფლის სახელი!

კანკურაციის დარბაზი

ამ ველურ ვარდებში ვარ ეულ-მთვარეული,
შივას ვარსკვლავების მიყვარს დარაჯობა,
არ მშივა სიცოცხლე არეულ-დარეული,
გული ეუბნება სიკვდილს: გამარჯობა!

შენდობა შენდა, ვარსკვლავო სხივქორბულა,
შენდამი ვარდი ვარ მიქელ-გაბრიელო,
ვარსებობთ შენ და მე, ოქროსფერო ბუდა,
მე აქ მთვარის ვერცხლი უნდა გიბრიალო.

ტყდებიან ვერხვები, ცეცხლით ასვეტილი,
დაისვა წერტილი ვარდების სახსოვარის,
მთვარის დამაფიქრებს ღილი აწყვეტილი,
და ღიმილჩაქრობილი თვალი მაცხოვარის.

აქ არის მთვარე, მთქნარებით მონავალი,
ზღვარი იანვარის, ქარების, მყინვარების,
ვარდი, ვარსკვლავები, ბავშვი ონავარი,
კვლავ ქარის ამოვარდნა წვალის მძვინვარების!

კუნძული ნათელი

გულის კიდეშიც ცეცხლი გიგინებს,
გული შენ გხატავს დანატრებული,
მე ვხედავ ბნელში ქერა კიკინებს,
ოქროსფერ სხივებს აფენს კრებული.

ჩქარი სიზმარის ლივლივებს ჩქერი,
მტერი კოშმარის სხვაა მედუზა,
მე ვარ ამ კერის უცნობი გერი,
მე წინ სიბნელის ზღვა ამეტუზა.

შენი თვალების ცით მიფრენია,
სიზმრებშიც მინდა, ხვალ რომ გიზილო,
მაცოცხლებს მაგ ცის სიცისფრე, ნია,
ციმციმებს შენი თვალის ღიღილო.

გევსება თმები ვარსკვლავთა ბირკით,
ხელში გაქვს ვარდი და მაკრატელი,
ჩავუვლი სოფელს მაღალი ფიქრით,
და უცნაური დამაქვს ნათელი.



ქუდის ქუდის

გულში კვლავ არის სიმაღლის და ნათლის კუნჭული,
ვარსკვლავების და შენი მკერდის ამომბურცველი,
ახლა ვარდების ბაღში ვდგავარ თვალდახუჭული,
ახლა ვარდიდან ჩამოვარდნას ლამობს ფურცელი.

ცრემლით ივსება თვალის გუგა, ვხედავ კურცხალით,
ბრმა მერცხალივით მეჯახება მიჯნურთ ნათება,
მივდივარ ჩუმად, მამასავით ბედდაუმცხრალი,
მთვარეა გარეთ და ქარების მიჩუმათება..

მივდივარ ჩუმად, მთვარესავით სხივგაბურდული,
ჩიტის ჩრიტინი ბნელ ღამეში გულს მესახება,
შენს ვარდების ბაღს უმბიმესი ადევს ურდული,
შენს გულს ჩაესმის ვარსკვლავების ყრუ შეჯახება..



და მუზიდობებს

ვემშვიდობები თოვლის ფანტელებს,
ბაბუაწვერას, ბავშვობის ლანდებს,
ბნელში დაკარგულ ციცინათელებს,
შენს სინათლეში გადაშლილ ვარდებს,

მთვარეს, რომელიც არ ჩანდა ბოლოს,
მზეს, სხივი აქაც რომ მომაწვდინა,
ბავშვის თითებში შემომდნარ ლოლოს,
ჩიტებს და ხეებს, დღეებს მაცდინარს,

დიდ კანდელებზე ანთებულ ლოცვებს,
გულში დარჩენილ ხეს უკენწეროს,
ხანძრებს, რომელთაც ტყეები მოწვეს,
უკუნს, ზამთრის წინ გაფრენილ წეროს,

ვემშვიდობები ცას მარად ახალს,
ვარსკვლავებს, ხილულთ და უხილავებს,
ქაღალდის ნავებს, ზღვის მაღალ ტალღას,
ჩემს მოყვარულებს და ჩემს მკილავებს,

შეყვარებულთა მზერას და კოცნებს,
მკვდართან ვარდებით სავსე კალათებს,
ხელებს, რომელთაც კალათი მოწენეს,
მაღალ მთებს, სოფლებს, დაბებს, ქაღაქებს,

ვემშვიდობები გუგულის ღარღილს,
ბავშვებს, დარჩენილთ უბედისმწერლოდ
და მათ, რომელთა ჩამოთვლაც არ ღირს,
ვინც ჩუმად უნდა გამოიცელოს.

ქა ჭავაჩქა

მოწყენილია რაფაზე ბალბა,
უნდა ზამთარში თბილი მზე ჩანდეს,
მე ახლობლებში ვიღიმი ყალბად,
ყალბ ფაიფურით ვსვამ „რიო გრანდეს”.

მკლავს თავდახრილი ვარდების დამბლა,
რაც ვარსკვლავების განგებას მანდეს,
სინათლის სხივი მოწვეთავს დაბლა,
ეცემა გულზე შერისხულ დანტეს.

მე შენს ხმას ბოლოს შევისმენ ალბათ,
მინდა, გულს სისხლის ცრემლები მბანდეს,
ეს გული სისხლის ცრემლებით დალბა,
დაეცა შუქი უღრანს და ღრანტეს.

ჩანს ახლოს სანთელჩადგმული ტაბლა,
ქარი მხარს გაკრავს ანთებულ სანთელს,
მე ახლობლებში ვიღიმი ყალბად,
ყალბ ფაიფურით ვსვამ „რიო გრანდეს”.

სის ხლოებე

ვარ მოციმციმე ცრემლი დამეში,
როცა მომიწმობს უფლის შენობა,
დიდი ცრემლების სიკამკამეში
გულს მაწევს ვარდის გაუშლელობა.

მსურდა დათრობა და გაბრუშება,
მსურდა, წყვდიადის გზები მეთელა,
დედა ამაოდ მეგუნგრუშება,
ბავშვი ვარ დიდი და გულფეთელა...

როცა წყნარდება ქარის სისინი,
ღმერთი მეფუტკრე სულ ახლოშია;
ანგელოზებად ჩანან ისინი,
ტოტიდან ტოტზე დახტის შოშია.

შემოვა ჩემში ჭრიჭინობელის
უცხო დუმილის ყრუ ხმაურობა
და ახლო არის დაუჭკნობელი
ვარდების მხარის უცნაურობა.



ՀԵՂՋՈՅԱ

Րա շնչրալոց օխևնեծիան
ցշլուս լրեմլուս և սացշնչրեծի,
Րա շնչրալոց օվայեծիան,
նուա, Շենտան և սացշնչրեծի,

և օթմրեծիութան մռիան գնչեծի,
գնչեծի-Շենտան դաշնչրեծիս,
տզալլեծիութան Շոյի կրտեծիս
նուամռուս դա նոյզրեծիս.

Մեմնոնա յամուս ջրտեծիս
և նոծնելուս դամոյիրեծիս,
Րա շնչրալոց օվայեծիան,
նուա, Շենտան և սացշնչրեծի!



სხვეულის კუთხით

გვას

ჩემი ბავშვობის დაღმართებში დის კვართებელა,
სხივების კვართში არის ვარდი, ხატიპეპელა.

შენ ამოავსე ვარსკვლავებით ეს ნაპრალები,
კვლავ ცოცხალი ვარ შენგნით, შენგან შენაბრალები.

სხივები გულში ოქროს სილად დაინუკრება,
შენს თვალებიდან შემოხედეს დაისს ნუკრებმა.

გული მარტოა, სიბნელიდან ამოჩურჩული,
შენ სინათლეში შემოღწევას ლამობს ჩურჩული.

ჩემი ბავშვობის დაღმართებში დის კვართებელა,
სხივების კვართში არის ვარდი, ხატიპეპელა.



ტკუნებულის კლეი

ვიცი, ნია, ეგ თმები
ცით ვარდების დაშვების,
გლიცინიად ენთები,
ფრთებს დაჰყვები შაშვების.

გულს გრჩნია ტაროსი,
ზღვებად ატორტმანება,
ხმები ამ სამყაროსი,
კვიპაროსის ზმანება

და ცრემლების კლდეები
ვარსკვლავთა დაცალების,
უნიათო დღეები
ჩემი გარდაცვალების.

ქავილი ქულები

ყვავილი მსხვერპლი არიან, ცელით
მათ სინათლეში ათლოდათ გული,
მამას მოცელავს დღის ღრიანცელი
და მაინც ელის წსნას გათანგული.

მაღალ შროშნების ამ თაიგულებს
სხივები გულზე მოეკიდება,
მათ ხელსისხლიან მესაიდუმლეს
საგალობლები უთხრეს ბინდებმა.

შენთვის ძნელია სხვების შენდობა,
შინდება ბნელით სინათლე კვართა,
სულში ტაძარი აღარ შენდება,
სიბნელე გულის გამოიკვართა.

დაფეთებული გული ფეთქავდა,
მე აითქვიფა, ერთჯერადია,
საფეთქელს ალბათ ჩაესმის ბათქი,
მინდოდა მეთქვა, ეს ჯერ ადრეა....



წევე

რაკი საზვერეს გადის ზვარაკი,
გოდებს გული და დღეც გაიღევა,
სულს დღაბნის უქმი თქმა-ლაპარაკი,
მწყურია წყალი, სულ რომ იღევა.

ხარ ურმის თვალი, ხარიც, ზუალიც,
ვალების ხარბი გარდუვალობაც,
ცის ხურმის ტოლა მნათობთ უფალიც,
უაალოო დროს გედის გალობაც.

დრო კი აცოცხლებს, რაც დაკარგულა,
თეთრ გვირილებად ფეთქდება კეთრი.
კვლავ სიცხიანი იცლება კულა,
რომელიც მუდამ ჩურჩულებს: შეთვრი

რაკი საზვერეს გადის ზვარაკი,
გოდებს გული და დღეც გაიღევა.
სულს დღაბნის უქმი თქმა-ლაპარაკი,
მწყურია წყალი, სულ რომ იღევა.

უმოდგომის სიტყვა

ფრთამოტეხილ გრიგალივით
თებერვლიდან იანვრამდი
ვერ ცემს ძველებურად გული.
ველზე დაჭკნა ჩემი ვარდი.

ყველგან ვეძებ ვერ ვპოულობ,
სადღაც გაქრა მისი მადლი.
შემოდგომის გამხმარ ულოს
შენს ბავშვობის დღეებს ვადრი.

ძილში მინდა, ისევ მწამდე,
მივყვებოდე მთვარის ბადროს.
შენ შეხედვას სიკვდილამდე,
მერეც უსასრულოდ ვნატრობ.



სინათლას მიზიდულობა

ვარსკვლავიანი ცა შორია, ცა არის ღია,
ახლოს მფეთქავი გულის კუნთია.

თუ მამის გულში სიბნელეა, შემოდის ნია,
მამას სინათლე გულში უნთია.

თუ ბროწეულის ყვავილობა ჩაივლის ჩუმად,
როგორ მწყინს ჩემი გავერანება.

ხალხი ყვავივთ დაგვტრიალებს და შეგვჭამს უმად,
ხალხს არაფერი არ ენანება...

ჩაგჭიდებ ხელს და გავუყვებით უცხო ხეივანს
და ვემალებით ვიღაც გუდიანს,
თვალებში ცრემლით გვერდს ჩავუკლით ბავშვს,
ქალს-ხეიბარს,
ქალს მზისოდენა ჭილის ქუდი აქვს.

ჩემ სიმარტოვით დავინახავ სხვა სიმარტოვეს,
თითქოს ხე ვარ და ტოტებს მათლიან.

ტკივილში ღმერთი იზრდება და სახლს იფართოვებს
და ახლა გულში ზღვა სინათლეა...

სიცოცე ჩლის უქა

სანამ ეს გული სანთლად ანათებს,
სანამ ფანჯრიდან ჩანს ბეგონია,
მამისგან იღებს ბავშვი ბარათებს,
სიცოცხლე მისი ექო ჰგონია.

გახედავს ბაღებს, სიზმარამხდარი,
უცნაურია ვარდის სინედლე,
ღრუბლიანი ცის შუბლი ჩამტყდარა,
ვარსკვლავებიდან მოჩანს სინათლე.



* * *

ვბედავ გაფრენა ვნახო მერცხლების
და დაისის ქვეშ გედის დაშვება,
მკრთალი ფერი აქვს სოფელს ცოცხლების
თუ არ შევხედეთ მამას ბავშვებმა.

აქ ძილში ნათობს სიზმრის ფითილი,
თილისმა ბავშვის – დილის კულული,
მზესუმზირების ქართან ჭიდილი,
ნათელი შენი გულდახურული.

* * *

ასისინდები ლეთით, უნასით,
კრთება ნაფლეთი ბინდის, წრუწუნა.
აქ ვარსკვლავებით ასიათასით,
ბავშვმა სიზმარში დაიწუწუნა.

ქარში ანათებს სიზმრების მარში:
მთვარის არშია და ქრიზანთემა,
ქარი ჩაწყნარდა, ბოლოს სიზმარში,
მზესუმზირების ჩაქრა ნათება.

ფიფქის დატვე

ამ გულს სანთელი აუნთე, ნია,
სანამ ნიანგის ხახა ანათებს.
განათელ ვარდთან ჩანს უთენია,
ცრემლნი შვენიან ამ ამანათებს.

ნია, ნიადაგ ბნელით ენთები,
შენ გელი ბლების შეთვალებიდან,
ფრთების გნიასით დავითენთები,
თუ ია ჭირის შენს თვალებიდან.

ნია, თუ უნებს შენს დუნე ჭაროსს,
სამყაროს ხაროს დუდუნებს ფიქრი
და უნებლიერ ვარდს, უნეჭარესს,
მთვარისოდენა ეცემა ფიფქი.

ის არის მთვარე, ნალისოდენა,
შენაჩვენები ალით გამტყდარი,
მაღალი ვარდით ცრემლის მოდენა
და ხვალის მხრებზე ძღვარი საყდარი,

ამ გულს სანთელი აუნთე, ნია,
სანამ ნიანგის ხახა ანათებს.
განათელ ვარდთან ჩანს უთენია,
ცრემლნი შვენიან ამ ამანათებს.



ՀՅՈՒՅԹԻԿԱՆ

ԺԹԱՆ

Ծարևողմա այսպ եմա დაմաწօա,
ყեզս մանջուցօն լլեկվո ծუեւլա,
մաშն մորս օպո գաწամաწօա,
չշը օւեզ ենտօ մամօն եւեւլա.

Իզեն დავացուծ լունտան ցունցորա,
տვալս გვաდեցնեծ տեմելոն քոնքրայժա
დա մերն ուցեծ ცա დაიბորա,
մամօն զենախ մտლաდ დაիքրայժա.

Վոնց զո մօմահնդա հեմնե և սուլցրմելոաდ,
յզելամ օնանա յզեյնաდ ցահենա,
զենախ արազոն ցամունցելա
დա իզեն արազոն ցըկոտեա დարհենա.

ქელი ქიზვასი

ბავშვი აქ დარჩა თვალსველი,
დიდ ცრემლით მედღეხვალიე.
მივდივარ იქით წამსვლელი,
შენზე ფიქრს დღე შევალიე.

გულში სინათლე შემოვა,
ვარ ისევ დათვლილ ჟამამდე.
სანამდე გასტანს ეს ქროლვა?
არ მინდა, რომ გავთამამდე.

მოჩანს სინათლის კარიბჭე,
წასვლა არ გადავივადე,
შენს ვარდებს არ დავაბიჯე,
ბნელ მყინვარს შუბლი მივადე...



ტექს ხლებს

დაცარიელდა სოფელი და უკვე აღარ მეცნობა,
მაღლა მზე დამათბობელი, დაბლა დღის გულნამ-
ცეცობა.

ნუთუ არავინ არ დარჩა, რომ ნახოს ღელის
ლიპები?
გულში რაც სხივი გადარჩა, იმის კვალს ჩუმად
მივყვები.

რომ მხვდება უცხო ბავშვია, რომ მხვდება უცხო
ქაცია,
იქ ჩემს გულს უკაშკამია, მამას მთვრალს უბარბაცია.

ვიცი, სოფელო, შენი ხმა ცრემლებად დაიბადება,
გარდაუვალი შეიქმნა ვარდებზე თოვლის დადება,

გვერდზე ჩამივლის ბავშვობა-ნიავის მხარით გადება,
წინ-გულში დანის ჩასობა.. გზად წასვლისათვის
მზადება...

სი ზეჩვენის ხუკო

რაც ამოვარდა ქარი და ქსიტი,
მას შემდეგ ალბათ დიდი წანია,
ძილში მეძახის უცნობი ჩიტი,
ციცინათლების ჩანს ლიტანია.

იელვებს ბნელში დილის ნამგვანი,
ხმაჩავარდნილი ბავშვობის ექო,
ბნელს მიყრდნობილი ჩვილის აკვანი,
ზარჩამოხსნილი დიდი სამრეკლო.

ძილში ბავშვობის უცხო ველია,
იქ გადაუფრენს ვარდებს პეპელა,
იქ ისევ ჩუმად ჩქეფს სამგველია,
იქ ისევ ჩუმად დის კვართებელა.

გზად ამოივლის ფურისულებით
ბავშვი სიზმრებში ხმამოწკრიალე.
და მის თვალებში განწირულება
გადიდებული ცრემლით ციალებს.

რაც ამოვარდა ქარი და ქსიტი,
მას შემდეგ ალბათ დიდი წანია
ძილში მეძახის უცნობი ჩიტი,
ციცინათლების ჩანს ლიტანია.



პატის სიჭრობა

რა დიდრონი ფიფქებია,
წამწამებზე მეკიდება,
მსურს დღე იყოს და სულ თოვდეს,
სულ არ მინდა შებინდება.

მინდა, სულ რომ ვგუნდაობდე,
ქარში გავყვე ფიფქებს თოთოს,
მინდა მზერით მოვეფერო
ხეზე შემორჩენილ ფოთოლს.

სიხარული ადის ცამდე,
გარეთ მიხმეს გოგონებმა
და სიზმრებშიც სულ თან დამდევს
თოვლის თეთრი მოგონება.

ქუდის ქუთის

მოვარეს ფარავს ღრუბლის ქულა,
ცად ღრუბლების ჯგუფია,
გულმი შედის ტყვიის გულა,
მმოსავს სევდის სკუფია.

დამაწია ქალმა ჟატვა,
ქარმა ღრუბელს უქშია,
დაასრულა ბავშვმა ხატვა
და ეს გული შუქშია.

- დე აკრთობდეს ბავშვის ლამპას
ქარი კულულმპობელი.
მე არ ვცდილობ ქარის დაბმას,
ვრჩები გულულმობელი.



ტე წრთალებს უუწერთ

ნიავია, რა ხანია, გულმა ისევ ნახა ნია,
დუმხარ, ნიაგარა ყვირის: ბახ! ჰოეა. ბახ! ანია!

ვარსკვლავების ბროწეულის კვლავ ცვენა და
ჯახანია,
გული შენკენ მოწეული ხან ვარდია და ხან ია,

მნათობების წოწიალი თვალის ვიწრო საკანია,
ვიცი, ნათობს ძოწი, ალი, ლალიც ნათობს, რა
ხანია,

ხე წრიალებს უკენწერო, წერო ქარის საგანია,
არის მთვარის უკან წერო, არის სისხლის ლაქა,
ნია.

დაბუუბუბა

არის ცისარტყელები – ფერი ციცარ-იელის.
ვიცი ქარის ხელები მკვდარი სიცარიელის.

შორს არიან გორანი, გორა დავითოული,
წყნარი ქარი, ყორანი, თოთო ფიფქი, თოული.

წვიმამ დაალილავა ილმელების თხმელები,
იწვის მაღალი ლავა, ბეწვის ფერი მელების,

ითლებიან ხანდები, ხარ შენც ერისაგანი.
მანდეთ დიდხანს ხანდები – ისმის სოფლის
ქაქანი,

აქეთ გზაა ილმისი, ირმის კვალი, ურმები,
ნათობს მისი ივლისი, ნათობს მისი ხურმები,

არის ცისარტყელები – ფერი ციცარ-იელის.
ვიცი ქარის ხელები მკვდარი სიცარიელის.

ქუთხები

მოგესალმებით ვარსკვლავებო, მამის ეწერო!
მე მიხარია ჭრელ სიზმრების ვაზის გამორჩვა,
მე მიხარია, რომ გადატყდა ჩემი კენწერო,
მე ვესალმები, ვისაც ჩემი ცეცხლი გამორჩა.

ბნელ სულის ჭიდან მოჩანს მთვარის დიდი მეჭეჭი,
ბეჭით ქარებმა ჩამიმტვრიეს სიზმრის ვიტრინა,
მამა, კოშმარი ჩემს ნავს დახვდა, როგორც მქეჩი,
შეაღო ბავშვმა გულის კარი და გაიტვრინა.

ბავშვის სიზმრებში კვლავ იელვებს მერიდიანი,
სადაც ორფეოსს მოეხვევა ცრემლის მენადა.
მოგესალმები თეთრ ალმებით ქუდბედიანი,
შენი ვარსკვლავის გრძელი სხივი გულს დამენათა.



სინათლის წყუზილი

ეს მე ვარ მარტო, სიცოცხლის გაურკვეველობაში
ჩავარდნილი

და სურვილების ხანძრებით გადამწვარი.

მინდოდა სიცოცხლე ვნებებით აღსავსე,

მინდოდა სიყვარული დაუსრულებელი,

მინდოდა, დამენგრია ჩვენ შორის კედელი,

მინდოდა, დამეძლია სიკვდილის შიში,

მინდოდა, მეგრძნო შენი უცხო სინათლე,

ის სინათლე, რომელმაც გამოანათა ყვავილში

ის სინათლე, რომელმაც გამოანათა საყვარელი
ბავშვის თვალებში,

მინდოდა დამენახა ის სინათლე, რომელიც

ჩემიდან ხედავს სხვებს,

ის სინათლე, რომელიც სხვებიდან მხედავს მე,

ის სინათლე, რომელშიც დავდივარ

და მაინც უცნობია ჩემთვის,

მინდოდა, გამეგო სიკვდილისა და სიცოცხლის
საიდუმლო,

მინდოდა, შემეკოწიწებინა ჩემი დაგლეჯილი
სამშობლო,

მინდოდა, ხელები მომეხვია დედამიწისთვის,

მიდოდა, მიმეგნო იმ წერტილისათვის,

საიდანაც ყველა ვარსკვლავი მოჩანს,

მე ვიცი წარსულიდან წამოსული სინათლე

მომავალში დამხვდება.

მე ხანდახან ვხვდები, რომ სინათლე არსად მიდის,

მე ხანდახან ვხვდები, რომ ჩვენ არსად მივდივართ,

მე ვიცი, ციცინათელები და ვარსკვლავები

თანასწორნი არიან შენში.
ისინი თანაბრად ატარებენ შენს სინათლეს,
ისინი თანაბრად ანათებენ ბნელს.

ძს ჩილე

აქ უხილავი დღის მილევიდან,
სახმილავიდან განთიადამდი,
შუქი ეცემა დიდ ვარსკვლავიდან,
საფლავის ქვაზე ეცემა ვარდი.

აქ შენზე მწყრალი პრიალებს კუპრი
თუ რიარიად ფეთქავს აპრილი.
უპრიანია, გაცოცხლდეს ჭუპრი,
ფრთით ამოზიდოს ბნელი ნაპრალი.



ბნელის გაქრობას, მამა, თუ ელი,
გასრულდა მტრობა და გზის ტროპარი,
შენ შეგიწყალებს ემანუელი,
გზას გაგინათებს ჩემი რობაი.

მთვარის ბაგეთი გრანიტს ეხები,
მკვდარიც წუწუნებ: რანი ვართ, რანი
ტარიგო, ვისთვის განიტეხები,
შენს ქარებს წაჰყვა ბავშვების ფრანი.

კვ ხთ

მთვარის სინათლეში არის უთხოვარი,
გულდანათოვარი და გულგამიჯნული
და არის მაცხოვრის ახლოს მათხოვარი –
მთავარი მეინახე და მთვრალი მიჯნური.

ის არის გული მიჯნურთა ამბორების,
ხეა ბუდეგრილი და ხმა პირდაპირი;
ის ტირის გადახრილი მთვარის განშორებას,
ის ტირის, როცა ახლოა ბირდაბირი..

ის ტირის, როცა აღავსებს სფირიდებს,
მთვარის მზესუმზირით როცა გარინდდება,
ის არის, იმ სასმისს როცა არ ირიდებს.
მალე მის თვალებში ცრემლი გადიდდება..

ის არის ნექტარი – ბარათი ბარამბოსი,
ის არის ტარიგი, ჩვენთვის განტეხილი,
ვარსკვლავი შუბლმაღალი, ნეტარი აბოსი,
და უღელტეხილებზე მბორგავი ქარტეხილი;

ის არის შვილმკვდარი დედების საგოდისი,
ის არის „მისთა ნაკვესთა წინწალი”.
ის არის კენწერო, ნაძვების პაგოდისი,
და გულს ჩალურსმული სხივების ფიწალი.

მთვარის სინათლეში არის უთხოვარი,
გულდანათოვარი და გულგამიჯნული,
და არის მაცხოვრის ახლოს მათხოვარი –
მთავარი მეინახე და მთვრალი მიჯნური.

ჯაბჭალი საბუ

ყვითელი გული ყვირის გვირილის,
მისთვის დილაა სიკვდილის შვება,
მზის და სიცოცხლის ამოყვირილი
ფეხისგულებზე იგრძნეს ბავშვებმა.

ღამით ამოსდით ჩვილებს კბილები,
მამის ყოველდღე დიდდება ხელი.
ბნელისკენ ჩავლენ შენი შვილები,
დასავლის მხარეს სხივების მხრელი.

არ უგრძელდებათ ვარსკვლავებს სხივი,
ფერდჩაცვენილი ვარდება სფერო,
მარადის გოდებ, ბარათი შივის
– სიბნელე გინდა სისხლით გაფერო.

არის ანბანის ეს კიდობანი,
ცრემლით განბანილს გადუფრენს მტრედი.
მომესმა მამის ხნიერი ბანი,
როცა მის გაბზნილ სარკეს ვამტვრევდი.

ტალა

სიტყვები შენი სიცოცხლისა და სიხარულის
მომცემია,

ჩემი სულის დარბაზებში ახალი არსებები
შემოიჭრნენ,

შენი სიტყვებით ახლად დაიბადნენ, გაცოცხლდნენ,

თითქოს ღმერთმა დასძრა ამდენხანს დადუ-
მებული ენა,

თითქოს წყალი, სიცოცხლის წყალი ჩამოიქცა
სულის ბნელ ჭერში

და გადარეცხა, გაახასხასა საგნები, ჩემი სევდით
დაბნელებული,

სიცოცხლის აღდგომა მარადიულ ახლაში,

ბნელი მიწიდან გამოანათა დაკარგულმა ედემმა,

დრო შიგნით შემოიქცა, კი არ გადიოდა...

მისი წრეები შედგნენ შენი სახით, შენი სიტყვებით.

თითქოს სამოთხიდან გამდევნე ახლოს ხარ, მაინც
ვერ გხედავ,
თითქოს ცოდვების ბინდს დაეფაროს თვალები,
ჩემი თვალები,
რისთვის გადაება ჩემი სული შენს სულს?

როცა წითელ სამოსელში დაგინახე..
მეგონა ჩემმა გასისხლიანებულმა სულმა დამტოვა,
დაუძლურებული და ჯვარზე მოშვებული,
მიდიხარ.. მიდიხარ, შენი თეთრი ნათება მეფეთება,
თითქოს მკვდარი ვარ, ყოფნის კუბოში მოწრიალე
და ვერ მოსვენებული...

შენ, ჩემო დაკარგულო მზეო,
დაგეძებს სიბნელეში ჩაძირული ჩემი ვებერთელა
გული,
ეს უბნელესი სარკე მხოლოდ შენს მოლოდინს
ირეკლავს,

შენ გამაცოცხლე, შენ მომეცი სიხარული..
მე ვარ ჯუჯა მზე, მტირალა მზე,
შენი უწმინდესი სინათლით ავსილი,
შენი ურბილესი სინათლით ავსილი.

უნდა მივალურსმო ჩემი ათასობით სურვილის
ხელი,

ამ მილურსმის დროს ვხვდები,
რომ არის წყარო მშვენიერებისა და სიხარულის,
ეს არის შენი სიცოცხლე, შენი არსება ჩემთვის,
შენი ყოველი გამოჩენა ჩემი გაცოცხლების,
ჩემი აღდგომის დასაწყისია,
სხეული, როგორ საჭიროა სხეული...
აღდგომა უნდა მოხდეს უხრწელ სხეულებში.
არ მინდა ტკივილის მორჩენა, არც დავიწყება
მინდა.

მე მინდა გიცქირო შენ, მე მინდა შემოვიდე შენში,
აი, ღვთის სამეფო, აი სად ვნახე იგი...

სანამ არის დიდი სიყვარული,
ყველაფერი წმინდაა და შეურყვნელი,
მისი უცნაური სიხარული არის სვეტი,
რომელიც იკავებს, იჭერს სიცოცხლის ჭერს
ჩამოქცევისაგან...



მე ვარ სინათლეში ტანჯვის ჯვარზე დაკიდებული,
მე ვარ შენ უცხო სამეფოში,
სადაც შენ ანათებ წამებასა და სიხარულს,
შენ ხარ მოუხელთებელი მზე,
შენი ხილვა, დანახვა მიახლოვებს სიკვდილს,
სიკვდილს, რომელსაც სიხარულით ვიღებ,
სიკვდილს, რომელიც დამამშვიდებს შენი სახის
სიახლოვეს..

მე აღარა ვარ, მე არ მინდა ვიყო,
მე ვარ შენ სხივებში გაყინული აჩრდილი,
უარყოფის ჯვარზე მალულად მიღურსმული,
შენი სიცილის უფსკრულში შეუჩერებლად
ვარდნილი,
ეს არის შეჩერებული წამი, გაფართოებული წამი,
ეს არის ვარდნა უფსკრულში, შენი სიცილის
ტალღით,
გამოჩნდება კი მარადისობაში შენი ჯადოსნური
ხელები,
შენი მხსნელი ხელები?



დღით და ბაზარით ქათხური

ადამიანი ბუნებით მათხოვარია,
ადამიანებისაგან ყურადღებას ითხოვს,
მე წარუმატებელი მათხოვარი ვარ,
ღმერთიც წარუმატებელი „მათხოვარია“..
ისიც მუდამ ხელგაშვერილია და სიყვარულის
მთხოვნელი,
ისიც მუდამ გოდებს და წუხს რომ დაივიწყეს,
თუ სადმე ერთგულს და მოყვარულს შეეყრება,
სიხარულით აღარ არის,
ჩვენ როგორც ღმერთს, გვინდა რომ მუდამ
ვახსოვდეთ,
არასოდეს გვივიწყებდნენ,
მუდამ ჩვენზე ფიქრობდნენ,
ჩვენც მისი გაუარესებული ხატი ვართ,
ვერ ვიტანთ მარტოობას...
ხშირად დავკვირვებივარ მათხოვრების ორთა-
ბრძოლას,
სიონის კიბეებზე...
საწყალ, ნამდვილ მათხოვრებს როგორ
გაყრიან ხოლმე აგრესიული ბოროტი მათხ-
ოვრები,
დიდი ბრძოლა მიდის კიბეებზე ადგილის
დაკავებისათვის,
ვაი სუსტებს, და უეშმაკოებს....
ერთი ქალი „მათხოვარი“ ვიცი სამებაში ვითომ
სალოსობს

დანარჩენ მათხოვრებს ეზოში არ უშვებს,
თვითონ თავისუფლად დაგელაობს
სამების ეზოში გულზე ჩამოკიდებული ღვთის-
მშობლის ხატით, ფარშავანგივით მორთული,
ალბათ ყველას შეუმჩნევია.

გალადებული მღვდლების მეგობარი,
ფარშავანგივით გაფხორილი,
ხურდას და წვრილმანს არ ღებულობს,
თუ მოწყალება გვარიანი არ არის,
შეიძლება შეგაჩვენოს,
რაღაცით ჩვენს წითელ ინტელიგენციას მაგო-
ნებს,
ესკლუზიურად რომ ითხოვენ თაყვანისცემას და
ფულს,

სხვებს კი დიდი სისასტიკით ეპყრობიან,
ეშინიათ რომ მათი ადგილი
არავინ დაიკავოს სამათხოვრო კიბის საფეხუ-
რებზე.

ადამიანი თავისებური ფარშავანგია,
მუდამ სხვების თვალების სარკეებში
შლის თავის ფერად ბოლოს....
უყურებენ თუ არ უყურებენ,
მუდამ მოლოდინშია,
რომ ვინმემ შეაქოს,
ერთი სიტყვით ადამიანი საცოდავი მათხოვარია,
თუ სიამაყეც აქვს და თავის თავს არავის აძა-
ლებს,

სრულ მარტოობაში რჩება,
ის თვითონ ამბობს უარს იმაზე,

რაზეც უარს ეუბნებიან,
მარტოა ღმერთის იმედად იობივით დარჩენილი,
მიუხედავად ჭკუის დამრიგებელთა არმისა,
ის არასდროს კარგავს იმედს,
მან იცის რომ სამართლიანობა იზეიმებს.
მხოლოდ სრულ მარტოობაში ეხსნება ადამიანს,
სულის ფარული უნარები,
მრავალი წყალი ჩაივლის სანამ ყალბი და ჭეშმა-
რიტი გაირკვევა,
ის ვინც სიყვარულს და თანაგრძნობას ითხოვდა,
ახლოსაც არ გაიკარეს „ბობოლა მათხოვრებმა“.
კიბეზე ჩამოსაჯდომი ადგილი მისთვის არ
გამოიძებნა,

ვერც გამოიძებნებოდა.

მხოლოდ მიტოვებაში და სულიერ უდაბნოში
ეცხადება კაცს
ჭეშმარიტება, საიდუმლო, თავისი არსების შესახებ,
– „ყველგან ვეძებე ბოროტება და ვერსად ვერ
ვიპოვე იგი,
ხოლო როცა ჩემ სულში ჩავიხედე იქ შევხვდი
მას“.

ეს ასეა, ადამიანში ურჩხული ცხოვრობს...

მისი მოთვინიერება კი ძნელია,
მხოლოდ შემეცნების საშუალებით
კარგავს ძალას ურჩხული.

სანამ არ გავიცნობიერებთ რომ ურჩხულები ვართ,
რომელსაც ანგელოზად გადაქცევა წყურია,
სულს სხვას დავადანაშაულებთ...
ადამიანს დიდი ძალისხმევა ჭირდება,

რომ თავისში დაინახოს ბოროტი,
მშვიდად დაუკვირდეს, არ შეეშინდეს,
და უკან არ დაიხიოს,
სხვებს არ დააბრალოს ის,
რაც ისედაც მასშიც უხვად არის,
ათი მცნებიდან ბოლო ხუთი ადამიანური ცნებებია.
ვის არ შეშურებია, ვის არ მოსწონებია სხვისი
სახლი და ქონება?
ვის არ მოსწონებია მოყვასის ლამაზი ცოლი?
ვის არ დაუწამებია ცილი?
ვის არ უმრუშია?
ვის არ მოუკლავს კაცი თუნდაც ფიქრით?
ვის არ ნდომებია მასზე აღმატებულის დაცემა?
— მე პირადად კი....
სხვებზე არ ვლაპარაკობ,
აი ამ მასალისაგან ვართ აშენებული.
მაგრამ არის ჩვენში ანგელოზურიც,
ეგოიზმის გარეთ რომ შეუძლია გახედვა,
თუ სიყვარულით შევხედავთ ადამიანებს
მაშინვე აღმოვაჩენთ სარკმელს,
თუ ამ სარკმელში გავიხედავთ,
ჩვენ მაშინვე მათხოვრების საზოგადოებაში
აღმოვჩნდებით,
სადაც ყველა წელგაშვერილია
და სიყვარულის მთხოვნელი,
ამ სარკმლიდან ჩვენ დავინახავთ დატანჯულ
ადამიანებს,
რომლებიც მუდმივად სიყვარულს ეძებენ,
„ადამიანს ქება იმიტომ უყვარს,

მზის ნაწილია იგი,
როცა მზე ამოდის ფრინველები უგალობენ მას,
ყვავილები კი იშლებიან”,
თუნდაც ეს გაშლა არყოფნას უახლოვებდეს...
ისინი ამაზე არ ფიქრობენ, ისინი უბრალოდ არიან,
ჩვენ კი არა ვართ
ჩვენ ვართ მუდმივად სხვისი ბოროტების დამნა-
ხავები,

სხვათა მოძულენი..

საკუთარი თავის კერპად მქცეველები.
თუ სიცოცხლე სხვების საკურთხეველზე არ
მივიტანეთ,
ის არ ანათებს, ბნელია და ბოროტების სადგუ-
რად იქცევა.

სხვების თანაგრძნობა და სიყვარული..

აი ერთადერთი ბილიკი ღმერთისაკენ,

საკუთარი თავისაკენ,

გზა საკუთარი თავისაკენ სხვების მსახურებაზე
გადის...



დღისა და დაბის ტათანაშვილის

იგი პუდელივით პატარა იყო და მაგიდაზე
სოროსის ნაჩუქარი კომპიუტერი ედგა.
თავი ნესვივივით გაყვითლებ-მოშიშვლებოდა.
მისი საყვარელი ფილმი იყო მაშველები,
მისი საყვარელი მსახიობი – პამელა ანდერსონი
მისი არატრანსცენდენტული ხედვის ჭრილში
ხანდახან გაკრთებოდა სილიკონის ძუძუებიანი
ბედნიერება,
იგი კი ოცნებით კიოლნის ტაძრიდან გადმო-
მდგარი
სელინ დიონის გოლფსტრიმივით თბილ ხმას
წამით სხვა სამყაროში გადაჰყავდა,
სადაც სინდისყორემორღვეული ადამიანები
ან გოლფის მოთამაშე მდიდრები
დიდუმუებიან მდედრს, პამელას ან სინდის,
უღიმოდნენ,
მის გონებაში ჯერ კიდევ შერჩენილ ღადარს
შემოღომა-ზამთრის ტორნადო მოახლოვებოდა
ელვის მკრთომელი ძაბრით.
მისი შავთეთრი დღეების გამხდარი ზებრა
ტკბობის ოქროსფერ ქერის მნას გარშემო უვლი-
და.
არა, ბერობა არ სურდა,
მისი სიცოცხლე ნეგატივი იყო,
რომელსაც სიხარულის ბნელ წყლებში
არასოდეს ეღირსებოდა ჩაშვება.

მისთვის კომპიუტერი ტკივილის დამაწყნარებელი იყო,
სევდას მისი მნათი მონიტორის წინ ტოვებდა
და უსაზღვრო, ვირტუალური ფანტაზიის
ოკეანეში მისცურავდა,
სადაც ის ყოველდღე იხრჩობოდა
რათა პამელა ანდერსონს გადაერჩინა.
იგი ჩარლი ჩაპლინის ფილმის გმირი იყო,
მისი ნიღაბი და გრიმი.
მისი ჰობი – დიდ გოეთესთან თავის შედარება,
მის ფიქრებში გოეთეს გოთიკა
მისი სულის უთეთრეს სვეტთან შედარებით
მცირე ჩანდა,
ხიბლავდა პასტორი იან გიჩო,
უნდოდა მისი ლიფტებიანი ეკლესია ენახა,
აინტერესებდა პამელას და მადონას ლიფის ზომა
და ჩანჩქერ ვიქტორიას სიმაღლე ზამბეზზე,
აინტერესებდა ზამბახების სიმაღლე
გალაკტიონის დალანდში
იგი მოძრავი ლანდი იყო ბახის ორლანთან
მოწრიალე,
მისი ლერწამივით წვრილი მკლავები
წეროს ფრთებივით იშლებოდა.
ამ ქაოსიდან აფრენას ლამობდა,
რომ პამელას უბნელეს ფოსოში პეპელასავით
შეფრენილიყო
ან თეთრი ფრანივით ექროლა,
სანამ მისი როლი არ დასრულდებოდა.
მომღერლებიდან მოსწონდა ფრენკ სინატრა,

მასთან შეხვედრას ნატრობდა და მისი ნიუ-
იორკით ტროვდებოდა,
თავისი პროგრამა ტროას ცხენივით წარმოედგინა,
რომელსაც დღეს თუ ხვალ ნიუ-იორკში
შეათრევდნენ

და თვითონაც შეჰქოდა.

სწამდა არისტოტელეს ფორმა,
იცოდა, რომ ფორმა და სუბსტანცია ერთი იყო
და უსასრულო, ურიცხვი ვარსკვლავებით მოჭე-
დილ ცის ქვეშ

განცვითრებული ჩერდებოდა.

მას ღვთაებაში მშვენიერების ასპექტი ხიბლავდა
მისი ხილაბანდახდილი სახე,
მისთვის, როგორც ჯეონის ნაპირზე მოხეტიალე
სუფისტებისათვის,

ქალის სფინქსი და ღვთაების სხივი იყო.

იგი უმაღლესი ეონი იყო
მშვენიერების ნაპერწკლების საძიებლად ქვე
დაშვებული,
იგი ცვალებადი მოდის სულს დროდადო იხელთებ-
და

და თავის გონების ცვილის ეტლით თუ ფაეტონით
დიდი მონადისაკენ ისწრაფოდა.

იგი გაღეული მონადირე იყო,
რომელმაც სიხარულის გოლეულს გაუსინჯა გემო,
როცა პამელასაკენ გადადგა მოდურად ნაბიჯი.
ელტონ ჯონს უსმენდა ხოლმე,
ცის ხომლის ნათებას როცა შენიშნავდა ფანჯრი-
დან,

მისი გრანტული ბედნიერება,
 როგორც ჩვენი სიცოცხლე, სასრული იყო.
 ზემოდან საცოდავი ეგნატეს სურათი ჩაშტერებოდა,
 ცხოვრება შარტრის ქიმერებივით
 სულ უფრო ამაზრზენ ფორმებს იძენდა,
 ვერავითარი იძინი ვერ უჩვენებდა გამოსავალს,
 წინ მიღების მბოლავი რეალობა ედგა
 და ტოტალიზატორში მადრიდის რეალზე დადო,
 მხოლოდ იმედის ალი ათბობდა.

დროდადრო აღელვებდა თებეს დაქცევა
 და თავის ოცნების მთებიდან სახევანათებული
 ისტორიის სტერილურ დროებში იმზირებოდა.
 ნაცისტებიდან გებეჯლის ხიბლავდა, მისი ერუდიცია,
 ისტორიის ერთ-ერთ გმირად მიაჩნდა ქრისტე,
 მის ანტიპოდს მორალში, ლორენს სტერნს,
 ახალ მესიად ცნობდა, საგნებს რომანტიკის
 მზით რომ ანათებდა.

აღაფრთოვანებდა ლუთერი, მისი ოთხმოცდა-
 თხუთმეტი თეზისი,
 განსაკუთრებით მისი წინადადების ჭედურობა
 და არა შინაარსი.

მისი კომპიუტერის ჭრილიდან, ღიობიდან
 მას ხანდახან ესტუმრებოდა სილიკონის ძუძუ-
 ებიანი პამელა.
 მისი გონების ეიკონ-ზატი საგანთა მშვენიერი
 კონფიგურაცია იყო.
 განსაკუთრებით აშმაგებდა ქალების ფიგურული
 სრიალი
 და იმ ქალების უკანალის მოხაზულობა

თავის აზულად, თავშესაფრად მიაჩნდა.
იგი რამაკრიშნას ანტიპოდი იყო,
მშვენიერება მასზე ანტიბიოტიკივით მოქმედებდა
და მის პროზაულ ოქმებს პოეზიის ოქროდ
აქცევდა,
მისი დაქცეული სახლი ესკორიალივით მშვენ-
დებოდა,
ვიღაც ჯადოქარი აცილებდა უამის მტრედების
გაქვავებულ სკორეს
მის ხავსმოკიდებულ კრამიტებს,
კარტში მოსწონდა ჯოკერის თამაში
განსაკუთრებით მშვენიერი სქესის წარმომად-
გენლებთან.
კარტებიდან – ქერა დამა, მას პამელას ამსგავ-
სებდა,
და მოგების ნიშნად მიაჩნდა,
მოსწონდა აფრიკა: ნიგერია და ჩადი,
მოსწონდა ნიაგარა, ცისარტყელებით მორთული,
მოსწონდა ნართების ეპოსი და პიუზოს რომანი
„ნათლია“
იცოდა მშვენიერი ქალების ფასი და
ჩამტვრეული საძირე კბილის ფესვივით სტკიოდა
მშვენიერება.
იგი ვარდების ასაფურცლად აღძრული ზეფირი
იყო,
უყვარდა კეფირ-იოგურტი, როცა დანაღვლიან-
დებოდა.
იგი პამელას იღლიების სიბნელეში
მისამალად გამზადებული მთვარე იყო,

მისი ვნება დემოლიტივით უხმაუროდ ანგრევდა
მისივე სხეულის ქოხს.

იგი დიდი ხატიპეპელა იყო,
რომელიღაც სპირსის თუ ვიქტორიას უკანალ-
ზე ამოსვირინგებული.

თავის ცხოვრების რინგზე მუდამ იმარჯვებდა,
სიზმარში ვერცხლისფერ მერსედესს მასქროლებდა,
როცა პამელასთან მიიჩქაროდა.

რატომდაც აღიზიანებდა იჩქერიის პრეზიდენტი
დუდაევი თუ მასხადოვი,

მაგრამ უყვარდა ტაბაკინის მონასტრის ქვემოთ
დიდი კლდიდან გადმოვარდნილ ჩანჩქერში ბანაობა,
ხახდახან ახსენდებოდა ოშკი და ბანა

და თურქეთს წმინდა გიორგივით თავს შუბით
უნგრევდა

იგი სინათლის სხივი იყო,

ბნელმა რომ მოინელა

და თრითინასავით ჩუმად დადიოდა.

იგი სინათლის ათინათი იყო, პატარა უფალი,
მოსწონდა კათოლიკების პატრები ფორმისა და
ლათინურის გამო.

ლამღამობით კითხულობდა ტაროს და ტერიარ
დე შარდენს,

როგორც სიზმარში ჯოჯონეთური შარდდენა,
არ სრულდებოდა სიცოცხლე.

მოსწონდა ფეხბურთელი ბაჯო,

იცოდა რა ფერის მაისური და ტრუსი ეცვა
და რომელ რიცხვში გაიტანა გოლი.

უყვარდა ვირტუალურ მწვანე მოლზე თამაში.

მისი კომპიუტერის კლავიშის ყოველ ჩავარდნაზე
ეკრანზე შემოდიოდა ქრისტე და ბუდა, პამელა
და სინდი,

მეტროპოლიტენის მუზეუმის გალერეა და ეიფელი.
აქ კომპიუტერი მისთვის სამოთხის ფილიალი იყო
იგი მოთხრობის დავიწყებული პერსონაჟი იყო
მწერალს რომ გამორჩენოდა.

იგი უთვალავბაგებიანი ჩრჩილი იყო,
პამელასა და სინდის კაბებს შეჩენილი,
იგი ნახევრად დახატული ჭილო იყო
აბსტრაქციონისტ-პოსტმოდერნისტის,
იგი ადამიანი იყო სულის გარეშე
და მაინც სასულე არ ეხშობოდა,
იცოდა ბერტრან რასელი,

კემბრიჯში რომ ასწავლიდა ასი წლის წინათ,
იცოდა ჯიპების ყველა სახეობა და ქვესახეობა,
ჰქონდა ცარიელი ჯიბეები
და მოსწონდა შევარდნაძის ეკონომიკური პოლი-
ტიკა.

ცენტრიდანული ძალების მიზიდულობით
ისწრაფვოდა ელიტისაკენ,
ვითარცა ირემს, ეგრე სუროდა მათთან ერთად
წყაროი შენი
და არ იცოდა შენდობა მტრების,
ოცნებობდა წაეკითხა ტრისტამ შენდი ინგლისუ-
რად.

ტანსაცმლის ფირმებიდან უყვარდა პიერ კარდენი,
ოცნებობდა მუდმივად ჰქონოდა უფასო დენი,
უყვარდა დემის რუსოს სიძლერები და პამელა,

რომელსაც ძუძუს ღარი მუდამ მოშიშვლებული
ჰქონდა.

ოცნებობდა თინეიჯერ გოგონებს
ტრუსების არშიაზე ლაზერით გადაეტანათ
მისი იულიუსის მსგავსი პროფილი,
მოსწონდა კოფი ანანის თეთრკანიანი ცოლი
და სურდა მის ქათქათა ტანზე მასაც წაეზულუ-
სებინა.

მისი ტვინის ასიმეტრიულ ნახევარსფეროებში
შემთხვევითი ფიქრის ციცინათელები
პატარა სინათლეებს ბნელში ასუსურებდნენ,
ცხოვრების ტექსტის სტიდან გადავარდნილს
ზარავდა უზნეობა და სისასტიკე.



ქანკეფი

შორით რიალებენ ღამეთა ჭვარტლები
და მთვარის ბორცვები ვნებებით ნათენთი.
ფრთებით იმოსვიან ჩურჩულით მატლები,
– ჩურჩულით: შენა ხარ ბოლო ერთადერთი.

ბნელ სკნელებს ეჩვევა ჩუმი მინოტავრი,
მზეებს იშორებენ ლურჯი სარკმელები,
ღამეთა ხიდებზე დგებიან მგზავრები,
გლუვ ჟამის ძელებით – ჯვრებზესაცმელები.

წამით ირხევიან გრილი საფლავები
და მაინც ზღვებთან დგანან არხონტები,
თეთრ სვეტებს მალავენ ხროტინა ლავები,
იმედებს – გემიდან ნასროლი ბოთლები.

ვნება მაცდურდება ეგზომ გაცვეთილი,
წყლებით იღვიძებენ ქარის სადგომები,
ისევ მეორდება ჟამის გაკვეთილი,
ახალ გარდაცვლებით, ახალ აღდგომებით.

ზეგ და კახ ტოტი

დიდდება გული, მზე გარდმოიხსნა მძიმე
თვლემიდან,
ისევ ვაგუბებ მომსკდარ უამს გონგით.
მღნარ გუდრონიდან, მოღიაღებულ საფლავებიდან
წამოიწევა მზე და ვან გოგი.

საღამოს შრამში ფეხმძიმდება მზით შიო-მღვიმე,
ჩურჩულებს მკვდრები და ელევსინი.
შენი თვალები დავიწყების ცას შეუღიმებს,
კვლავ მთვარეების გაელავს სინი.

ქვის გული – მორგი მიატოვეს ფიქრის ფარებმა,
გაერიდება მძიმე ხორცს ძელი
და ხმაჩაწყვეტილ სავსე მთვარეს გადეფარება
თმაგაწეწილი ფიქრის ძონძები.

დიდდება გული, მზე გარდმოიხსნა მძიმე თვლე-
მიდან,
ისევ ვაგუბებ მომსკდარ უამს გონგით.
მღნარ გუდრონიდან, მოღიაღებულ საფლავებიდან
წამოიწევა მზე და ვან გოგი.

ცალ გუბრი თბილი

სიცოცხლე მზე და ფაეთონია,
სიკვდილი – ისევ სხვა საპყრობილე.
სული მარტოა თეთრი სვეტივით,
სფინქსის დუმილით ცად აყრდნობილი.

ჩამოშვებული ეთერის ტანით,
ღამე წმიანობს შენი მფარველი,
დახრილ თვალებით შემოგყვებიან
დამძიმებული ლურჯი მთვარენი.

მინის თაღები წყლებში ინთქმება,
რბილ სვეტებს შორი ცანი ჰყინავენ,
ფრთებგარუჯული მიესვენება
არყოფნის ლანდზე თეთრი ფრინველი.

სიცოცხლე მზე და ფაეთონია,
სიკვდილი – ისევ სხვა საპყრობილე.
სული მარტოა თეთრი სვეტივით,
სფინქსის დუმილით ცად აყრდნობილი.

პირვენი

მზერით მფრთხალი უფსკრულები
ივსებიან ფრთების კდემით,
სიცოცხლისგან იკურნები
სადღაც მიღიხარ და კვდები.

ნუთუ ტანჯვისათვის მოხველ?
გარდაცვლამდე ები ბნელში.
მწუხრით ამოხეთქილ ოხვრებს
მინის გუმბათებით შეფშვნი.

გართობს კვდომა, ზორვა ცივი,
მთები, მუდამ შეღამული,
ფრთები, მწუხრით დანაცვივი,
თრთოლვა მზეთა, დღეღამული.



ჩუბჩულ

ღამეა ბნელი, გაუტანელი,
სული დაღლილი და დაძნბილი,
შორს სფეროები დაუთვალავი,
შენი ხელებით გამოძერწილი.

მზის სხეულებში ჩაესვენები
ტკივილისა და წასვლის თავდები,
ქაოსს შთაფლული ნათელს ევლები,
უხმაუროდ და ცრემლით ქვავდები.

ჩაიფერფლები, ჩაისეტყვები,
რტოებს ჩამოჰყრი და დამცირდები.
გეჩურჩულები შენი სიტყვებით
და უიმედოდ მაინც ცივდები...



პატი გვიას

შავი შირმა, შავი მთვარე ხარის თვალმა აკრიბა,
შვიდი ცით და შვიდი მთვარით გტბორავს რაბი
აკიბა.

ამოიყრის ცათამბრჯენი, სავსე ხარის თვალებით,
ბიბლიური ანგელოზი ფრთებითა და თარებით.
სივრცის კუბო, მინის კუბო, სისხლის რთვილი
ხშირ-ხშირად,

მზესუმზირა, მზეთა ღერბი და ჩურჩული: ვიშვი
რად?

შავი შირმა, შავი მთვარე ხარის თვალმა აკრიბა,
შვიდი ცით და შვიდი მთვარით გტბორავს რაბი
აკიბა..



მთბულოს ფაზია

მინით ივსებენ ფერდებს შავი პირამიდები –
სხვა რომბებია, სხვა ხედები, სხვა კრამიტები.

მწუხრის სვეტებში შერეული სული გალხვება,
სფინქსის დუმილში შორეული მზე ითალხება.

დღეები ისევ იშვებიან მქრალ ღამის შვლებით,
სიკვდილისაკენ მიჰკვალავენ გზას კლავიშები.

თავს ჩამოჰკიდებს მზესუმზირა ჭანჩაცელილი,
ცათამბრჯენების თვალებია კვლავ ჩაცვენილი.

მინით ივსებენ ფერდებს შავი პირამიდები –
სხვა რომბებია სხვა ხედები, სხვა კრამიტები.



ქ ქ

შორი ციმციმი ქალაქთა ხომლის,
მზესთან ციალით ცრემლები ზვრების,
ხშირ ჟამთასვლაში, მომსწრე ვარ რომლის,
ღამეს მიჰყვება მტვრიანი გზები.

დუმს ულმობელი სიბნელე ქუფრი,
ჯვრებთან ჩურჩული: დრო არის, გარდმო,
კვლავ გაცოცხლდება ბნელეთში ჭუპრი
და მზესუმზირა თვალს ახელს ფართოდ.

გიყვარდა ვინმე ამ მთვარის ქვეშეთს?
ნაძვის გუმბათში გალობდა შაშვი?
გული ესვენა გარანდულ შეშეთს
და მგელს მთვარისთვის მიედო ლაში.

შორი ციმციმი ქალაქთა ხომლის,
მზესთან ციალით ცრემლები ზვრების,
ხშირ ჟამთასვლაში მომსწრე ვარ რომლის,
ღამეს მიჰყვება მტვრიანი გზები....



განახლების კიდობანები

მთვარეთა ჩუმი, უხმოზე უხმო გრილი ზორ-
ვებით,
ეცემა ჩქამი და ფშვინავენ დინოზავრები.

კეთროვან ღამით დაცისფრული კიდობანები
ნაზარევლებით დაღლილ ტანებს განიბანებენ.

თეთრ ტილოებით კიაფობენ ანგელოზები,
დახორკლილ მინებს – შერუჯული თაღი ეზრო-
ბათ.

მარადისობა – სხეულების ცივი საზვერე,
მღვიმით ბრმობილი სხვა ქირონები.

მზეების ნათელს დაღვრემილი აღარ უმზერენ
თეთრ დუმფარებზე ჩამომსხდარი მღაბიობები.



საყდრის სიზრიდე

ღამით დადუმდნენ წყლის ბულბულები
და უხმო ზეცის თეთრი მინები,
საყდრის სიგრილით დაგიბრუნებენ
რბილი მთვარიდან ხმებს თრითინები.

ბნელს მოიხვევენ ბაბილონები,
ფრთიან ხარებით მინათენთები
და ლაუვარდების ბიბილოებით
მინებს სერავენ მინარეთები.

იზრობა ხმები, მზეთა მგლოვარი,
ოხვრებით მოგფშვენს ცათა სარქველი,
ისევ მდუმარებს მთა საქომარის,
გრილი ნათელით სხვათა მიმრქმელი.

უცხო ვარ ისევ, ჩემთვის უქმია,
თეთრი ბორბალი სისხლით ნაგრილი,
კვლავ სულეთია, ბნელეთს ბუბნიან
თავის ქალები თეთრ მარგილებით.

ღამით დადუმდნენ წყლის ბულბულები
და უხმო ზეცის თეთრი მინები,
საყდრის სიგრილით დაგიბრუნებენ
რბილი მთვარიდან ხმებს თრითინები.

ურანის სფეროები

დუმდნენ ურანოსის თეთრი სფეროები,
ოდნავ ნაყვითლარი და ნაღველნარევი.
გულში იძრებოდნენ ყრუ ხმიერობანი
და ტაძრებს ფარავდნენ შავი ლელვნარები.

უმსხვერპლოდ, უხმოდ დუმდნენ ბომონები,
ჭერში ფრთხიალებდნენ შავი ქურუმები,
ხმობით ხრიალებდნენ ქარების ბორნები
და მზისკენ დიოდნენ ნელი ურმულებით.

სვეტებთან როკავდნენ ქალნი სამთვარიო,
ზარი გუგუნებდა, ცაში გადახრილი,
თაღი ალმურობდა, მრავალთვალიერი,
დახოცილ ნახირთან ზმუოდა მენახირე.

ზარზე მძიმე არის ტანის აღდგომანი,
ამაოდ დაგიცვეს რვალის ასპიდებმა.
აქეთ სიცოცხლეა შენი საგლოვარი,
იქთ სიკვდილი და მუდამ დამშვიდება.

შეის გადინება


მზე მიესვენა, მიძინებას გულმინდობილი,
გული ლოდინის მინაზეა შუბლმიყრდნობილი,

გულს გასერავენ ბნელზე ბნელი სვლებით
ლანდები, ციცინათლებად გაიშლები, გარიალდები,

გულს გაანათებს ამ ღამეში ბავშვი-ჩითილი,
აქ მზესუმზირებს ქარებთან აქვთ ისევ ჭიდილი,

დაღალულ ჯვრებთან დაყუდდება კვირაცხოველი,
დაღლილობისთვე მდორეებით მიმაცხრომელი,

მზე მიესვენა, მიძინებას გულმინდობილი,
გული ლოდინის მინაზეა შუბლმიყრდნობილი.



ՔՆԱԾԼՈՅ ԽՈՂՄԱՆՉՈՅ

տշտրո, րծնիսյերո ճանեծո,
շնմու գրոլդեծոան քամարցեծոտ
լուրջո տալեծոտ եմոանեծեն,
ծնելմո ճածորուլո սամարցեն.

Մշլո հաակցելեծ լուտուս մժորցէս
տալո օծորուցեծ մինուս և կնելոտ
լամեյծուս մթրալո և միմպուժրուզոտ
լանձեծո ցնչեծ հոմած մուկվլեցեն.

Ծնելմո մուրուացեն սամրեկլոնո
նաժամեծ լանձոտա տշտրո Շուծլեծոտ,
մուցուզո և տուրուցո, հեմո տեծրոլլոյ,
մշնուզուս մշնուրուլո սացալոծլեծո.

տշտրո, րծնիսյերո ճանեծո
շնմու գրոլդեծոան քամարցեծոտ
լուրջո տալեծոտ եմոանեծեն
ծնելմո ճածորուլո սամարցեն.

დღდო შექუმნისა

უამს ისევ დაიხვევს ძველი ქვის საათი,
ლამე იხიბლება მთვარის მიფარებით,
მთებიდან ზვავები იძვრიან ტაატით,
ძველ ქუჩებს აბრმავებს სინათლით ფარნები.

ცათამბრჯენებიდან უცებ მოინგრევი,
შენი სათიბია ძნებად ჩაცელილი,
ფრთებს გადასცდებიან შენი ბოინგები,
მზეები ჩათვლემენ, თვალებჩაცვენილი,

სფინქსის მდუმარება კვლავ შენი სახეა
ან სხვა ხელისგულებს იხსენებს ნალურსმევი,
ახლა შეიძლება ცის თვალის გახელა
და ჟამის მდინარება წერტილდაუსმელი.

უხმოდ დადრეკილა სიკვდილის ბზარულთან
დიდი მზესუმზირა თავის მოგონებით,
თვალებს ახამხამებს ღამეში გარუდა
და კარიბჭეებთან თვლემენ გორგონები.

მზისკენ იშმუშნება მიწათა საბანი,
ძვლების სიმყუდროვეს ნუღარ შეიმდურებ.
თავდავიწყებათა ემბაზში განბანით
ამ ნიღბებს ყოველ წამს ითრევს შავი მდორე.

საბი უკალა შე

შებზარულია ქალა თხემების,
მზემ ჩაიარა კვლავ ხარის შუბლით,
შავ მთვარეების ამოხველებით
ყრუ მდუმარება დაგხარით უფლის;

მინის თაღები წვანან ღამეზე,
სივრცეებისკენ იწევენ ჯვრები,
სისხლის მტევნებში იხრება მეზვრე,
მხურვალე შუბლებს აგრილებს ჩვრები;

ამ სიმაღლიდან მიწაა მძიმე,
ღამე კომეტებს თავის მკერდს მოთლის
და საფლავებთან მზით მოციმციმე.
დუჟმორეული იხსნება ბოთლი;

და სული მაინც წითლის ფერია,
ჩუმად იალებს ფერცვლილი ბადრო,
ღამეს ახალი დღე მიჰფენია,
სიკვდილისაკენ ხრილი დროდადრო.

თეთრი არყები

იბზარებიან ხმობით თაღები,
დუმს ვამპირების მჭლე სასილოსე,
შორს მთვარეების მისარქმელებზე
სიკვდილი მოაქვთ ციურ ნილოსებს;

მთვარის მთებიდან ცა შეიბინდა,
შავი ურნებით ნავარაყები,
მიძინებული მზის ზეგნებიდან
ამოხეთქავენ თეთრი არყები;

მხრებზე სიგრილე თრთის მინაყრდნობი,
სიგრილეებით მინამდორალი,
წელთაღრიცხვები რაღაცას გრძნობენ,
ღრმა და ქვაბოვან მინებს ტბორავენ.

ამოდის მთვარის დახრილი ეტლი,
ჯვრებზე ანთხევენ სისხლს ასპიდები
და სამარეებს მორყეულ ეტლით
ჩუმი სისინით მოაქვთ ბინდები.

ჰოლანდი

სკნელებს ცვიოდნენ ნიამორები,
დღეთა თვალებით მითენთილები
და ლურჯ ღამეებს მიაგორებდნენ,
შეგრილებული ზეთისხილები.

თეთრ ქუთუთოებს ხრიდა შროშანი,
შეფაკლული და უამთა მგლოვარი.
ცივ მზეებს უხმოდ აშოშმინებდა
სიკვდილი გრილი და უხსოვარი.

დგები შიშით და ელდით უცქერი
ჩემს გულზე მზეთა გადაგორებას,
შენი სხეულის უზღვავ საფლავებს,
სულის შეკრთომას და განშორებას.

ცის უთეთრესი ფრთებით ფერფლდები,
გეყო, რაც მღვრიე მზეებს უმზირე,
დატანჯულები ვერცხლის ფარფლებით
მთვარენი ხრიან ძირს მზესუმზირებს.

სკნელებს ცვიოდნენ ნიამორები,
დღეთა თვალებით მითენთილები
და ლურჯ ღამეებს მიაგორებდნენ
შეგრილებული ზეთისხილები.

სულახ უძმა ფსუჟით

განთიადი შემოაწვა სარკმელებს,
სული დუმდა სხვა მთვარეთა ნაღველით,
სულზე გრილი თეთრი მისარქმელიდან,
სხვა სივრცეა კრძალვით დაუნახველი.

ისევ გახსოვს ღამეების სიგრილე,
მთვარეები თეთრ ფარფლებზე მგლოვარი,
თეთრი სვეტი, უხსოვრობით მიხრილი,
თეთრი ჭანი, თავის თავის მგვემარი.

ვიცი, რომ ცა სულის უხმო ფსკერია,
რომ ეთერში ცახცახებენ ხბორები,
აღმოსკდება ანგელოზი ქვევრიდან
და სიცოცხლეს ბაგით ეამბორება.

მე ვარ მარტო და სიკვდილის ზღრუბლები
ლეთის ახლოს მოგონებით გამთბარი,
მოვა ქარი, აირევა ღრუბლები,
შიშველ რტოებს გამოიხმობს ზამთარი.

განთიადი შემოაწვა სარკმელებს,
სული სდუმდა სხვა მთვარეთა ნაღველით,
სულზე გრილი თეთრი მისარქმელიდან
სხვა სივრცეა კრძალვით დაუნახველი.

ბინდის საუფლო

ბოლოეამს ვთლიდი კორძიან კუბოს
და იმ დღის სხეულს უხმოდ ვლურსმავდი.
დგებოდა ნელა ბინდთა საუფლო
მნათობებით და მინის გუმბათით.

ვუსმენდი ოხვრით მოგარდნილ ნილოსს,
სისხლით სფეროებს როცა რეცხავდა.
კუბოთა რხევით უნდა გაგრილო,
აյ შენი სახე გამომეცხადა.

მარადისობის ფსკერზე მილექე,
დღეები, ტანჯვით დაბეჭდულები.
მოვა ჟამი და მერე იფეთქებს
სისხლით და ხორცით სავსე ჭურები.

მომდგარა კვდომა შიშით და ზაფრით,
პირს შეიბრუნებს გრილი დინება.
სიბნელისაკენ გადახრილ აფრით
ბავშვს ვარსკვლავებში ჩაეძინება.

ძიდისაძი

მღვიმავს სიკვდილით, სარკოფაგში, მზესთან
ახლოში,
გაშლილი ფრთებით მომინდება სულის ტარება,
ვიცი, სიცოცხლე დამბიმდება და მონათოში
გული შორეულ შენს ნაბიჯებს მიეტანება.

როცა მარტო ვარ, გულშემქრთალი განადგურებით,
ფრთებს ვეფარები, დაბრმობილმა თუ მოგაგენი.
ტანჯვის ღამენით, კიბეებით საღამურებით,
სამრეკლოზეა ანგელოზი უხმო ბაგენით.

ჩამოლვენთილი, გადამცხრალი შემეხორცები,
ჩაინავლები სინანულით და ამბოხებით,
მიდისარ ჩუმად, სფეროების თეთრი ბორცვები
გზააბნეული მოგძახიან ხმადაბოხებით.

ჰა! საცა არი გამოჩნდება შენი ცხებული,
ვინაც მდგმურები მახსოვრობის ბალს მიანება...
სიცოცხლიდან და სამყაროდან ამოღებული
უცნაურია ჩვენი ბაგის ახმიანება.



ՍԱԿԱՆ ՇԱՏՐԱՎԵՐԻ

աճամիանո ցաւըլա Ռելիգիօնա ու პռլութիւնուրու
մոժագրեծիս ան դա էուրա. միև յնանի ցանցենուունա
զոյլու Տոկագուալնչե, Տոպարուալնչե, Շրունչե, Շմերտսա
դա մ՛շշենուրեանչե; Խոջուօքնչե, Ռողորու Տուրումիս
նաշուլնչե դա միև մոմարտեանչե յովամուտան; աճա-
միանո մոյույնալու արևեա, օցու ցուուրուն, ակենաս
տազուս ծեզու քրուս օմ նախուլնի, Ռոմելու միտո-
ցուսա ցանցուույունու; յնա կո աճամիանցիս ցարս յուրիցմիս,
Ռողորու ուցենցիս ռյայեան տազուս Շպալմպենարու-
ծուու, մ՛շանց մեցունցիս, Ցուցենցիս, Շրմուլցիս,
Շպալմէցի վայլցանցիս. յնու Տիրաբագ մոժրազու
Քալուցի աճամիանու յրու ազգուննչե ցահերեծիս նենաս
ար աժլեցեն. աճամիանո յնու Քալուցիս օմենցիս
տազուս մեթացունցիւր Տուսքումցիս. Ջրու, Շմերտու,
Տոկագուալու, Տոպարուալու, մ՛շշենուրեսա ուրմալցիս
միցացաւ յմնուան տօնու նայացցիս, Ռոմելուաց մոան-
Ռունց աճամիանո յորունցաւուու մուշպաց. յև Տուքպացի
Տոմելուուցիս, յնդուսոցուն Շերտուուցիս, Ռոմլուս
Տամպալցիստ աճամիանո մոժրառուս տազուս ցնօծուրու-
ծիս յովամունի. յև Տոմելուուցի ցնօծուրեսնի ցադա-
Տաճցուուլցիս լույգիւցիս, Ռոմլուս Տամպալցիստ
աճամիանո յանելուցիս յնու յառուս, յև Տոմելուուցի
յնու Տամպարուս մոմնշուրուցիցելուցիս, յնու մ՛շշեր-
ցալցիս, մոանՌունց աճամիանուստցուս. ու տազուս Տուք-
ուրելուս աներս ամ մ՛շշերցալցիս անցլամի նշանաց. Տիրու-
րա անցլուս ցուածնի, ամ Տրուցենի ցունց-
ցիս, օցանուրեսա աճամիանուս Տանց. ամ անցլուս ջրուս
ուս, մազգուրուալուա, տազուսուց Տուրմենի հագուս. ու

ამ გზის გავლისას ძერწავს თავის შინაგან სახეს, თავის სულს; ამ ინტესივობის წერტილებში ადა-მიანს აქვს შესაძლებლობა, დაინახოს თავისი ფესვი და კენწერო. ეს სიტყვები ადამიანის თვითშემც-ნებაში ბილიკების როლს ასრულებს. ენის უსიერ ტევრში არიან დატოვებული. ამ სიმბოლოებიდან მშვენიერება ყველაზე იღუმალი, ყველაზე გამოუც-ნობი და ამავე დროს ყველაზე რეალურია. იგი ერთ-ერთი მყარი საბუთია წესრიგის არსებობისა, იგი ღმერთის არსებობის დამადასტურებელია, იმიტომ, რომ მშვენიერება უპირველესად ფორმაა და სიმეტ-რიაა, ის ჰარმონიულობაცაა და ფორმის ფორმას უკავშირდება, რომელსაც არის სტოტელე ღმერთს უწოდებს. მშვენიერი ქმნილებები ღმერთის ელჩებია, მისი წარმომადგენლობაა, მათი მეშვეობით იგი აქ მყოფობას ადასტურებს. მშვენიერი ქმნილებების შექმნისას ხელოვანი თავის შინაგან სახეს აჩენს. უფრო სწორად იგი აჩენს იმ მანათობელ ბირთვს, რომელიც ღმერთისათვის და ადამიანისათვის საერ-თოა. ამ დროს ადამიანი და ღმერთი თანამყოფობებ ამ მანათობელ ბირთვში. რაც უფრო ღრმად წვდება ხელოვანი თავის სულის კონტურებს, მით უფრო ათავისუფლებს ქაოსისგან ქმნილებას, მით უფრო ახლოს მოჩანს მისი, უფრო სწორად, მასში დამა-ლული ღმერთის ათასფერნაირი სამყარო. რაც უფრო სრულყოფილია ქმნილება, ნაწარმოები მით უფრო ემსგავსება ერთგვარ ჯადოსნურ სარკეს, უღრანი-დან გამოსასვლელ ბილიკს; ლაბირინთიდან თავის დასაღწევ არიადნას ძაფს. იგი უხილავი შზის სხივია, რომელსაც სული მიჰყვება. ამ მოგზაურობისას ადა-მიანი ხვდება თავის უღრმეს არსებას, თავის ნამდ-ვილ „მეს“. ეს მოგზაურობა სივრცეში კი არ ხდება,

არამედ ვარდნას უფრო წააგავს საკუთარ თავში. ამ დროს ადამიანი ხდება ნამდვილი არსი, ადამიანი თავის თავს უბრუნდება. მისი ნამდვილი „მე“ კი უხილავი მზის გვირგვინია, მისი ათინათია, იგივე მზეა, წუთისოფლის ორუბლებში მიკარგული. მშვენიერების საშუალებით, მისი მანათობელი ბირთვის ხილვით, ჩვენ ვხვდებით ჩვენივე თავს. ადამიანი ყველაფრისათვის იცლის, გარდა საკუთარი თავისა, ცხოვრების ამაო ფუსფუსა და რია-რიაში ადამიანი ვერ აცნობიერებს, საიდან მოვიდა და საითკენ მიდის, მას არ შეუძლია მუდმივი კონცეტრაცია, მიზეზების მოძიება და ამ წუთისოფლის რიტმიდან ამოვარდნა. მიზეზებზე ფიქრი მას ზედმეტად, მიუწვდომლად მიაჩნია. მშვენიერი ქმნილებები, ამ შემთხვევაში ლირიკული ლექსების მანათობელი ბირთვები, ქმნიან ინტესივობის წერტილებს, დერეფნებს, რომელთა გავლისას (წაკითხვისას) ადამიანში რაღაც იცვლება, ესოდენ მოუცლელი არსება თავის თავს ხვდება. ის ხდება ერთიანობა, ამ დროს ისინი (ღმერთი და ადამიანი) ერთად გადიან იმ გზას, არა როგორც ორი მოგზაური, არამედ ერთად შერწყმული, ერთი მთლიანი არსება. მათი შეხვედრა ამავე დროს გზის დასრულებაცაა, რამეთუ მიზანი გზისა არის შეხვედრა ორისა და მათი შეერთება. ამ გამთლიანებული არსების აქ არ ყოფნა იწვევს ჯოჯონეთის არსებობას, რომლიდანაც გამოსავალი არ არსებობს თუ ადამიანი არ მოხვდა ინტესივობის წერტილებში, მაშინ ის ძალიან ახლო მანძილზე რჩება მოხტუნავე „წინაპრებთაა“ ამ დერეფნების საშუალებით, თუნდაც მცირე ხნით, ადამიანმა უნდა აღიდგინოს თავისი სახე, რომელიც მას ედემში ჰქონდა. ეს ინტესივობის წერტილები, ეს დერეფნები ცხოვრების გზაზე სახის

აღსადგენი სადგურებია, საჭიროა ხშირი დაბრუნება ამ სივრცეში, რომ სული ფორმა დაკარგული არ ჩარჩეს წუთისოფლის ლაბირინთში. ეს სახე, ეს მანათობელი ბირთვი ადამიანში მუდმივად უჩინარ-დება, ამ სახის ამოსაწევად გასამთლიანებლად მუდ-მივი ძალისხმევაა საჭირო, ინტესივობის წერტილები ლირიკულ ლექსში (წაკითხვისას) აღადგენენ ადა-მიანის შინაგან სახეს და ტოვებენ მასში წარუ-შლელ კვალს, გემოს, სუნს, განსაკუთრებულ ხმებს, ფერებს: ისინი ტოვებენ სულში სინათლეს. ისინი ადამიანს შეახსენებენ, რომ ის იმ ნეტარებისათვის არის შექმნილი, რომელიც მიწაზე მიუღწეველია, ლირიკული ლექსის სამყარო რეალური სამყარო-საგან განსხვავდება, აქ დრო უკიდურესად დაჩქა-რებულია, მოვლენები უსწრაფესად გაიელვებენ. მათ აქ ერთი ფუნქცია აქვთ, უბიძგონ, ხელი ჰკრან მკითხველს თაურ მოვლენაში ჩასაგდებად. დაჩქარე-ბული მოვლენები ქმნიან მანათობელ წამს; ნამდვილ დროს მას უდროობას უსასრულო მშვენიერების გამო ვუწოდებ. აქ ყველაფერი მომხდარია, ამავე დროს მუდმივად ფეთქავს, ისევ თავიდან იწყება და ამავე დროს არაფერიც არ ხდება და ეს სამყარო რეალურ სამყაროზე უფრო რეალურია. მშვენიერება ლირიკულ ლექსში სასოწარმკვეთია, მაგრამ ეს არ არის სულიერი სასოწარკვეთა. ეს არის წარმავლო-ბის წამიერი დატირება, გაცნობიერება ბედინიერების შეუძლებლობისა აქ. ის (მშვენიერება) არის იქითა მხარის გამოჩენა სააქაოს ფანჯარაში. მშვენიერი ქმნილება (ლირიკული ლექსი) ზღვრული სიტუაცი-ის შემქნელია, იგი შერიგებაა გარდაუვალთან; იგი საზღვარია, რომლის იქით მოჩანს მიღმიერი სამყა-რო; პოეტი გამცილებელი და საზღვართან მიმყვანია;

გოჩა სხილაძე

ლირიკული შედევრები ენაში გაჩენილი ყვავილებია, სიგნალიზატორებია; სულიერი გზის საგზაო ნიშნებია; მაღალი შუქურებია, ენის ღამეში ამოზრდილი, ისინი ენის ოკეანეში დიდი მოძრავი ტალღებია, გამუდმებით ნაპირისაკენ რომ ისწრაფიან.



სიყვარული და დრო

ადამიანის ცხოვრება გაჩენის დღიდან საიდუმლოთია შემოსილი. ეგვიპტელები ფიქრობდნენ, რომ ადამიანის დაბადება დედამიწაზე უდიდესი საიდუმლოა, მასში არის შეშლილი ლტოლვა ბედნიერებისკენ. ადამიანებს სხვადასხვაგვარად ესმით ეს სიტყვა, მათ უნდათ, რომ იყენებ ბედნიერნი არამარტო დროის მონაკვეთში, არამედ მათ სურთ, რომ ეს დრო გაგრძელდეს, არ იყოს დასაზღვრული – ეს არის შეუმჩნეველი დრო, უსასრულობა. ბედნიერნი დროს არ აკვირდებიან, ბედნიერთათვის არ არის დრო, მათთვის არის სრულიად სხვა დრო; ეს სხვა დრო აღწევს მიწაზე, დგება ამა თუ იმ კონკრეტული ადამიანისთვის. სხვა განზომილების შეხება ჩვენში ბადებს ფიქრს, რომ არსებობს სხვა დრო, სხვა სივრცე, სხვა სამყარო. ცხოვრებაში ზოგჯერ აღწევს რაღაც აღუწერელი „მოვლენა“, რომელიც სუნთქვას სულ სხვა ჰაერის ნაკადით. ეს არის სხვა ნაკადი დროისა, რომელშიც ჩვენ ვხვდებით, ეს არის დრო, სადაც ფორმები იძენენ ნამდვილ არსებობას. ეს ფორმები ციმციმებენ უშრეტი სიმშვენიერით, ანათებენ შინაგანი ბრწყინვით უღიმღამო ყოფიერებას და მაშინ კითხვები აღარ არსებობენ, მარადიულობა დროა, მაგრამ ეს არის სხვა დრო. თითქმის ყოველ ადამიანში ცხოვრობს პასიური მომლოდინე, გულხელდაკრეფილი მომედე, იგი იმედოვნებს, რომ ხვალ შეიძლება მოხდეს რაღაც: „მოვლენა“, ბედნიერება და თუ მოხდა, მაინც განწირულია დასამ-

სხვრევად, იგი იმსხვრევა, როგორც სარკე. საგნები, ემოციები გარბიან, ტოვებენ ბრძოლის ველს ან დამსხვრეულნი, დაშლილი წვანან უდაბურ ველზე, უმოძრაოდ, დეფორმირებულნი და შეშინებულნი. მედინი, ჩვეულებრივი დრო, ამსხვრევს ვერტიკალურ დროს და იგიც ჩაძირული ხომალდივით წევს ჩვენი სულის ფსკერზე. „პირველ ყოვლისა ადამიანს უნდა შეუყვარდეს“. მაშინ ის პირველად ამოხტება ევრიზმის კუბოდან, ეზიარება ნამდვილ ცხოვრებას. კირკეგორის დამოკიდებულება რეგინასთან იყო თითქოს ჩვეულებრივი მოვლენა. ადამიანები სიყვარულს განიცდიან, როგორც ციებ-ცხელებას, როგორც რაღაც წარმავალს, ისინი ვერ ხედავენ ამ მოვლენაში ჩუმად მოსიარულე ღმერთს. კირკეგორი კი მოულოდნელად უარს ამბობს საყვარელ გოგონაზე და მთელი ცხოვრება იქცევა ამის გააზრებად, რატომ გააკეთა მან ეს? ის ნათლად ჭვრეტდა მოვლენის სწრაფწარმავლობას, მის წყვეტადობას, თუმც კი ახლოს იყო ბედნიერებასთან, მას ესმოდა, რომ ნაბიჯები, რომელიც დარჩა გადაუდგმელი, შეუძლებელია გადაიდგას და განხორციელდეს. ჩვენ შეგვიძლია მივუახლოვდეთ ბედნიერებას, მაგრამ დარჩენა ამ დინების ნაკადში, ბედნიერების სივრცეში ჩვენ არ ძალგვიძს. ამ ნაბიჯებს ჩვენკენ დგამს ღმერთი. სიყვარული, როგორც მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში, მიუთითებს ღმერთის და მის მიერ შექმნილი სამოთხის არსებობაზე. ეს მოვლენა მანათობელი მაცნეა, მახარობელია, ღმერთიდან ჩვენკენ რომ მოისწრაფის გულამოვარდნილი. ის ტოვებს ნიშნებს, ბილიკებს, გვიწვევს, გვაჯადოებს, შემდეგ კი გვტოვებს უდაბნოში. ზოგიერთი ამ უდაბნოში ნახულობენ ღმერთს და მადლობენ მას ყველაფრისათვის,

რაც მათზე მოაწია. სხვები კი სხედან ამ მოვლენის ნაპირზე, ისინი მუდმივად აღადგენენ წარსულს, მომხდარს და ამ აღდგენაში მიედინება ცხოვრება, სიკვდილის მომტანი დრო თავისკენ იზიდავს მათ. სიყვარულის მოვლენა ატარებს მარადიულობის ბეჭედს. დროთა განმავლობაში მოვლენები იშლებიან, განიცდიან ეროზიას. ადამიანი უკმარისობის გრძნობის გამო ახლოს და ახლოს მიიწევს ბეჭინიერებისაკენ – სიყვარულში, როცა რჩება რამდენიმე ნაბიჯი, მაშინ ბეჭინიერება საპნის ბუშტივით სკდება. როცა სიყვარული მოიცავს ადამიანს, იგი შედის სიცოცხლის დინებაში, სრულიად სხვა დროის განზომილებაში, მაგრამ ეს განცდა მთავრდება იმდეგაც-რუებით, როგორც ყველა მოვლენას, მასაც აქვს თავისი ბოლო, სიყვარული, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, იბადება, ვითარდება და კვდება. ეს მშვენიერი განცდა კარგავს ძალას, ადამიანი რჩება განცდის ნაპირზე, მაგრამ უკვე განცდა აღარ არსებობს, რჩებიან მხოლოდ დაბზარული ფორმები, სახეები, განცდათა მდინარე უკვე დაშრეტილია. სიყვარულის მოვლენის აფეთქების შემდეგ აფეთქების ტალღები ადამიანს გადაისვრიან ისე შორს, დროსა და სივრცეში, რომ შეუძლებელია დაბრუნდე უკან – მოვლენაში. სადაც არ უნდა გადაისროლოს აფეთქების ტალღებმა ადამიანი, სულ ერთია, იგი შინაგანად იმყოფება სიყვარულის მოვლენის ნაპირზე, მაგრამ მოვლენის ფერიამ სამუდამოდ ჩაყვინთა სასიკვდილო დინების ფსკერზე. ის სახე გვიზიდავს, გვაჯადოებს ჩვენ, მაგრამ მოვლენის მორევი უკვე დაწყნარებულია. რატომ ისწრაფის ადამიანი უკან სიყვარულისკენ? იმიტომ, რომ ის ამ მომენტში ბეჭინიერად გრძნობს თავს, ეს კი მისი ყველაზე დიდი

ვნებაა. მე გამუდმებით ვფიქრობ მოვლენებზე, რომლებშიც ჩვენ გვიხდება ყოფნა, გამუდმებით ვფიქრობ სიყვარულზე – ამ საპნის ბუშტის იდეალურ სფეროზე, რომელზეც აღბეჭდილია მარადიულობა. ის მიუთითებს პროტომოვლენაზე, ადამიანის სულის მარადიულ მდგომარეობაზე. ჩვენ მივაბიჯებთ წრიულად დროში – მომავლისაკენ, გული კი ილტვის წარსული სიყვარულის მოვლენისკენ, რომელიც იგივე მარადიული ახლაა. ნამდვილი მოვლენა, პირველადი ექოების გამომცემელი, არასოდეს მთავრდება. ის იყო და არის ღმერთთან, უფრო სწორად, ის არის ღმერთი, ჩვენ დროებით დავცილდით მას. დედამიწაზე გაფანტულია ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ მასზე, ჩვენ ვხედავთ მსგავს ნიშნებს იაკობის ჭასთან, სადაც გამუდმებით დადიოდა სამარიტელი ქალი წყლის ამოსაღებად. ეს ბიბლიური ჭათითქოს ექო იყო ადრე მომხდარი მოვლენის, ის მუდმივად ესაუბრებოდა სამარიტელ ქალს, უთითებდა პირვეწყაროზე, ქალი კი მიდიოდა ადამიანებთან, ამ თავისებურ ჭებთან, იღებდა „წყალს“ და რატომდაც ყოველთვის რჩებოდა მარტო – ქმრები, საყვარლები, მარტოობა. ეს ადამიანები თავისებური ჭებია, ღმერთის ანარეკლებია და მისი ნიშნები. ისინი არსებობენ, როგორც უთვალავი სარკეები. ჩვენ მათთან ისევ და ისევ მივდივართ, ვხედავთ საკუთარ თავს, მაგრამ შებიჯება სარკეში და საკუთარი ანარეკლის ხელით მოსინჯვა შეუძლებელია. ყოველ ადამიანში ცხოვრობს „სამარიტელი ქალი“ ადამიანებთან, ანუ ჭებთან, მუდმივად მოსიარულე. ჩვენ, როცა მივდივართ მოვლენასთან, ვარდებით მასში, როგორც ღრმა უფსკრულში. ჩვენ არ შეგვიძლია, დავრჩეთ იქ, რადგან ჩვენ გვაქვს უკან დასა-

ბრუნებელი ბილეთიც. ღმერთი არის დიდი ჭა, იგი ყველაზე დიდი სარკეა, ღმერთი ყველაზე დიდი კარია, ის არის უხელფეხო მათხვარი მეტროში, რომ მოგვაცნოს უკიდურესი ჩვენი წერტილი, ის ყველაზე ნელი, ჩუმი დროა მარადისობაში შემავალი. ჩვენ არ შეგვიძლია, შევაჩეროთ დრო. ჩვენ ვართ მოვლენებში, რომ დავინახოთ საკუთარი თავი, მოვლენები მრუდე სარკეების სამყაროსავითაა, გვამახინჯებს, თუმც გვიქმნის რაღაც წარმოდგენას საკუთარ თავზე. როცა ჩვენ ვიწვდით ხელებს „სარკის“ წინაშე, დეფორმირება ისე დიდია, რომ გვიკვირს, ნუთუ ეს ჩვენ ვართ? კიდევ უფრო ახლოს მივდივართ სარკესთან, მაგრამ სარკეში ჩვენ თავს ვერ ვეხებით. ჩვენ არ ძალგვის შევაბიჯოთ სარკეში, მისი შეუძლევადი სივრცე ხელს გვკრავს, იგი მსხვრევადია, ყოველი სარკის ნამსხვრევზე ჩვენ ვხედავთ მომღიმარე სატრფოს სახეს. სიყვარულის ტალღები დროში წყვეტენ არსებობას, დეფორმირდებიან. ადამიანს სწყურია შეერთება, შერწყმა თავის ნამდვილ „მესთან“, ყოველ კაცში ცხოვრობს მითიური ტანტალოსი, რომელიც ღმერთმა დასაჯა, ის შეპყრობილია წყურვილით და შიმშილით. როცა იგი ნაყოფისკენ იწვდის ხელს, ტოტები ზევით იწევა, მას სურს წყალი დალიოს, მაგრამ წყალიც უსხლტება. ყოველი სიყვარულის მოვლენა მოწყობილია, როგორც პატარა სამოთხე, თავისი ბალით და გამჭირვალე მდინარით. ჩვენ ვიწვდით ხელს და ყველაფერი ინგრევა, გვატყდება ზვავი მოვლენის მწვერვალიდან. სიცრუისა და სიძლიდრისკენ სწრაფისთვის სიზიფი დასჯილია აჩრდილთა სამეფოში პლუტონის მიერ. ის განწირულია მარადიულად ათრიოს მთის მწვერვალზე ლოდი, მაგრამ როცა იგი ახლოსაა მწვერვალთან,

ლოდი მოულოდნელად წყდება და გრუხუნით მიგორავს ძირს. მერე სიზიფი იწყებს თავიდან და ასე უსასრულობამდე... აქ სიმბოლური ენაა, ეს მითი აღწერს ადამიანის სულის შინაგან მდგომარეობას, მის სწრაფვას ბედნიერებისკენ. რა იმალება მის სასჯელში? სინამდვილეში ეს ლოდი ნიშანია, რომ ადამიანი მოხვდა მოვლენის მექანიზმში, იგი მოძრაობს, მიიწევს მწვერვალისკენ, რომელიც იზიდავს სიზიფეს. სიზიფე — ეს მდგომარეობაა, შინაგანი მარადიული მოდელია კაცისა და მისი შინაგანი ნეგატივია. თუ ჩავუშვებთ ამ მით-ნეგატივს ადამიანის სულის ბნელ წყლებში, მაშინვე გამოჩნდება მისი ინდივიდუალური გამოსახულება. ჩვენ ვვარდებით მოვლენაში მოულოდნელად და ვიწყებთ მაღლა სვლას, ჩვენ ვვრმნობთ, რომ მწვერვალამდე ცოტალა დარჩა, მაგრამ ეს უმნიშვნელო სივრცე გადაულახავი, შეუღწევადია, ცოცხალ ადამიანს არ შეუძლია, შეაბიჯოს მასში. ჩვენ ვუახლოვდებით მოვლენის მწვერვალს და ვვრმნობთ, რომ სურვილსა და მოვლენის მწვერვალს შორის არის უფსკრული, რომლის გადალახვა ყველას სურს, ეს უმცირესი სივრცე გვისხლებს, გვირეკლავს ისეთი ძალით, რომ გვიჩნდება კიდევ უფრო მეტი სურვილი, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, მივაღწიოთ მწვერვალამდე. ყველაზე განსაკუთრებულ და ჯადოსნურ დროდ გვევლინება ის დრო, როცა ჩვენ სულ ახლოს მივედით მწვერვალთან, აქ არის ზღვარი, შესაძლებლობების მიჯნა, ცოცხალ ადამიანს არ შეუძლია მისი გადაბიჯება, არ შეუძლია იქ აღმოჩნდეს, სადაც მას უნდა, საითაც ის ისწრაფის. ყოველ მოვლენაში არის დიდი მთა, რომლისკენაც მივაგორებთ ლოდს, ჩვენში მოქმედებს სიზიფეს შინაგანი მოდელი. მას არ შეუძლია მის სიზიფეს შინაგანი მოდელი.

ლია მწვერვალზე გაჩერება, ყოველ მოვლენას აქვს თავისი უფსკრული, რომელშიც ვარდება ადამიანი. ჩვენ ვცხოვობთ, როცა ჩართული ვართ სიყვარულის მოვლენაში. სიყვარული გვაცოცხლებს, მაგრამ როცა ჩვენ გვტოვებს მდინარება ვერტიკალური დროისა, ჩვენ ვიქცევთ უძლურ თოჯინებად. ჩვენი მოლოდინი გაჭიმულია შინაგან სივრცეში წარსულისაკენ, რომელიც სინამდვილეში მოვლენის მწვერვალია. ის წარსული კი გვპასუხობს მომავლიდან. ჩვენ ვაკაკუნებთ მომავლის კარზე, ხანდახან კარი შიგნიდან იღება და ჩვენ ვვარდებით სამოთხის ანარეკლში, რომელიც ექოა მარადიულობის. სიყვარულის მოვლენა აფართოებს სივრცეს ჩვენს გულებში, ქმნის შინაგან უდაბნოს, სინას მთას, სადაც აალებული მაყვლოვნიდან მოგვმართავს ღმერთი. მოვლენები ამზადებენ შინაგან სივრცეს, სცენას ღმერთთან შესახვედრად. ამ სივრცის გარეშე შეუძლებელია მასთან შეხვედრა. სიყვარულის მოვლენაში არის მთა, რომლის მწვერვალისკენ ჩვენ მივეზიდებით დიდ ლოდს და ვხედავთ მთელ პროცესს, თითქოს სარკეში, ეს პროცესი თითქოს მისაწვდომია სივრცის საზღვრებში, მაგრამ იგი მის მიღმაა. ადამიანს სურს, შეაღწიოს შშვენიერის სიღრმეში, მის გულისგულში, ეს არის ყოვლისწამლები სურვილი, მედინი მოელვარე მშვენიერების მოხელთებისა და როცა ადამიანი თითქმის აღწევს მწვერვალს, ლოდი ეჯახება სიყვარულის მოვლენის სარკეს, საზღვარს, „სარკე“ იმსხვრევა, ადამიანი კი ვარდება უფსკრულში. ამ სივრცეს მსურს, ვუწოდო მოლოდინის სივრცე, გაწვდილი ხელის სივრცე-დაცემის პროცესში ჩვენ ველით მსხნელ ხელს, მერე ჩვენ აღმოვჩნდებით მთის ძირში, მის უფსკრულში

და ისევ ვიწყებთ მთაზე ასვლას, ასე გრძელდება ბოლომდე. სარკისებრ სივრცეს, სადაც სიზიფეს უნდა შეღწევა, აქვს მიზიდულობის დამღუპველი ძალა. ადამიანი ისწრაფის უსრულესი ყოფიერებისაკენ. ადამიანის შინაგან სტრუქტურაში მოქმედებს ხვალინდელი დღის ფაქტორი. სიტყვა „ხვალე“ მიუთითებს რაღაც სრულყოფილ მოვლენაზე მომავალში. სიტყვა „ხვალე“ ღვთაებრივია. მას გადავყავართ დღევანდელი დღიდან ხვალინდელ დღეში. სიტყვა „ხვალე“ შებურვილია იდუმალებით და მოლოდინით. ეს სიტყვა დაკავშირებულია იდეალურ მდგომარეობასთან. სანამ ამ მდგომარეობისკენ ვისწრაფით, ჩვენ ვცოცხლობთ, ვიმედოვნებთ, მივაღწევთ ხვალემდე. ყოველი „ხვალე“ გადადის დღევანდელში, ახლაში. სანამ ჩვენ წინაშე ციმციმებს იმედი მშვენიერ დღეზე, რომელიც ოდესმე დადგება. ყოველი დღე თითქოს მოვლენის კიბის საფეხურია, რომელიც ხვალინდელი დღისკენ მაღლდება. მოლოდინის შავი ხვრელები შეისრუტავენ, შთანთქავენ ახლანდელის ყველა საგანს, ხვალისკენ გადასვლის პროცესში, მაგრამ ეს „ხვალე“ აღადგენს ჩვენ სიცოცხლეს, მტანჯველი დღეების შემდეგ. „ხვალეს“ აქვს თავისი აქ არარსებული სამეფო, საითკენაც ჩვენ ყველა ვისწრაფით და ვერ ვამჩნევთ ვერაფერს, გარდა იმ საგნებისა, რომელებიც „ხვალესთან“ გვაახლოვებენ. „ხვალე“ – ეს ჩვენი არსების ყვირილია, ბირთვია, გულისგულია. ამ სიტყვით გავივლით მძიმე დღეების გვირაბებს, ეს სიტყვა წარგვიტაცებს აუქსნელი, უცნობი, მაგრამ გულისთვის ნაცნობი მომავლისკენ. ყოველი დღე ზრუნვაა ხვალინდელი დღეზე, მაგრამ როცა მე აღმოვჩნდი ხვალეში, ეს დღე აღმოჩნდა დამახინ-

ჯებული გამოსახულება იმ დღისა, რომელსაც ველოდი. „ხვალე“ კი გასხლტა მომავალში. დრო დიდი სასახლესავითაა, მრავალი დარბაზისგან რომ შედგება. ჩვენ გადავრბივართ ერთი დარბაზიდან მეორეში, მაგრამ ვერ ვპოულობთ სანუკვარ „ხვალეს“. დრო ეს ლაბირინთია, სადაც ვხვდებით დაბადებიდან და შემდეგ ვეძებთ გამოსავალს. ჩვენ გზას მივიკვლევთ ხელისცეცებით, ყოველდღიურობის მინოტავრი შთანთქავს „ხვალიდან“ გამომქრთალ სინათლეს. „ხვალის“ მოლოდინის წყალობით ჩვენ ისევ აღვდგებით სიცოცხლისათვის. ადამიანს უნდა, გადახტეს „ხვალეში“, მაგრამ როცა ის ხვდება მასში, ბალი გამჭვირვალე მდინარით წამში გარდაიქმნება უდაბნოდ. „ხვალე“ გაგვატარებს დროის ფერად გვირაბს, როცა თეთრი სარტყელი იწყება, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს „ხვალეა“, მაგრამ როცა ჩვენ ჩამოვდივართ მატარებლიდან, აღმოჩნდება რომ ჩვენ ბაქანზე არავინ გველოდება, როცა ჩვენ მივდივართ ადამიანებთან, ისინი გადაიქცევიან ქვის სტატუებად, ჩვენ ვეძებთ ნაცნობ სახეს ბაქანზე, იქ მხოლოდ უაზრო არსებებს ვხედავთ, ნაცნობ სახეს კი ვერა. დროის მატარებელი მტვერსასრუტივით გვისრუტავს თავის წიაღში. ყოველ ადამიანში არის სიცარიელე, რომელიც ივსება „ხვალის“ მოლოდინით. რატომ ვარაუდობს ადამიანი ამ იდეალური დღის არსებობას? არსებობა ეს დაძაბული მოლოდინია, ჩვენ მუდმივად ვტოვებთ „კალიფსოს გამოქაბულებს“ (დაცარიელებულ დღეებს). ადამიანს არ შეუძლია დაივიწყოს საყვარელი სახე, სამოთხის ჰარმონია ჩაბეჭდილია ხსოვნაში, სამოთხე შეყვარებულის სახესავითაა, რომელსაც ჩვენი დანაშაულის გამო დავცილდით. ჩვენ დაგვრჩა შეგრძნება იდეალური ჰარმონიისა და

როცა ღმერთი ხელით ეხება ჩვენი სულის შინაგან კლავიშებს, ჩვენ ვიღვიძებთ, დაქინებით მივწტე-რებივართ „ხვალეს“. ჩვენი შინაგანი ადამიანი მყისიერად უერთდება წარსულის ხატს და სამოთხის-კენ იწვდის თავისი ათასობით სურვილის ხელს. სამოთხე – ესაა მდგომარეობა სულისა, სადაც ყვე-ლა მოქმედება განათებულია, მშვენიერია. ეს მოქ-მედებანი აღავსებენ სულს უდიდესი სიხარულით. ადამიანური ტრაგედიები განსაკუთრებით პულსირებს, ფეთქავს საყვარელ არსებებთან განშორებისას, ამ დროს ადამიანი ამოვარდება დინებიდან, „ხვალედან“ მეორდება სამოთხის ისტორიის მოდელი. ჩვენ გამოგვდევნიან წმინდა დროიდან და სივრციდან, მაგრამ ჩვენში რჩება ექო ამ წმინდა დროისა და სივრცისა, მას შეიძლება ეწოდოს ღმერთის „სახლი“ და ის არის ჩვენი ნამდვილი ყოფიერება, ის გვიხ-მობს ჩვენ. თუ არ არსებობს მარადიულის დაბ-რუნება, მაშინ ადამიანის არსებობა ყველაზე უბადრუკი არსებობაა ამ სამყაროში. სიყვარულის არსებობა იძლევა სიცოცხლის გაგების გასაღებს, ის ხსნის განშორების ფენომენს და ისევ გვიბიძებს ახალი შეხვედრისკენ და ეს შეხვედრა აღარ ექვემ-დებარება ეროზიას, რღვევას. იგი არის პირველადი მდგომარეობის დაბრუნება. ჩვენი ყარიბობა და ხეტია-ლი მიწაზე არის ძიება უკანასკნელი შეხვედრისა, რომლის შემდეგ არასოდეს იქნება განშორება. პოე-ზია ცდაა მოვლენის აღდგენისა. იგი ხიდს დებს წარსული მოვლენებისაკენ, თითქოს სულს უდგამს წარსულ მოვლენებს, აცოცხლებს მათ. ხელოვნების წყალობით ჩვენ შეიძლება აღმოვჩნდეთ „მოვლენის ჰადესში“, სადაც აჩრდილები იძენენ ხილულ ფორმებს. ჩვენ არ შეგვიძლია დავრჩეთ წარსულის

კადრებში, იგი მხოლოდ მიმზიდველი ექია მარა-
დთული „ახლასი“.. პოეზია ქმნის პრიზმებს, დერეფ-
ნებს, რომლებიც აღწევენ მოვლენათა სახლის
გამჭვირვალე კედლებამდე. სიყვარულის მოვლენა
ქმნის პულსირებად სივრცეს, საგნებიდან იწმინდ-
ება მტვერი. ხანდახან გვეჩვენება, თითქოს ვიღაცამ
დაატრიალა სამოთხის ძველი კადრები, პოეზია გზის
მასწავლებელია, თავისებური სევდიანი გამცილებე-
ლია, იგი წაგვმართავს ჩვენ მდგომარეობისაკენ,
ხედვისაკენ. ის დანტეს ვერგილიუსისავითაა, გვაცი-
ლებს ჩვენ მოვლენის კარიბჭემდე. მეტზე წამოსვლა,
დარჩენილი გზის გაგრძელება მას არ შეუძლია
იმიტომ, რომ მას აქვს თავისი დასაზღვრული
სივრცე, იგი ჩვენი სტრუქტურების მოქმედებაში
მომყვანი მექანიზმივითაა, მას შეუძლია ჩვენი გად-
ასროლა ზეციური უსასრულობის ანარეკლში. ადა-
მიანში ილანდება მარადიულობის ნათელი სტრუქ-
ტურა. ეს მოციმციმე ვარსკვლავთა სისტემა სრულ-
ყოფილი მოვლენისკენ, ამ უხილავი მზისკენ არის
მიმართული. სურვილი არაეროზირებად მოვლენაში
მოხვედრისა, ესაა გრძნობა, რომელიც გვიბიძებს
მომავალ დროში. იგი იმყოფება მომავალში, მაგრამ
ეს ყოფიერება აქაა, ჩემში.. ესაა უკმარისობის
მგრძნობელი სიცოცხლე, რომელიც გრძნობს მსხვრე-
ვადობას ერთმანეთისაგან განზიდული, ერთმანეთის-
გან განშორებული სამყაროების, რომლებიც დიდი
აფეთქების შემდეგ წარმოუდგენელი სისწრაფით
შორდებიან ერთმანეთს. ადამიანს უნდა, შეაჩეროს
ცხოვრების ფრაგმენტების მდინარება, მისი სურ-
ვილია, შეაბიჯოს სარკის იქითა სამყაროში, იქ,
სადაც სიყვარული უსასრულოდ გაგრძელებადია და
მარადიული და როგორც პავლე მოციქული ამბობს,

გოჩა სხილაძე

რწმენის და იმედისგან განსხვავებით, ის არასოდეს
მთავრდება...



თეატრი გაჩვენილი ყვავილი

პოეზია ენობრივი წარმონაქმნია. ადამიანი ენა-შია ჩაშენებული, მას აქვს მოცემული სიტყვები, თუმც ეს ენა შორსაა იმ ენისაგან, რომელსაც ადამიანი იყენებდა სამოთხეში, როცა სიტყვები და საგნები ერთმანეთს ისე ეფარდებოდა, რომ გაუგებ-რობის ჩრდილიც არსად იყო. პოეზია ამ გაუგებრო-ბის ჩრდილის შემცირებაა, საგნებისა და სიტყვების შესაბამისობაში მოყვანა, მისი სემანტიკური ველების განწმენდაა; იგი ის სარკმელია, საიდანაც ყოფიერებ-ის არსება შემოგვყურებს. ნამდვილი პოეტური აქტის დროს ხდება ენობრივი კომბინაციების წარმოშობა, რომელიც ჩვენში გაუჩინარებულ ედემს, ლოგოსს აძლევენ საშუალებას, გამოიწიოს ენის ზედაპირზე. ეს ენობრივი კომბინაციები ქმნიან ერთგვარ ეკრანს, მოკრიალებულ ცას, რომელსაც არსებობა თაურ ენა-ში ჰქონდა, ზეგრძნობადში და ყოვლის აღმნიშვნელში. ის ენა, რომლითაც ადამი ელაპარაკებოდა ღმერთს, მიძინებულია ენების გულისგულში და ამ ენის გარეთ გამომტანი არის პოეტი. პოეზია ცნობიერების ველში გადასაადგილებელი მექანიზმია, იგი გაგების ველში აგდებს მკითხველს, აბრუნებს იმ ფერების სიკაშ-ესთან, რომლისათვის თვალი ყველას მოუკრავს; იგი გამომღვიმებელია იმ მდგომარეობისა, რომლის აღდ-გენას ესწრაფის რელიგიის ლიტურგიკული ნაწილი; პოეზია თავისებური ლიტურგიაა, რომელიც ადა-მიანს თაურ მოვლენაში ძირავს, იგი სამყაროს ახს-ნის ცდაა; ლექსი ენაში გაჩენილი ყვავილია, გზის დასაწყისია, პირველი მებოძირი და გზაჯვარედინი,

რომლიდანაც დაიწყო ჩვენი შემოსვლა ამ სამყაროში. პოეზია ფიქრების უვნებო ძირია, საიდანაც კრთის ღმერთის დავიწყებული არსება. იგი უხილავი მზის ღერბია, დიდი მზესუმზირაა, მზისკენ შეტრიალებული. იგი გზაა, ოქსიმორონების ლაბირინთებით მავალი, იგი მომავლიდან მომავალი მგზავრია იმ წერტილისაკენ, „რომლის ცენტრი ყველგანაა, პერი-ფერია კი – არსად” ყოველი არსება თვისობრივად არარაა იმ არსის გარეშე, რომელიც ყოველში იმყოფება და ყოველ არსებულს ყოფიერებაში ამაგრებს. თუ პოეზიაში არ ჩნდება ეს არსი, ეს უძირობა, ლექსი კარგავს თავის სიმყარეს, საყრდენს, ის თვისობრივად მკვდარია, არ ფეთქავს. საგნებიდან, ენიდან უნდა მოხდეს გაცვეთილი მნიშვნელობების მოცილება, რომ ლოგოსმა, ყოფიერების არსებამ შეძლოს ენაში შემოსვლა. პოეზიის მეშვეობით ლოგოსი შემოდის, აჩენს თავისმყოფობას, აქ ღვთისა და ადამიანის მზერა ერთდება. პოეზია საერთო სარკმელია, რომელშიც ღმერთი და ადამიანი ერთმანეთს ხედავენ, იგი ფანტასტიური სარკეა, რომელიც ჩვენი არსების შიდაპირს გვიჩვენებს. საზომები, სხვადასხვა ზომის და ფორმის საკრავები-ვითაა, რომელთა მეშვეობით ხდება სიტყვების ქაოსის მოწესრიგება, რითმების და ალიტერაციების ვიტრაჟები ათას ფერებში გარდატეხავენ უხილავი ლოგოსის სხივებს, ისინი ანათებენ ენის კონსტრუქციებს. მეტაფორები, სიმბოლოები სარკმელებია იმ ენის სახლში, რომლიდანაც ყოფიერების არსება ანათებს. პოეზია უფსკრულის პირზე ამოსული ყვავილია, თანაბრად რომ ხვდება უფსკრულის ბელი სიგრილე და მზის ათინათი, იგი რეალობის გულის-გულია, ნიშნების გაბმული ველია, მიმავალი იმ „სახ-

ლისკენ”, სადაც ყველაფერი მშვენიერია. ადამიანი-სთვის სიტყვები მის თავში არსებული იღების შესამოსელია, რომლის დახმარებითაც ისინი გამო-დიან დღის სინათლეზე. პოეზია ზეგრძნობადი ენის შექმნის ცდაა, რომელზეც სრულად არის ჩაწერილი ეიდოსური სამყაროს კოდი; პოეზია გულის გამოტა-ნის ცდაა სინათლეზე, იგი ეგზინსტენცის სარკეა, სადაც ის თავის წარუგალ არსებას უჭვრეტს. პოე-ზია ღმერთისაკენ მიმავალი კიბეა, რომელზეც ადა-მიანები უნდა მოძრაობდნენ აღმავალი ხაზით, იგი ღმერთის დაღმავალი კიბეცაა, რითაც ის ჩვენგენ ეშვება. პოეზიაში მშვენიერება აბსოლუტის, დაფარ-ული არსების ბოლო თავშესაფარია: მშვენიერების არ არსებობის შემთხვევაში აბსოლუტი არ გამოვ-ლინდება; პოეზიას მოძრაობაში მოჰყავს ადამიანში არსებული სტრუქტურები, მისი საშუალებით ხდება ჩავარდნა ცნობიერების ველში, რომელიც საერთოა ყველასათვის; პოეზია შინაგანი ადამიანის გამოღ-ვიძების ცდაა, იგი ხიდია უფსკრულზე გადებული; იგი ადამიანის დაკარგული სახის ამომზიდველია ენის უფსკრულიდან, მისი წარუგალობის და მისი მარადისობის მანიფესტაციაა; პოეზია ენის სარჩული და შიდაპირია, ლოგოსის კიდობანია, რომელშიც სიტყვები სხვადასხვა მეტრის ორღანიდან წამიერად გარდაისახებიან მკვრივ, გონითი სინათლის ფიგურე-ბად; აქ ყოველი სიტყვა უნდა იყოს რითმა, ალიტ-ერაცია, რადგან რაც უფრო არიან სიტყვები ჩაჭიდე-ბული მსგავსებების მბულებით, მით უფრო მყარია, მით უფრო განათებულია ლოგოსის, ყოფიერების არსების სახლი. ლექსი მთლიანად ალიტერაციების, რითმების ბირთვად უნდა იქცეს, მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს ზედმეტი სიტყვა, არაწმინდა

მატერია, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი არასი-წმინდე ასეთი ტიპის ლირიკაში, მაგრამ ზედმეტი სიტყვები მაინც რჩებიან, ისინი სიუჟეტური ხაზის შემნარჩუნებელნი, შიდა მოძრაობის დამარეგულირებელნი არიან; ისინი შუქურებივითაა, კეთილხმოვანი ალიტერაციების რითმების შემდნარ ნაკადებზე ამო-მართული; იმგვარი სიტყვები, რომლებიც ენობრივ ბირთვის შექმნაში არ მონაწილეობენ, გვეკლინებიან სიტყვათა ოჯახების გამიჯნავებად, საღემარკაციო ხაზებად: ისინი ერთმანეთში დანთქმისაგან იცავენ ბირთვის შემადგენელ სიტყვებს, უზრუნველყოფებ ამ სიტყვათა მოძრაობას, მათ მთლიანობას. კეთილხმოვანი ალიტერაციების და რითმების ბირთვი ლექსის უდიდეს ნაწილს უნდა შეადგენდეს. თუ ბირთვის მოცულობა მკეთრად ჩამორჩება დანარჩენი სიტყვების რაოდენობას, მოცულობას, მაშინ ეს „ზედმეტი სიტყვები“ უკვე ჩაშლილი აგურებია, გაბზარული სვეტებია და საფრთხეს უქმნიან ლოგოსის, დაფარ-ული არსის სახლის სიმყარეს. მკვრივი, შეკრული ფორმები უამგაძლეობით გამოირჩევიან. რაც უფრო მტკიცედ არის მოქსოვილი ლექსის სხეული, რაც უფრო რთულდება ენობრივი კომბინაციები, მით უფრო ძლიერდება ლოგოსის ნათება, ხდება საგან-თა პირველად მდგომარეობაში აღდგენა, მათი შინა-განი კავშირების ხელახლა აღმოჩენა. პოეზია ენის არქეოლოგია და რესტავრაციაა, წრფეა, რომლის ბოლოები სადღაც უსასრულობაში ერთმანეთს უნდა შეხვდნენ და ერთმანეთში უნდა ჩაეშვან.

თხერგიათა ხიდი

მომავლის ლირიკა კათედრებიდან კი არ უნდა იყოს წაკითხული, არამედ სიმარტოვეში, რათა ყოფიერების ხმა, მეტაფორებში დავანებული, მისაწვდომი გახდეს გულისყურისათვის. ლირიკა ხდება მაორიენტირებელი, გზის მაჩვენებელი. ლირიკოსი გარდაისახება იდუმალების მოძღვარში. ლირიკაში მეტაფორა ფრთხებგადამცდარი ბოინგია, ტრანსში ჩავარდნილი სულის ხატია. მეტაფორა გულია ლექსის სხეულის, მისი მკვებავია, სინათლისა და ენერგიის მიმწოდებელია. მეტაფორა სიტყვების მდინარებაში მარადმოქმედი გენერატორია, რომელიც სულიერ დენს სიტყვების ქსოვილში გამოანათებინებს. მეტაფორა მზების გამომაშუქებელი გულია, საყრდენი წერტილია, სიტყვების ჭერის შემკავებელია ჩამოქცევისაგან. მეტაფორა პარამატმას სკაფანდრია, დროის ვერტიკალური ხაზია, საგალობლის სფეროს მუდმივ ტრანსცენდენციაში რომ ამყოფებს ყოფიერების ხმასთან. დიდ პოეზიაში სიტყვებს შორის იქმნება მაგნიტური ველი, რომელიც ასხივებს მოლამუნეტალლებს, სულის მზე ირკვლება გათრაშულ, დამონტაჟებულ სიტყვებზე, მის წანაგებზე, საგალობლების უაღრეს სიძკვრივეში მთელი ყოფიერებაა გახსნილი და შემალული. ამავე დროს, მეტაფორა ინარჩუნებს დაულეველ, კონცეტრირებულ ენერგიას, მსგავსად თუნგში მომწვდეული ჯინისა. ზიარებულის, გამგების შემთხვევაში იგი მზადაა აღიმართოს ვარსკვლავებამდე. ლირიკაში მეტაფორები მზიდან მოვარდ-

ნიღი ხორუმია სიკვდილისაკენ წასწრაფებული. პლანეტები საწყობებია, ლვთის ენერგიისა, ასევე მეტაფორები სულის პლანეტებია. მეტაფორა სულის მზეა უხილავად მოციციმე სიტყვების ქსოვილში. მომავლის ლირიკული საგალობლები კოსმოსური თანამგზავრებივით მოძრაობები და ციმციმებენ, მათი მოძრაობა მიმართულია კაცობრიობის გულისაკენ. მეტაფორის ლაზერული მზერით გამოცოცხლდება კაცობრიობაში განფენილი მკვდარი ლაზარე. ლირიკულ საგალობლებში შესული ყოველი საგანი იხსნება, აჩენს თავის სარკმელურობას, ხიდურობას მიღმურისაკენ. უძლიერესი შინაგანი წერტილის არსებობა გაახელინებს სიტყვების კონსტრუქციებს, გამოიყვანს არყოფნის უბიდან და წვიმის ღრუბლებივით დამძიმებულ ლირიკულ საგალობლებში მოვიბრირე სული ურიცხვ წყაროსთვლებად გარდმოდინდება კაცობრიობის უდაბნოსაკენ. სიტყვები თავისებური არსებები არიან, ისინი გეშს იღებენ თავიანთი პატრონისაკენ და ქინქლებივით ედებიან ლირიკოსის სულის ნათურას. მეტაფორა სულის ბორანია, უხილავი მზისკენ მარადიული დრეიფით მიმართული. მინის კუსტარული გამოდნობის დროს შემდნარ მასას მიღით ჩაბერავდნენ, თანდათან გამოიბრებოდა გავარვარებული სფერო. შემოქმედის შინაგანი ცენტრიდან გამოშუქებული ენერგიით შემდნარი სიტყვები, მისივე სულის ჩაბერვით, საგალობლის სფეროებად გამოიბურცებიან ლოდინის მინდან. მომავლის ლირიკას ამოზნექილი ბროლის ლინზის თვისება აქვს, იგი კრებს, იზიდავს მზე ლოგოსის სხივებს. მეტაფორების ლაზერული მზერიდან გამოჭრილი სინათლის ნაკადები გაანგრევენ „მაიას“ ილუზიურ კედლებს და სივრცის გრუნტში გამტარ

დერეფნებს დატოვებენ. ნაპერწკალი უხილავი მზისა სიტყვების ქსოვილიდანაც გამოსავალს ეძებს; ეს გამოსავალია მეტაფორა, მეტაფორა არის სიტყვების ნეირონებისაგან შემკვრივებულ ენერგიათა ხიდი, რომელზეც კაცობრიობის სულის ოკეანებ უამრავი ტალღის ტერფებით უნდა გადაიაროს. ლირიკოსი ობობასავით არის გარინდებული სხვადასხვა ძაბვის ენერგიათა ქსელის ცენტრში. უძლიერესი შერხევის დროს იგი ახდენს დიდ ტრანსცენდენციას, გადაიხრება თავისივე უსასრულობის სიწყნარეში. ამ დროს დნება პიროვნულის წინაღობა და ლირიკოსის სული მზადაა, იქცეს მთელი ყოფიერების ენად.



დავითხმული პილიკი

დიდი პოეზია ეს არის ყოფიერების უფსკრულების გახსნა სიკვდილისაკენ სწრაფვით, ცეკვით მიეახლება გარდაცვლილთა გვამებს შეშლილი ღმერთი შივა, უცქერის თავისი „მეების“ გარდაცვალებას. („მე“ გარდაცვლება ყოვლად და ყოვლადი „მედ“ გარდაცვლება) – დიდი შემოქმედება მუდამ სიკვდილთანაა წილნაყარი, პლაგიატებისათვის და გრაფომანებისათვის სიკვდილთან ერთად მთავრდება ყველაფერი, ისინი ტოვებენ მხოლოდ მტვერს და უაზრო ხმაურს, მათ არ უნდათ, ცნონ ნამდვილი ტალანტი. ასეთებზე ამბობდა შოპენჰაუერი: კეთილშობილური ქმნილება გენისა ჩლუნგი უმრავლესობისათვის საუკუნოდ რჩება შვიდგზის დაბეჭდილ წიგნად და მათვის მიუწვდომლად, მათგან განყოფილი ღრმა უფსკრულით.

შენ არა ხარ, დუმილით გეუბნება მთელი სამყარო, დიდი შემოქმედება კი ხომ რწმენაა უპირველეს ყოვლისა, პოეზია სხვა არა არის რა, თუ არა მე ვიყავი, მე ვარ, მე ვიქნები, და ეჭვი – აღარ ვიქნები. ჰერაკლიტე ეფესელმა ოქვა, მარადისობა ზღვის ნაპირზე მოთამაშე ბავშვია, რომელიც თამაშობს კენჭებით, სიცოცხლე არის თამაში და ზრუნვა და ყოველი ზრუნვა არის თამაში, რამეთუ სულისთვის უცხოა ეს ყველაფერი – ის სხვაა, ის არსებობს ზრუნვის გარეშე, მაგრამ თამაშის ღროს ეცემა ბავშვი, ტკივა რაღაც და დიდი დედა აპეირონი გამოდის შვილის ხმაურზე, და ისევ მიჰყავს თავის

წყვდიადის სახლში დასამშვიდებლად, მაგრამ რა არის ეს სიმშვიდე – მე აღარ? პიროვნების უარყოფა მოდის ყოველიდან. ყოველი ფიქრობს, რომ თვითონაა ჭეშმარიტი, სხვა კი მაიაა და მეორადი, ეს გრძელდება მანამ, სანამ ადამიანი სხვის შეყვარებს შეძლებს, მაშინ ის გრძნობს, რომ „სხვა” უფრო მეტია, ვიდრე ის, ის თითქოს არარსებულია, ამ სხვით მოცულია მისი არსებობის ყოველი კუთხე-კუნჭული და სწორედ ამ დროს, როცა სხვისი არსებობა ხდება საკუთარ არსებობაზე მნიშვნელოვანი, ფრთებს ისხამს ყოფიერების დიდი საიდუმლო, სიყვარულის ობიექტი ხდება სუბიექტი, ობიექტი და სუბიექტი გარდაიქმნებიან დიდ ერთიანობად, უფრო სწორად, უბრუნდებიან იმ საწყის მდგომარებას, სადაც ისინი ერთმანეთის სარკის უკანა პირებია. ისინი მხოლოდ მაშინ არიან, როცა ერთიანდებიან. შეერთება უცნაური სახით ვლინდება, უარყოფს რა საკუთარ თავს, მხოლოდ მაშინ იწყებს ნამდვილ არსებობას, კარი მხოლოდ მაშინ იღება, როცა შენ აღარა ხარ და ეს უცნაური არყოფნის ნეტარება მსჭვალავს ყველა უაღრესად დაძაბულ შემოქმედებას. ომარ ხაიამი ადამიანის სახეს ყველაზე დიდ სასწაულად თვლიდა ამ და იმ სამყაროში, საყვარელი ადამიანის სახე კარია, რომლის გავლით ჩვენ შევდივართ ჩვენივე არსების უიდუმალეს ცენტრში, წერტილში, როგორც დანტე ამბობს „ახალ ცხოვრებაში,” რომლის მიმართ ყველა ნივთი და არსება თანაბრად არიან დაშორებული. ასევე, ყველა დროული მოვლენა ამ წერტილში იყრის თავს და თანაარსებობს. ეს არის ღვთაებრივი არსებობა, რომელიც ადამიანს სამოთხეში ჰქონდა, სადაც ჭვრეტა არის სიცოცხლე.. თითქოს, რა ჩვეულებრივია ყველაფერი და რა უჩვეულო-

ცაა ამავე დროს. ეს ოქსიმორონი მრავალ ამაღლებულ სულს აწვალებდა, განცვიფრების ეს გრძნობა ხშირად ხდებოდა დიდი კითხვების წარმოშობი და ერთადერთი პასუხი ყველაფერზე არის და იყო სიყვარული, რომელიც მარადიულია. ვიცით, რომ რწმენა და იმედი განქარდებიან, სიყვარული კი რჩება. ესაა ძალა, რომელიც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს, ასე სწამდა დანტეს და ქაბირს, ასე სწამდათ ამ საიდუმლოს ზიარებულ პოეტებს. სიყვარული არის უცნაური არყოფნა, რომელიც ჩვეულებრივ ყოფნას აღემატება, ესაა საიდუმლო და ამის შემცენებელი არის პოეტი. უსიყვარულოდ ადამიანი მხოლოდ „არის”, მაგრამ ეს კვაზი არსებობაა, როცა მიჯნური კარგავს თავის თავს, სინამდვილეში პოულობს მას. ესაა ყოფნა, როცა ორი უდრის ერთს, ის და შენ. ის არის უკიდეგანო, შენ უმცირესი და ეს სიმცირე არის ნეტარი მდგომარეობა, რომელიც მსჭვალავს ნამდვილ, ამაღლებულ პოეზიას. ეს არის სიმცირის უსასრულობა, მისგან გამოთავისუფლებული და ეს ნეტარი დამცრობა არის ყველა დიდი პოეტის და მისტიკოსის მოძღვრების გულისგული. ჩვენი უსასრულოდ ქცევა, ჩვენი უსასრულოდ შემცირებითაა შესაძლებელი და ამ გზაზე მიჯნურში განხორციელებული სილამაზე იქცევა კარად უსასრულობისაკენ. დიდი პოეტი არის სიყვარულის საიდუმლოს მთარგმნელი, რომელიც არ კმაყოფილდება ადრინდელი თარგმანით და სულ უფრო ცდილობს ახალი თარგმანით მიუახლოვდეს ორიგინალს. პოეტების რიცხვი ახლა ლეგეონია. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ აჩვენონ, ადამიანი რა მდაბალი და პატარაა. აი, ასეთია დღევანდელი პოეზიის ლანდშაფტი, უსიცოცხლო, უღიმღამო, მხოლოდ წვრილმანი ყოფისკენ მიმართული. დიდი

პოეტების პოეზია კი იმ ხის ფოთლებია, მთელი კოს-მოსის ფილტვებს რომ წმენდს ღვთაებრივი უანგბა-დით. ამ ხის ანარეკლია ეს სამყაროც, რაც ზემოთაა, მისი მსგავსია ქვემოთაც. ნამდვილი პოეზია განწმენ-დას ემსახურება, ბერძნული ტრაგედიების მსგავსად. პოეტი გარდაცვალებას და აღდგომას განიცდის, როგორც გარდაუვალს და უჩვეულოს. ის თავის ნიღბებს ახვედრებს არარას სუნთქვას, კორიდაზე გამოსული სიკვდილის რქებს შროშანებიან სუდარას შეაგებებს და აი, ასეთი პოეზია „განახლებული კუბო რამზესის“ კიდობანივით შესცურდება მომავა-ლი უამის ოკეანეში.



მატლიდან პეპლამდე

ლექსი თვითონ მოითხოვს ცვლილებას და სანამ თავის თავს არ ამოწურავს, არ შეგეშვება. ბევრჯერ მოუწევს შეცვლა, სანამ არ გაცოცხლდება... ყურანში ასეთი ფაქტია მოთხრობილი: იქსომ ბავშვობაში თიხისაგან ჩიტი გააკეთა, ბუნებრივია, ჩიტი მკვდარი იყო, იქსომ სული ჩაპერა და გააცოცხლა.. პოეტის შრომა და სრულყოფილებისკენ სწრაფვა აცოცხლებს შემთხვევით, დაუხვეწავ კონსტრუქციებს, ახალ სიცოცხლეს აძლევს, უნდა გაქრეს კვალი მუშაობის, ლექსი ისე უნდა გამოიყურებოდეს, თითქოს ერთი ამოსუნთქვით არის შექმნილი. პეპელას არ ახსოვს თავისი ჭუპრობა და არც მათ, ვინც ყვავილებთან მოფარფატეს ხედავს მას... უცნაურია.. ის, ერთ დროს, მხოლოდ საბრალო მატლი იყო... სწორედ ამგვარი ტრანსფორმაციები ხდება პოეზიაში... დიდი პოეტი კარგად იცნობს თავის ლაბორატორიას.. ჩვენთან კოხტა-პრუწობენ, ყოველგვარ მუშაობას გამორიცხავენ, ერთმანეთს თავს აწონებენ, თითქოს, ლექსი მხოლოდ შთაგონების ნაყოფი იყოს, შეიძლება მართალიც არიან, ამიტომ არის შედეგები სავალალო. მხოლოდ შემთხვევითობას მინებებული პოეტი ვერასოდეს გახდება დიდი. პოეტი, როგორც მეფოკუსე, უნდა ფლობდეს ოსტატობას და გამუდმებით ხვეწდეს მას.. დიდი ნიჭითაც რომ იყოს დაჯილდოებული კაცი, თუ არ დაუუფლა ოსტატობას, ვერ მიაღწევს სასურველ შედეგს.. ერთი ახლობელი პოეტი მიმტკიცებდა, დიდ პოეტს დიდი ტანჯვა აქვს, პატარა პოეტს კი პატარაო.. მე ვუთხარი,

ვირიც ხომ იტანჯება?! ვირი, რომლსაც ზურგი სულ გადაყვლეფილი აქვს, დიდი ტვირთიც ადევს და განუწყვეტელი ტკივილებიც აწუხებს.. არა მგონია, ჩვენ ამხელა ტანჯვა გვქონდეს, მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით ვირიდან პოეტი არ გამოსულა.. ტანჯვა ყველას აქვს, ადამიანებს, და ცხოველებს კიდევ უფრო მეტი... კაცს დიდ პოეტად რაც აქცევს, ეს მისი გამოხატვის საშუალებებია – უბრალოდ, ის ამბობს იმას, რასაც სხვები თვალმოკვრით თუ მოიარებით გრძნობენ, ან ლამაზ სიზმარში უხილავთ და ვერ გამოხატავენ. სიზმარი რომ რეალობად აქციო, უდიდესი ოსტატობა და შეშლილი ლტოლვაა საჭირო სრულყოფილებისაკენ. ნარცისიზმი და მავანთაგან ქება კი არ უნდა იყოს შეფასების კრიტერიუმი, არამედ მუდმივად უკმაყოფილო შენი ინდივიდუალურობა, ხელოვნურად განატიფებული, ერთგვარი ხელოვნური თვალი, რომელიც დროთა განმავლობაში ყალიბდება და „არ მიჰყვება წადილთა ნებას”, ნაკლი, სხვაზე მეტად, თვითონ ავტორს უნდა უკარგავდეს მოსვენებას. გრძელი ცხვირი (ამ შემთხვევაში ჩემი) მისსავე პატრონს უნდა ხვდებოდეს თვალში და სხვაზე მეტად აწუხებდეს, მაგრამ საკუთარ ნაკლს ადამიანები, ამ შემთხვევაში „პოეტები” თავიანთი სიამაყის წყაროდ აქცევენ და სრულიად არ ცდილობენ გამოსწორებას, ემართებათ საოცარი რამ „უცილობლობენ ვითა ჯორი”.. სწორედ ეს „ჯორი” უშლის ხელს პოეტური ინდივიდუალობის ზრდას. შემთხვევით შეიძლება, რაღაც კარგი გამოუვიდეს კაცს, დიდ დისტანციაზე კი თავისი იდეალური მდგომარეობის მრავალჯერ გამეორებას ვერ მოახერხებს.

ნიკო სამადაშვილი

უსამართლოდ მივიწყებული დიდი პოეტი, რომლის მსგავსი იშვიათია საქართველოში. ვერაფრით ვერ ვგებულობ, მეორე ხარისხოვანი პოეტებით გადაავსეს მთაწმინდა, ბოლოს, ასეთი პატრიოტული ლოზუნგების და გულზე მჯიდის ცემის უნიჭო პოეტიც დაასვენეს მთაწმინდაზე. აგერ ჩვენი „დიდი ველიბრისტი”, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და თავისი წყალწყალა ლექსები აწერინოს, როცა გარდაიცვლება, ალბათ, მთაწმინდაზე გააქანებენ მისი უნიჭო მიმდევრები. ნიკო სამადაშვილმა ვის რა დაუშავა, მივიწყებულ სასაფლაოზე რომ ასვენია?! მასზე თქმული გალაკტიონის სიტყვა რჩება ერთადერთ სწორ შეფასებად. ბევრი წერილი დაიწერა, ბევრი საქები ითქვა, მაგრამ ვინც ლიტერატურულ პროცესებს მართავს, მათ ნიკოზე მხოლოდ ნახევარ სიმართლე გაიმეტეს, ეს იმიტომ, რომ ყველას საკუთარი მამა ჰყავს გასასვენებელი და საქები, და მეორე, შური ბატონებო, შური.. გაუმარჯოს ქართული სიტყვის დიდოსტატს, უდიდეს პოეტ ნიკო სამადაშვილს!

უნიჭო პოეტი – ეს სიტყვები ფაქტის კონსტანტაციაა, არც ქებაა, არც ლანძღვა, როგორც სიტყვა დაბლობის დარქმევა გაშლილი ვაკისათვის არაა შეურაცხმყოფელი, ისე მთისთვის მთის დაძახება სულაც არაა ქება. ეს არის რეალური პოეტური ლანდშაფტის გადმოცემის ცდა, შედარების გარეშე კი ფონს ვერ გავალთ. სამყარო შედარებითა, შედარების გარეშე ყოველგვარი „სიდიდე” დაკარგავდა

აზრს. იმიტომ ვადარებ, რომ მიმაჩნია ეს სწორია და გვეხმარება ორიენტირებისთვის, პოეზიის რუკაზე ეს სიდიდეები ერთმანეთთან შეპირისპირებაში არსებობენ და ერთმანეთის საშუალებით აღგენენ ერთმანეთს. დღევანდელი მდგომარეობა პოეზიაში, ის რაც ახლა ხდება, თვითნებური გადანაცვლებაა აღგილების, ჰაერში გამოკიდებული იერარქიების გაჩენა უფრო დეზორიენტაციისთვისაა, ვიდრე რამეში გარკვევის სურვილი. ყალბი სიდიდეები თავგზას უბნევენ გამოუცდელ ჰილიგრიმებს და თავისებურ მირაჟებს წარმოადგენენ. თუ სახელები არ დავარქვით „ყველაფერს, მაშინ ჩვენ აღმოვჩდებით „ყველა კაიას“ ნეტართა მხარეში, რომელსაც არც ფერი აქვს, არც კუთხე, არც ფორმა. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამს რაც ღმერთმა უპირველესად მიანიჭა იყო სახელების დარქმევის ნიჭი, ხოლო ზედმეტი დიპლომატიურობა და მიდებ-მოდება არ შეეფერება ნიკოს ტანჯულ სულის. პირადად მე არ ვაპირებ თიხის-ფეხებიან გოლიათებს ვუკმიო, ამას მათი მაქტბრებიც გასწვდებიან. ნიკო სამადაშვილი იმდენად დიდი პოეტია, სიდიდედაც კი არ აღიქმება, ის მოუხელთებელია ჩვენი დაცემული მზერისათვის.

ԱՅԻՆԱՅԻ ԿԱԱՐԱ, ՏԱՐԱՎԱՅՐՈ ՌՈՇ ՈՉԵՄԱՐՎԵՒԹԱ ՀԱ ՏԱՅՈՍ ՏԱՅՏ ԸՆԹԱԺ ԵՎՃԱՅՏ

Ես և յուրատո ի՞շմ յրտ նաբնոքս մաշոնեցի, յագոնի
ռոմ առ ակմայոցովութեած, վարմուցանու և սարկացի
տաց լուսած եցաւըդա. տացուտացած, յագու պատճենի
արայուրուած լասամանակու, լուսուրուու և սունատլեցի լուսու,
յագու, զորո, զայլու ու պատճեն ծալակու տանաձարնո
արան և ազեցի յրտմանցու. ուսուն մուսու մուսու յայուցա-
լուրու քարմոնու և մաշագունեցու նախուլեցի արան,
յրտմանցութե և յրտմանցուու տանաարևեծուցի, յմնուն
մու պատճենու քալութրու. լուսացած և պատճենուցի
մամուն ուղացի, ռուց յագու ուրարչուաս արայուցի, տաց-
ու յագու պատճենու պատճեն, զայլու լուսու եցաւ. սունամց-
ուլեցի, յագու ուրարչու ապուրաու լուսուրու և վարուցի,
ծրածու գամուցեածու պատճեն և պատճենուցի, մու-
ուրտեռու լուսած, յագու սաւ և գաեցաւ ու, ռուց
լուսուրու առ հայոցուրեցի, յու կո մաշուլեցի լուսու.
յու ուղացութմու, իշմու աչրու, մաշուրու և սագու-
նութմու. „մոյլա ռա մուցարու, սալուրու մուցարուած
զայ ոյլա”, և յուրալու, մաշուլեցի ռալաւ ալմաթեալու,
գուլուսեմուծ ալջուրուունեցի և տապանու սպամաս ոմո-
ւաս ռաւ մաշուլեցի և արա մուսպուաս, րյալունու և
յարպուցաս և յու ռյալունու մուցարուեցի. յոն-
ցածուլարուլու և յու առ նունացի ոմաս, ռոմ
իշմու վարմուսակուլու „րյալու” նամցուլու. յու
գոլցուուեցի ուղացի նամցուլու գոլցուու նուցու-
րեցի, ուսուն գոլցուու մուսպուաս զայ անապալուցի
և տացու ալցուլսաւ յարցաւ. սրուլուցուլուեցի-

კენ სწრაფვა სტახანოვური მოძრაობა კი არ არის, სადაც კატა ლომად უნდა იქცეს, ბალაზი ბაობაბად, ობობა გიგანტურ რვაფეხად, არამედ უდიდესი მადლიერების გამოხატვაა იმის გამო, რომ სიცოცხლის ზეიმის მონაწილეები ვართ. ყველა საკრავი ვიოლინოა, როიალია თუ უბრალო სალამური თანაბრად საჭიროა ღვთის ჰარმოსაქმნელად. ღვთის სინათლეში ყველა არსება საოცრად ლამაზია და საყვარელი. შეჯიბრების, სხვად ქცევის სული იწვევს ჯოჯოხეთში ტემპერატურის ზრდას. მოგეხსენებათ, ტკივილი საკმარისზე მეტია და არ ღირს მისი კიდევ გაძლიერება, რამეთუ ასე იქმნება თანამედროვე ცხოვრების ზუსტი ანარეკლი, ვითოშ რელიგიური, სინამდვილეში, ადამიანის ინსტიტების გასამართლებელი მოძღვრებები. მხოლოდ სიტყვები ღმერთი, მარადიულობა ვერ ჩქმალავენ ამ მოძრაობების ათეისტურ სულს.



სარპენტი

შური და ადამიანი ხანძარში გახვეული სახლივითაა, ძალიან ძნელია ამ სახლიდან გამოაღწიონ და რამე დაუზიანებელი გამოიტანო. როცა შურის ცეცხლი უკიდია კაცს, აზრები, სახეები შურის საგანზე დეფორმირებული გამოდიან კაცის გულიდან და ადამიანი ამას ვერ ამჩნევს ან ძნელად ამჩნევს, ცოცხალი თავით არ უნდა გაუსწოროს სიმართლეს თვალი. ის თავის ასატან „რეალობას” ქმნის, სადაც კომფორტულად არსებობს, სხვებზე ეს ადვილი შესამჩნევია, მაგრამ საკუთარი თავის განჩხრეკა ისევე ძნელია, როგორც სიბნელეში ნემსის ყუნწში ძაფის გაყრა. ნებისმიერი ჩვენგანისთვის რეალობა უფრო ძვირფასი უნდა იყოს, ვიდრე ყველა ჩვენი გამოგონილი სამყარო. მე გულწრფელად არ მინდა, რომ შევცდე ან თუ ვცდები, ვცდილობ დავინახო, რამ გამოიწვია ჩემი შეცდომა. თავისთავში გარკვევა ღმერთის შემეცნებას უტოლდება. ჩემთვის მთავარი რეალობის დანახვაა და არა შეკოწიწებული „სიმართლე”. რეალობის დანახვით ჩვენ თავს ვიმეცნებთ, უფრო სწორად, მოხელთებული რეალობა იმდენად ძვირფასია, ღმერთთან შეხვედრას უტოლდება, იგივე საკუთარი თავის შემეცნებაა. ვინც შეიცნ საკუთარი თავი, ვინც იხილა რეალობა, ღმერთი იხილა. ეს ძნელია, უფრო ძნელი ვიდრე სუნთქვის შეწყვეტა. სხვები იგივე ჩვენი მებია, სარკებია, სადაც ჩვენ ვიხედებით. ჩვენთვის ყველაზე ძნელია გავიგოთ ვინა ვართ ჩვენ? ეს თუ გავიგეთ, ღმერთსაც გავი-

გებთ, როგორც ღმერთია დაფარული, ისე ჩვენი
ნამდვილი მე არის ჩვენგან დაფარული. ვინ ახდის
საფარველს? ვინც შევა დაფარულმი, ის სიცოცხე-
ლეშივე უერთდება ღმერთს, ხდება მთლიანი, ისეთი,
როგორიც ღმერთმა დასაბამიდან ჩაიფიქრა.



ერთხელ გერმანიაში

სამოქალაქო ომმა, ეკონომიკურმა სიღუბჭირებები და მიღებულის დაწყებას შეუწყო ხელი და მიღიონზე მეტი მოქალაქე ევროპის, რუსეთის და ამერიკის ქვეყნებში აღმოჩნდა. ისინი იღტვოდნენ უცხოეთისკენ ეგვიპტიდან გამოსული ისრაელივით, დაეძებდნენ ქვეყანას, სადაც სდიოდა „რძე და თაფლი”. ეკონომიკური უდაბნოს გაუსაძლისობა და შიმშილი უფრო დიდებულად წარმოუდგენდათ სურვილთა ქვეყანას დამშეულ ხალხს. შევარდნაძის რეჟიმი ეგვიპტის ფარაონის სიზმრის მჭლე ძროხასავით ყველაფერს ნოქავდა. ამ სიურეალისტური სიზმრის ახსნას იოსების წინასწარმეტყველება არ უნდოდა, რომ მიხვედრილიყავით რა იყო მომავალში მოსალოდნელი, ვისაც როგორ შეეძლო ისე შველოდა თავს, გაჩნდა ათასობით ტურისტული „ფირმა”, რომლებიც მომავალ ემიგრანტებს სამუშაო ადგილებს და საამურ ცხოვრებას პირდებოდნენ. ემიგრანტთა ნაკადში, რომელიც ევროპაში ღტოლვილებად იწოდებოდნენ, გაჩნდნენ ფსევდო იერარქიული ჯგუფები: 1) ხალხი, ვისაც სურდა ემუშავა, დაეგროვებინა ფული, ეყიდა ბინა, მანქანა, მოხმარებოდა ახლობლებს. ნიცშეს მხატვრული ტერმინი რომ გამოვიყენოთ აქლემის ტიპის მოვალეობებით დახუნდლული ხალხი, რომელთაც ჰქონდათ პასუხისმგებლობის გრძნობა თავისი ოჯახის, ნათესავების მიმართ, ერთი სიტყვით, „მშვიდობიან ბალახისმჭამელთა კლასი”; 2) ხალხი, რომელიც მუშაობას სირცხვილად თვლიდა, ეგრეთ

წოდებული „კაი ბიჭები” ან „კაიბიჭობას” შეფარებული მიმიკრიები, რომლებმაც ვერ გაუძლეს მშობლიური კრიმინალური ჯგუფების მკაცრ კანონებს და უცხოეთში ცდილობდნენ ძარცვა-გლეჯით კარგ ცხოვრებას. ამ ფენაში ნარკომანები ელიტურ ჯგუფს შეადგენდნენ. ამავე ჯგუფს ეკუთვნოდნენ მეძავები ან შემდეგ გამეძვებულნი, რომლებიც, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მომსახურებას უწევდნენ „კაი ბიჭებს” და ოცნებობდნენ, რამენაირად დაეღწიათ თავი ამ უფასო მომსახურებისათვის და ეშოვათ ვინმე მდიდარი გერმანელი ბიძია, რომელიც მიქაელ მთავარ ანგელოზივით იშვიათად ჩნდებოდა და მასავით წელიწადში ერთხელ ჩაჰყოფდა ფრთას ამ ქვესკნელის სიბნელეში, „კუპრისგან და ცეცხლთაგან” იხსნიდა ტანჯულს. ვისაც გაუმართლებდა, ჰქონდა შანსი გამხდარიყო ფრაუ-ქალბატონი, ექნებოდა მანქანა, სახლი, საღამოობით ივახშებდა რესტორნებში, დათვალიერებდა კენის ეროვნულ პარკს აფრიკაში, თუ მეტად გაუმართლებდა, მოხვდებოდა მაიორკაზე, რომელიც მდიდართა გასართობი და დასასვენებელი ადგილი იყო (გერბად ამ კუნძულს ღამურა ჰქონდა, ნგრევის, ღამის სიმბოლო). თუმცა, ეს ერთულოთა ხვედრი იყო, ეს იგივე იყო რაც ლატარიაში 300 მილიონი დოლარის მოგება. ძირითადათ, მეძავები გადადიოდნენ დაბალი ფენის გერმანელების ან იტალიელების მომსახურებაზე და მათი ბედნიერება მანამ გრძელდებოდა, სანამ გრძნობა მოყირჭებული გერმანელი განტევების ვაცივით არ გაუშვებდა „უდაბნოში” და ისინიც ფეხაორევით, უკან უბრუნდებოდნენ მშობლიურ სადგომს; 3) იყო კიდევ, განათლებულთა ანუ უხერხემლოთა კლასი, „მცირე სამწყსო”. მათ იმუდი ჰქონდათ, რომ

ჩაწერებოდნენ გერმანული ცხოვრების კონტექსტში, ფლობდნენ გერმანულ ენას ან გამწარებით ეუფლებოდნენ სახალხო სკოლებსა თუ უნივერსიტეტებში, საღამოობით მუშაობდნენ რესტორნებში, რეცხავდნენ თევზებს. ისინი თანდათანობით აცნობიერებდნენ, რომ გერმანია მათ არასოდეს მიიღებდა ბუნებრივ ნაწილად და ყოველთვის დარჩებოდნენ „მაიზე აუსლენდერ“ – საზიზლარ უცხოელებად. წინა ორი ჯგუფი ამ ხალხს ამრეზით უცქერდა, მხოლოდ მაშინ ახსენდებოდათ, როცა გერმანულის მცოდნე დასჭირდებოდათ სასამართლოებში, სადაც მათი საქმიანობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხშირად უხდებოდათ ყოფნა, საავადმყოფოებში, მანქანების საყიდლად. ეს განათლებულ-, „უხერხემლოთა“ ყველაზე დაუცველი ფენა, კანტის მორალური კატეგორიებით აღჭურვილი, ცდილობდა საზოგადოებაში (გეზელშაფტში) ინტეგრირებას. გერმანელები ამ ყველა ჯგუფებს შორის არავის გამოარჩევდნენ და უზომო სიძულვილით სძულდათ თავიანთ ქვეყანაში შემოსეული ღარიბი ხალხი, კალის გუნდებივით რომ შესეოდნენ მათ ეკონომიურ თაზისს და გაპარტახებას უქადანენ აწყობილ სოციალურ სისტემას. გერმანელის მეორე წინადაღება გამარჯობის შემდეგ იყო: როდის მიდიხარ უკან შენ ქვეყანაში? ამ მძაფრ კითხვაში იფრქვეოდა მათი მოუთმენლობა, გაუსაძლისი კბილის ტკივილივით რომ უღრნიდათ ტვინს. კარგი უცხოელი მათოვის ფულიანი, ფულის დასახარჯათ ჩამოსული უცხოელი იყო, ამით ისინი ჩვენი ხალხისაგან არაფრით განსხვავდებოდნენ. მდიდარ უცხოელებთან მათი საიგავო ტოლერანტობა და დემოკრატიულობა მაისის ვარდივით იშლებოდა. ისინი მზად იყვნენ მომსახურებოდნენ ზანგს,

არაბს, ჩინელს, ინდოელს თუ ხედავდნენ, რომ მათ ჰქონდათ ფული. უცხოელები ფულის წყალობით შეიგრძნობდნენ, რომ ნაციონალობა მეორეზარიხოვანია, სინამდვილეში, არსებობს მდიდრების ნაცია განურჩევლად ერისა, რასისა, სარწმუნოებისა. ისინი ენის უცოდინართაც მშვენიერდ აგებინებდნენ თავიანთ სურვილებს. ღარიბი ემიგრანტების ფენა პირველ ეტაპზე მაინც სოლიდარული იყო. ეს ჭრელი ხალხი, სხვადასხვა ეროვნების, სარწმუნოების საათობით საუბრობდნენ, ჭამდნენ და სვამდნენ ერთად, გერმანულის არ ცოდნა სულაც არ უშლიდა ხელს მათ ურთიერთობებს, ისინი ათიოდე გერმანული სიტყვითაც მშვენიერად და გულითადათ საუბრობდნენ. მათი ლექსიკონი ძირითადათ ასეთი სიტყვებისაგან შედგებოდა: შლეხტ (ცუდი), გუტ (კარგი), გელდ (ფული), ფრაუ (ქალი), ცურუპ (უკან) – ემიგრანტების სამულველი სიტყვა, ჰია (აქ), დოიჩლანდ ისტ შაიზე (გერმანია ცუდია), სადამ ისტ გუტ (სადამი კარგია), ამერიკა ისტ შაიზე (ამერიკა ცუდია), კაინ გელდ (ფული არ არის), კაინ არბაიტ (არ არის სამუშაო). მიუხედავათ ამ მწირი ენობრივი მარაგისა მათ ბედკრულ ჰარმონიას არაფერი არღვევდა. ბაბილონის გოდოლი რომ ენობრივი აღრევის შედეგად არ აშენდა, სიმართლეს არ ჰგავდა, ენის არცოდნა ღარიბებს სულაც არ უშლიდა ერთმანეთის მიმართ სოციალურ მიალერსებაში, სტუმართმოყვარეობით არაბები და ქურთები გამოირჩეოდნენ, უყვარდათ ქართველებივით სტუმრიანობა, სუფრაზე თავ-თავისი ქვეყნის ქება, მაგრამ ეს იდეალური სიამტკბილობა, ედემის მკრთალი ანარეკლი მაღვევე ირღვეოდა თუ რომელიმე მათგანი კარგ სამუშაოს იშოვიდა ან გერმანულ

ცოლს მოიყვანდა, მომუშავენი და დაქორწინებულები ერთად მჭიდროვდებოდნენ, უმუშევართა და უპოვართაგან იმიჯნებოდნენ, მომუშავეთა და უმუშევართა შორის კომუნიკაცია იკარგებოდა. მომუშავეებს აღარა შეესმოდათ გუშუნდელი გულითადი თანამოსაუბრეების, ცდილობდნენ გასხლეტოდნენ ამ უპოვართა და ღარიბთა „შავ ხვრელს”, რომელიც მათ ხელფასებს გაქრობას უქადდა. ამ საკითხში ინდუსტები, ქრისტიანები, იეზიდები, მუსულმანები ერთსულოვანნი იყვნენ, მიუხედავათ მათი რელიგიური მიკუთნებულობისა, მათი საქციელი გერმანელთა საქციელის იდენტური იყო. ისინი ცდილობდნენ თანდათან გერმანელების ახლოს დამკვიდრებულიყვნენ, მართალია, შაიზე აუსლენდერ (საზიზღარი უცხოელის) სტატუსს ვერ მოიცილებდნენ, მაგრამ მათ მიმართ ზიზღის ხარისხი შენელდებოდა, მათ შვილებს ეძლეოდათ შანსი ნელ-ნელა ადაპტირებულიყვნენ საზოგადოებაში. ესენი ძირითადათ იყვნენ ხალხი, რომელთაც მიიღეს ლტოლვილის სტატუსი და ხალხი, რომლებიც იყვნენ ქორწინებაში გერმანელებთან და ჰქონდათ მუშაობის და ცხოვრების უფლება გერმანიაში.

* * *

არ ვიცი რამდენად ეთიკურია წერა ადამიანზე, რომელიც ადრე წავიდა ამა ქვეყნიდან, სახელს არ ვიტყვი, გული რომ არ ვატკინო მის თაყვანის-მცემლებს. მინდა ვისაუბრო პრობლემებზე ქართულ პოეზიაში, არა მგონია, ეს ცოდვა იყოს... ამ პოეტის ლექსებისნაირს ბევრი ბავშვი წერს და თავშიც არ მოსდის, რომ პოეტია და მერე ჩვეულებრივ ცხოვრებას იწყებს და აღარც ახსოვს ლექსებს თუ წერდა... რას შევბა დრო, რა უცნაურ კერ-პებს წამოატივტივებს?! მე, რა თქმა უნდა, მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მალიან ტრაგიკული ცხოვრების კაცი იყო, ახალგაზრდა წავიდა, მაგრამ ეს არ მართმევს უფლებას, გამოვთქვა ის აზრი, რასაც ვფიქრობ.. და მაინც, არ შეიძლება კაცი ძალიან კატეგორიული იყო, უნდა გვახსოვდეს რომ დეკარტის „მატყუარა“ ჩვენში ზის და ძნელია ჭეშმარიტების მოხელთება, ის ახალ-ახალი ფორ-მით წარმოგვიდგება და ჭეშმარიტების სახეს იღებს, ჩვენ, ადამიანები ძნელად გავექცევით მის ხაფანგს.. როგორც ძალლის კუდი არ განიმართების და არც კირჩხიბი მართლად ვალს... ჩემი გამოსწორების ცდა, ყოველ ჯერზე, მარცხით მთავრდება. ვცდილობ, გავიზიარო საყოველთაო აღფრთოვანება ამა თუ იმ პერსონით, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდება, ჩემი ხასიათი იღვიძებს, ბალაამის სახედარივით ენაჩა-ვარდნილი უცქერის კატეგორიულობის ანგელოზს და მერე მივყვები მის ხმას, არ შემიძლია სხვანაირად, რამდენი არ ვეცადე, არაფერი გამოვიდა..

„უმიზვნელო“ მოვლენები

რაულ ჩილაჩავას

ემოციური მახსოვრობა გულისხმობს იმას, რომ შეიძლება, უამრავი რამ ვერ დაინახო და დაიმახსოვრო, მაგრამ დიდი შთაბეჭდილება სულზე მოახდინოს სხვებისთვის უმნიშვნელო ამბავმა და დიდი სიზუსტით შენახული იქნას მახსოვრობაში.. ყოველდღიური ამბები არის ფიჩხი, საწვავი მაღალი პოეზიის ცეცხლისათვის. ცეცხლისთვის სულ ერთია, ის წმინდაა... რაც უნდა ნაყარუყარი, ხმელი ფიჩხი ჩაყარო, უკეთესად იწვის. სხვებისთვის სრულიად ჩვეულებრივმა მოვლენამ პოეტის სულში დიდი რყევები შეიძლება გამოიწვიოს.. ისე, როგორც გიჟის სიხარული და მწუხარება ჩვეულებრივი აღამინის-თვის მიუწვდომელია, ასევე, ხშირად, მიუწვდომელი და გაუგებარია წყაროები, რითაც საზრდოობენ პოეტები თუ სხვა შემოქმედნი... თოვლიან მთაში დაყვირებამ ან ოდნავმა მოძრაობამ შეიძლება დიდი ზვავი გამოიწვიოს, დიდი პოეტების სულები ასეთ მოებს გვანან... შეიძლება, დიდმა ემოციებმა კენჭიც ვერ დაძრას არაპოეტური ნატურების სულთა კლდოვან ლანდშაფტზე.. დაბალი შესაძლებლობის შემოქმედი შეიძლება, შეყვარებულიც იყოს და მაინც ვერ ამოთქვას სათქმელი.. მაშინ, როცა დიდი პოეტისთვის ხუთწუთიანი შეხვედრა, ერთი შეხედვა.. ერთი გაელვება გახდეს საკმარისი, რათა მან ეს სამყაროსულ მოვლენად აქციოს.. ვარსკვლავებამდე აამაღლოს.. აი, რას ნიშნავს ჰიპერემოციურობა... შექსპირისთვის სულაც არ იყო აუცილებელი რომეო ყოფილიყო,

ან ნიზამისათვის – მეჯნუნი, ნიზამმა „ლეილი და მეჯნუნი”, ეს ბრწყინვალე პოემა, სულაც, შირვანის შაჰის შეკვეთით დაწერა.. დიდ შემოქმედში მეტყველებენ ადამიანთა და საგანთა სულები... ისინი გადმოსცემენ იმ იღუმალებას, რასაც საგნები და ადამიანები თავის თავზე ვერასდროს იტყოდნენ.. დიდი შემოქმედი კაცობრიობის ცრემლიანი თვალია... უცნაურად ზეიმური და ტრაგიკული. დიდ შემოქმედად გახდომას ამ მოვლენებში ჩართულობის შეუძლებლობა უწყობს ხელს. ულამაზესი მოვლენები პოეტებს გაურბიან, მათთვის მოუხელთებელნი არიან, სწორედ ეს, სიშორის სევდა აქცევს მათ დიდ პოეტებად.. ანუ სურვილი იქ ყოფნისა, სადაც ვერასოდეს იქნებოდნენ, რაც უფრო შორს გრძნობს შემოქმედი სიყვარულის მოვლენიდან თავს, მით უფრო ახლოა მის ეპიცენტრთან.. მაგალითი: დანტე, პეტრარკა... ისინი თავიანთ „ანგელოზებს” – შეყვარებულებს არც კი გასაუბრებიან.. მიახლოებაც არ გაუბედავთ, იმიტომ, რომ ასე უფრო ახლო იყვნენ ამ ადამიანების სულებთან, ზედმეტი „მიახლოება” ყველაფერს დაანგრევდა... ერთხელ, ცნობილ ებრაელ რაბინს მოსწავლემ შესჩივლა: ღმერთი თავის სახეს მიმალავს, ვერ ვხედავთ.. მასწავლებელმა კი უბასუხა: ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი გინახავს.. სწორედ, სიშორის, მიტოვებულობის, სულიერი სიღატაკის განცდაა ის შეგრძნება, რომელიც შესაძლებელს ხდის ღმერთის სიახლოეს... შესაძლებელს ხდის მოვლენების, საგნებისა და ადამიანების სულების ამეტყველებას პოეტში. ესაა უცნაური მისტერია, პოეტი სხვების ბაგეა და არა კონკრეტული ადამიანის, ის ახდენს თავისი და სხვების „მინაგანი ადამიანის” გამოყვანას ლაბირინთიდან, ორფეოსივით ჩადის მოვლენების პადესში

და ათავისუფლებს მას.. შემთხვევითი არაა, პირველი
ქრისტიანები ორფეოსს მაცხოვრის წინამორბედად
განიხილავდნენ, ამის დასტურია მათ მიერ ორფეო-
სისა და ქრისტეს ერთობლივი გამოსახვა რომაულ
ფრესკებზე.. პოეტი გაუჩინარებული „ევრიდიკეს”,
ანუ ღვთაების, მისი გაელვების მაძიებელია.. ომარ
ხაიამი ლამაზი ადამიანის სახეს ყველაზე დიდ სას-
წაულად თვლიდა... ადამიანის სახეზე, მის თვალებში
კოდირებულია ღმერთის საიდუმლო, ლამაზი სახე
უბასრესი სხივია, რომლის საშუალებით ეზიარებიან
ადამიანები ღვთაებრივს.. ის კარია, რომლითაც პოეტი
შედის ყველასთვის და მისთვის დაკარგულ სამოთხ-
ეში... სულაც არა გასაკვირი, გალაკტიონი მერის
რომ არ იცნობდა, მან ასე უფრო დაინახა მისი სული,
უფრო სწორად, სული, რომელიც მას სხვისი ეგონა,
სინამდვილეში თავისი, ამავე დროს, მერის სული
იხილა თავის სიმშვენიერეში და ღვთაებრიობაში...
მერისთან შეხვედრამ გალაკტიონს ბიძგი მისცა, რომ
მისი სული გამოსულიყო ლაბირინთიდან... სადაც
ყველა ადამიანია ჩამწყვდეული და ვინც მას თავს
დააღწევს, ასეთად დაინახავს სხვათა სულებს, მათ
არსებებს... ეს მხოლოდ ერთეულთა ხვედრია..

სინათლის ფარაონი და ფარაონითობა

ვინ გაანათებს ამ ბნელეთს, როცა სინათლე არავის უნდა?! ჩვენი ცივილიზაცია მოზარდთა საკრებულოს მაგონებს, სადაც გონივრულს იშვიათად გაიგონებს კაცი, როცა სერიოზულს შეეხებიან, სისულელის მიზიდულობის ძალით, აუცილებლად, ჭეშმარიტებასაც სისულელედ აქცევენ. ადამიანის ხასიათში ჩაწერილია მისი ბედისწერა, ის ქმნის ჩვენს ბედს, ჩვენს ბიოგრაფიას. „ყველა კაიას” ნეტართა ქვეყანაში სიმართლე ხანდახან ფანჯრის გამოღებასავით არის, ყოველ შემთხვევაში, მისთვის, ვისაც სული ეხუთება. ისე, ცუდი არავინაა თუ მათი მშობლების თვალით შეკხდავთ, რაც იგივეა, თითქოს სხევებს ღმერთის თვალებით ვუყურებდეთ. ეს ძნელია, ხანდახან კი შესაძლებელია ჩვენი ადამიანური განზომილებისათვის. რა თქმა უნდა, კარგიც ბევრია და ცუდიც, ასე კატეგორიულიც არ ვარ. როცა ადამიანი ამბობს – ყველა ცუდია – ცდება. როცა ადამიანი ამბობს – ყველა კარგია – ცდება, მაგრამ უფრო ნაკლებად. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვერ გამოვიტანთ მსჯავრს, ეს ღმერთის საქმეა. ერთხელ ერთი ბოროტმოქმედი მოკლეს, ახალგაზრდა იყო, არ მინდოდა პანაშვიდზე მისვლა, მერე შემრცხვა და მაინც მივედი... პირველი, რაც ყურში მომზვდა ამ კაცის სახელი იყო, დედამისი მის სახელს იმეორებდა, მეტს არაფერს. უცებ, ჩემში რაღაც შეიცვალა, ამოტრიალდა, დედის ხმა იმ სიღრმიდან მოდიოდა, სადაც ღმერთს თუ შეუძლია

გოჩა სხილაძე

ჩასვლა და ყოფნა.. მივწვდი, რომ ჩვენი შეფასებები ძალიან პირობითია. აქ არავინაა მკვლელი, არც მოკლული, ისინი მხოლოდ ბედისწერის ბრძა იარაღები არიან, მე ის კაცი დავინახე დედის თვალით წამიერად და მივწვდი, მთელი ჩემი შეკოწიწებული აზრი მის შესახებ მხოლოდ ქიმერა იყო.. უმაღლესი წერტილიდან, სადაც ადამიანი იშვიათად ზვდება, ყველას გაგება და პატიებაა შესაძლებელი, მაგრამ იქ დიდი ხნით დარჩენა, სამწუხაროდ, შეუძლებელია..



სიზუსტის ძიებაში

უპოვარი შეიძლება იყოს კაცი და არ მათხოვ-
რობდეს, ღატაკიც ასევე შეიძლება იყოს კაცი და
თავშიც არ მოსდიოდეს მათხოვრობა... ადამიანები
მუდმივად რაღაცას ვითხოვთ ერთმანეთისგან, ზოგი
ფულს, ზოგი ყურადღებას (მაგალითად, ხელოვანი
ხალხი), ხოლო კი სიყვარული ყველას სჭირდება...
და ამ ყველაფრისთვის უკავშირდებიან ერთმანეთს
ადამიანები.. შინაგანად ისინი სხვადასხვა ასპექტ-
ში ერთმანეთის მიმართ მუდმივად ხელგაწვდილნი
არიან.. არ აქვს მნიშვნელობა, რას ელიან... მოვიყ-
ვან დიდი პოეტის, ნიკო სამადაშვილის, ლექსიდან
ნაწყვეტს: ხე ეკლესიის მათხოვარს ჰგავდა, თითქოს
გულს ქრისტემ ხელი დარია.. ან კიდევ რილკეს: Des
Armen Haus ist wie des Kindes Hand ... Des Armen Haus
ist wie ein Altarschrein – აქ სიტყვა მათხოვარი, ღატ-
აკი სრულიად დაცლილია, გაწმენდილია უარყოფითი
კონტაციისაგან, პირიქით, დიდი შუქის და დიდი
მაღლის მატარებელია.. სპარს. darwis „გლახაკი“,
„მათხოვარი“ (ნაწარმოებია სიტყვიდან dar „კარი“),
შეესაბამება არაბულ სიტყვას faqir „ღარიბი“. წმინდა
მარტინის ცხოვრებიდან: „ერთხელ ქალაქ ამიენში,
ზამთრის სუსხიან დღეს, მარტინს ქალაქის კარებთან
მათხოვარი შეხვედრია, შესცოდებია და მისთვის იმპე-
რიული ლაბადის ნახევარი გაუყვია. მეორე ღამეს
სიზმარი უნახავს, უფრო სწორად ხილვა ჰქონია,
სადაც მათხოვრის მაგივრად მისი ლაბადის ნახევარში
მაცხოვარი იყო შეფუთნული“.. მე სიტყვა მათხოვარს
ჩემ ლექსში ამ მნიშვნელობით ვიყენებ, ვცდილობდი

ასეთი მნიშვნელობით დამეტვირთა, თუ რამდენად მოხერხდა ამ სიტყვისთვის უარყოფითი კონტაკიის ჩამოშორება, ეს მკითხველთა განსასჯელია. სიტყვები ჩვენდა უნებურად მოიყოლებენ ისეთ მნიშვნელობათა ველებს, ზოგჯერ დაბნეულობას იწვევენ... და მაინც, აბსოლუტურად ზუსტი მხოლოდ ღმერთი შეიძლება იყოს, ჩვენი აზრები უკეთეს შემთხვევაში მიახლოვ-ებითია... ჩვენს სიტყვებს არ შეუძლიათ, ბოლომდე მოიცვან საგნების არსი, მაინც რჩება რაღაც, რაც ჩვენ არ შეგვიძლია აღვწეროთ, სწორედ ეს რაღაც, აღუწერელი, არის მანძილი ჩვენსა და ღმერთს შორის, სწორედ ეს რაღაც აყენებს თავდაყირა მთელ ჩვენს აზროვნებას... ყოველი საგანი, ყოველი მოვლენა აღუწერელია.. მისი გადმოცემის, მისი აღწერის ცდა მარცხით მთავრდება სამწუხაროდ, ეს ადამიანური განზომილების ხვედრია.



საერთო წარტილი

საკუთარ თავამდე იმდენივე მანძილია, რამდენიც ღმერთამდე... ეს უსასრულო მოგზაურობაა.. მისტიკოსები ერთი და იმავე წერტილიდან ხედავენ.. ისინი ხედავენ რეალობას ღმერთის თვალებით.... დიდი პოეზია არის ღვთაებრივ სიყვარულში (ღმერთში) დანახული სამყარო, რომელიც თავის თავს ვერ იტევს პოეტში და უნებურად სხივდება. სიყვარული – ეს არის ზეიმი სხვების არსებობის გამო... ნებისმიერი ადამიანი, როცა მისი თვალითაა დანახული, რაც არ უნდა მახინჯი იყოს, უმშვენიერესია და ერთადერთი... ჩვენი სილამაზის კრიტერიუმები ამ დროს სადღაც უჩინარდება.. მისთვის ყველა მშვენიერია და საყვარელი, გველიც კი.. იბნ არაბი ამბობს: „არავის შეუძლია ღვთის ხილვა, თუ არ თვითონ ღმერთს”... როცა კაცი ხედავს მის რეალობას, სწორედ მისი თვალებით ხედავს.. შენ კი არ ხედავ, არამედ ის... შენ აღარ არსებობ, უფრო სწორად, შენ არსებობ, როგორც ის.... ეს ხდება, როცა ადამიანის სული უკიდურესად მცირდება და ამავე დროს ხდება უკიდეგანო, ღვთაებრივის დამტევი... ამ სიმცირის „არარსებობის” ნეტარება გასინჯა ყველა მისტიკოსმა.. თუ ეს გამოცდილება არ მიიღო პოეტმა, მოაზროვნებ, მაშინ მას არაფრი არ აქვს სათქმელი... ღმერთთან მიახლოვება პირობითი სიტყვაა.. ჩვენი ენა მხოლოდ ნაწილობრივ იძლევა საშუალებას, გამოვთქვათ გამოუთქმელი. თუმცა, სულ რჩება უკმარისობის შეგრძნება.. სწორედ ეს დისტანცია გვიბიძებს უსასრულო მოგზაურობისკენ და

გოჩა სხილაძე

ამაში არის ერთგვარი მომზიბვლელობა.. ეს მანძილი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ არ ვიქნებოდით, ღმერთი თავის „სიშორით” იძლევა ჩვენი არსებობის რეალობას.. არავითარი რეალობა არ იქნებოდა, ღმერთს რომ არ დაეშორებინა თავისი თავი ხილული საგნებიდან, რეალობიდან... მისი „სიშორე” ერთგვარი წყალობაა და არსებობის პირობა.. სწორედ, სიშორიდან იგრძნობა სიახლოვე, გადაულახავი სიშორე არის წინა პირობა სხვა არსების სინათლის დასანახად..



პავაზის თვალებით დანახული პოეზიის სამყარო

არა.. ვინმეს ხომ უნდა უთხრა, რასაც
ფიქრობ?

ერთ ბირმულ ზღაპარშია: ერთხელ ვეზირი
მეფეს უგვირგვინოდ შეესწრება და დაინახავს, რომ
მეფეს ვირის ყურები აქვს.. ამის შემდეგ მოსვენებას
დაკარგავს.. ვერავის ეუბნება.. იცის, რომ საშიშია...
სულშეხუთული ტყეში გაიქცევა და ნის ფულუროში
ჩასძახებს.. მარა, რად გინდა?! საიდუმლო მაინც არ
დაიმალა.. ხე მოჭრეს, დოლი გააკეთეს, სამხედრო
ცერემონიისთვის და როცა დაუკრეს, ჰოი საიცრებავ!
დოლი ვეზირის ჩაძახილს იმეორებდა: მეფეს ვირის
ყურები აქვს! მეფეს ვირის ყურები აქვს!.. ასეა, ძნე-
ლია, ძალიან ძნელი, როცა ვერავის ვერაფერს ეუბ-
ნები იმ ვეზირივით და ვერც ნის ფულურო მოძენე,
რომ ჩასძახო შენი საიდუმლო



თურქულენტური სიპრეზე და ეპლესია

ვფიქრობ, უკიდურესობა ჩვენი სენია... ორივე მხარე ციებცხელებიანივითაა.. უკიდურესად დამუხტულები.. ადამიანმა უნდა შეძლოს თავის ცნობიერების ტოტებში (გონებაში) მხტუნავი მაიმუნების – სტიქიური აზრების შეჩერება... მოაზროვნე ადამიანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეს მოვლენების სათამაშოდ..

ძალადობას ვგმობ, მაგრამ არ უნდა მოხდეს დისკრედიტირება ჩვენი სარწმუნოების. ფაქტია, ეკლესიაში პრობლემებია.. მაგრამ ნაბან წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ... არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ცივილიზაციის საყრდენი ქრისტიანობაა... ისტორიის მანძილზე ასეთი გადაცლომები ბევრი ყოფილა, რელიგიის ბირთვი ლავასავით არის, მუდმივი ბობოქრობით და დუღილით გამოირჩევა, მაგრამ ამ მოშურნეობის და მახინჯი ფორმების გარეშე რელიგიაც კვდება.. ეს მისი თანმხლები მოვლენებია.. ცუდების გარდა გელესიაში ხომ იყო ასიზელიც, გიორგი მთაწმინდელიც.. მოკლედ იმის თქმა მინდა, საყოველთაო ისტერიას არ უნდა ავყვეთ და მშვიდად და გონივრულად ვიმსჯელოთ ჩვენი საზოგადოების და ეკლესიის პრობლემებზე..

დიდი სიბრძნეა საჭირო, ამ გლობალურ სამყაროში, რომ საქართველომ არსებობა შეინარჩუნოს, ჩვენ მარტო არა ვართ... არც ირანივით დიდი სახელმწიფო ვართ.. უნდა გონივრულად მოვიქცეთ, რომ ტრადიციებიც გადავარჩინოთ... ჩვენც გადავარჩეთ.

ერთმა ცნობილმა იაპონელმა პოლიტიკოსმა თქვა:
 „ტრადიცია ისტორიის გონიერაა” და ეს ასეა.. ჩვენი
 საქმე ოდისევსისა და ციკლოპისას ჰგავს, ოდისევსმა
 ჭკუით შეძლო ციკლოპს დასხლტომოდა და მის-
 თვის თვალიც წამოეთხარა, მაგრამ არ დაგვავიწყდეს,
 რომ ოდისევსს პოლიფემეს (ციკლოპი) საყვარელი
 ცხვრის ტყავი ეცვა.. სამწუხაროდ, მხოლოდ ჩვენს
 ჭკუაზე ვერ ვიქნებით.. დაუკარით, რომ ძველ ხან-
 ჯალს ელდა ეცეს... – კარგია, მაგრამ ძალები, რბი-
 ლად რომ ვთქვათ, უთანაბროა, ოდისევსის ჭკუაა
 საჭირო... ხისტი მოქმედებები მხოლოდ დააჩქარებენ
 ჩვენს აღსასრულს...



წესიერები და იდეალურები, ძირითადად, გარდაცვლილები არიან... ცოცხლებს და ახლომყოფებს ათასი უწესობა ახასიათებს და უამრავი ნაკლი აქვთ.... სიკვდილი და დრო ყოველგვარ ნაკლს ჩამოაშორებს მათ, როგორც მოქანდაკე აშორებს მარმარილოს ქანდაკებას ზედმეტობებს. ასე იქმნებიან მოღვაწენი, სპეტაკნი და უმანკონი – მხოლოდ ვარსკვლავების მომზირალნი.. წელზე ვაზის ლერწ-შემბუღი წინაპრები... დედის მუცლიდან სამშობლოზე მოფიქრალი მეფენი... ვაი ცოცხლების ბრალი, მათ ხომ გამუდმებით შეახსენებენ თავიანთ ნაკლს და დიდი წინაპრების სრულყოფილებას. ამ შედარებისთვის განწირულია ყველა ახალი – ისტორიაში მოქმედი პირი, პოლიტიკოსი თუ პოეტი... ისინი ხომ წინაპრებთან შედარებისას ყოველთვის მარცხდებიან... ვაი ცოცხლებს, ალილუია და დიდება – ნათლით მოსილ წინაპრებს.. „მათ ხომ არასდროს შეუცოდავთ და პირადი ცხოვრებაც არასდროს ჰქონიათ”... მაინც რა სრულყოფილები არიან გარდაცვლილები?! ჩვენ უფრო ქანდაკებებს ვიცნობთ, ვიდრე რეალურ ადამიანებს, ეს ასე იყო ყოველთვის და ასე იქნება მარადის.....

ლეღვის ფოთოლი

მლიქვნელები და ფარისევლები ქებას და დიდებას მოწყურებული ხალხია... მიწაზე ხოხიალი არასდროს სწყინდებათ, ზოგიერთი ალბათ გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდებოდა, შესაბამისი კატეგორია რომ არსებობდეს... სულ უკვირთ ხოლმე, ასეთი ლაქია როგორ იქცევა დიდებისმოყვარე ბატონად, როგორც კი დიდ თანამდებობას ან დიდ სიმდიდრეს ჩაიგდებს ხელში, არადა სრულიად ბუნებრივია, ვინც ვისაც ეთაყვანება, დროთა განმავლობაში, მისი მსგავსი ხდება.... თაყვანისცემის ობიექტი არაფერია, თუ არა ხატი, რომელიც ეხმარება „თეოზისში”. ხდება უცნაური ტრანსფორმაცია, ის ვინც თაყვანს სცემდა, თვითონ გარდაიქმნება თაყვანისცემის ობიექტად და მთელი ძალით ლიმონივით წურავს ახალ მლიქვნელებს, რომელთა რიცხვი ლეგეონია... ერთს ქლესა უწოდეს და გაუბენირდა, არა და კარგად იცის, რომ მლიქვნელი და ქლესაა... მაგრამ ბრაზობს, სხვებს ეკითხება, ეს ხომ ასე არააო... სხვებიც (მასზე დაბალი კატეგორიის მლიქვნელები) ეუბნებიან: არა, ბატონო, თქვენაირი მართალი და პირდაპირი კაცი იშვიათიაო... ტყუილებით იმშვიდებს თავს.. და სულ ათ წუთში ისევ მიწაზე ხოხავს ზემდგომების წინაშე, თუმცა უკვე არც შია და არც სწყურია.... სამაგიეროდ, მასზე დაბლა მდგომებს ზემოდან უყურებს და კმაყოფილებით აკვირდება მათ კლაკვნას მიწაზე..... უკვირს, რამ გადააგვარა ეს ხალხი და დასცინის თავის ტოლებში, რომლებმაც ასეთივე გზა გაიარეს, რომ „ამაღლებულიყვნენ”...

და კიდევ, მეტ-ნაკლებად ასეთი მლიქვნელი ყოველ ჩვენგანში ზის, ჩვენთან ერთად იღვიძებს, კორექტი-რებას უკეთებს ჩვენს მოქმედებას. მლიქვნელობის გარეშე, საზოგადოება სრულ ქაოსში ჩაიძირებოდა, სრული უთანხმოება დაისადგურებდა, ვინ გაუძლებდა მომაბეჭრებელ სიმართლეს? ალბათ, ვერავინ გაუძლებდა ასეთ რეჟიმში ცხოვრებას... თითო-ოროლა ღვთის მაძიებლის მეტი, რომელთათვის ჭეშმარიტება და არსებობა ერთმანეთის ტოლფასია. ასე რომ, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის მლიქვნელობა აუცილებელი კომპონენტია, ერთგვარი საპოზია, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებრივი მანქანის გამართულად მუშაობას... მლიქვნელობა ერთგვარი ყვავილია რომელიც ამშვენიერებს მახინჯს, გულუხვად აქცევს ძუნწს, აგენიოსებს უნიჭოს, აბრძენებს ბრიყვ დიდმოხელეს, ავაუკაცებს ლაჩარს. ერთი სიტყვით, მლიქვნელი დიდებული დიზაინერია, საჭირო მკერავი, რომლის გარეშე ადამიანები სრულ სიშიშვლეში იცხოვრებდნენ, მლიქვნელობა ადამის ლელვის ფოთოლივითაა, რითაც ადამიანები ერთმანეთს სიშიშვლეს უფარავენ.... ჭეშმარიტების გაძლება კი ძნელია, როგორც მზის პირდაპირ ცქერა...

ჩაღვაზი

ნახევრად ველური ბაღი უფრო ლამაზია... ლამაზ მცენარეებს (ყვავილებს) ფონი სჭირდებათ, მოწესრიგებულ ბაღში – ფონი გამქრალია.... მოწესრიგებული ინგლისური ბაღი, მადამ ტიუსოს მუზეუმივითაა, რომელიც ცვილის ფიგურებითაა სავსე და გაუგებარი მზერით შეჰყურებენ ერთმანეთს საკუთარი კონტექსტიდან ამოგლეჯილები, მუზეუმში დიდებული, ლამაზი (და არა მარტო ლამაზი) ადამიანები არიან ... მაგრამ ამ ადამიანების სიცოცხლის, მოქმედების არეალი არ ჩანს.. რატომძაც მგონია, იაპონური ბაღები ყველაზე ახლოს არიან ადამიანის სულთან....



სარჩევი

პოეტის გულში ზღვა სინათლეა (წინასიტყვაობა)	
რაულ ჩილაჩავა	3
ადრეული ზამთარი.....	10
სონეტი დიდებაზე.....	11
სინათლე ლაბირინთში.....	12
ძილი.....	13
უცნაური სიმშვიდე.....	14
ამბორი სიბნეულეში	15
შუაგულში ყოფნა	17
გადატეხილი კენწერო	18
ნია	19
***	20
ქეთი	21
ვარსკვლავების დარავი	22
უცნაური ნათელი.....	23
შეხვედრის შეუძლებლობა	24
დაშვიდობება.....	25
მზე ზამთარში	26
სიახლოვე	27
შეხვედრა	28
სხივების კვართი.....	29
ცრემლების კლდე	30
მინდოდა მეთქვა.....	31
წრე	32
შემოდგომის სიმღერა.....	33
სინათლის მიზიდულობა	34
სიცოცხლის ექო	35
***	36
***	36

ფიფქის დაცემა	37
ბავშვობა.....	38
ბნელი მყინვარი	39
გაუცხოება.....	40
სიზმრების სული	41
ბავშვის სიძლერა	42
სევდის სკუფია	43
ხე წრიალებს უკანწერო	44
დაბრუნება	45
შერიგება	46
სინათლის წყურვილი	47
ძახილი	48
უცხო	49
გაბზნილი სარკე.....	50
გალა	51
***	52
***	53
***	54
დიდი და პატარა მათხოვარი	55
დღისა და ღამის გათანაბრება.....	60
მინოტავრი.....	68
მზე და ვან გოგი	69
ცაფ აყრდნობილი	70
ბორგვა.....	71
ჩურჩული	72
რაბი აკიბა	73
მომავლის ფარდა	74
შიში	75
განბანილი კიდობანები.....	76
საყდრის სიგრილე.....	77
ურანოსის სფეროები	78
მზის მიძინება	79

მზრალი სიმყუდროვე	80
დიდი მზესუმზირა	81
ხარიშუბლა მზე.....	82
თეთრი არყები	83
როლანგი.....	84
სულის უხმო ფსკერი.....	85
ბინდის საუფლო.....	86
მიღისარ.....	87
სახის დაბრუნება.....	88
სიყვარული და დრო.....	93
ენაში გაჩენილი ყვავილი	105
ენერგიათა ხიდი.....	109
დავიწყებული ბილკი	112
მატლიდან პეპლამდე	116
ნიკო სამადაშვილი.....	118
ამბავი კატისა, სარკეში რომ იცქირება	
და თავის თავს ლომად ხედავს.....	120
სარკეები.....	122
ერთხელ გერმანიაში.....	124
***	129
„უმნიშვნელო” მოვლენები	130
სინათლის წერტილი და ფარდობითობა.....	133
სიზუსტის ძიებაში.....	135
საერთო წერტილი.....	137
ბავშვის თვალებით დანახული	
პოეზის სამყარო	139
ტურბულენტური სივრცე და ეპლესია.....	140
***	142
ლელვის ფოთოლი.....	143
ბალები	145